ბოლშევიკი

№ 7-8 ივლისი—აგვისტო № 7-8

ტფილისი
სახ. „კომშვილიტი"-ს ბაეშვთ. განყ.
1933 წ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 7-8

საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ.-ს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. სტალინის ინსტიტუტისაგან 3
2. ი. სტალინი—პასუხათ „სოციალ-დემოკრატს“ 4
3. გმირული ბრძოლის 30 წელი 11
4. ლ. ბერია—საბჭოთა კავშირი უახლოეს წლებში განთავისუფლდება ჩაის იმპორტისაგან 17
5. ე. ბედია—მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრება პარტიის შესახებ 21
6. ალ. ერჩომაიშვილი—ბოლშევიზმის და მენშევიზმის სათავე 42

გვ.

7. ხ. გოდაბრელიძე—მეორე ხუთწლედის პირველი წლის ნახევრის შედეგები მრეწველობაში 59
8. კ. ორაგველიძე—პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის 69
9. ლ. მადიარი—ახალი მოვლენები მსოფლიო ეკონომიური კრიზისის განვითარებაში 83
10. ლ. ტანდიტი—ჩვენი პარტიის წევრობის პირველი პარაგრაფი 91

Академия наук СССР
Библиотека-Музей
им. И. Гришашвили

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამოცემა
ტფილისი—1933

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლიტი № 1154. შეკვეთის № 1477. ტირაჟი 2.700.

სტალინის ინსტიტუტისაგან

ნ. ჟორდანიას წერილზე,—„მეუმრავლესობა და მეუმცირესობა“,—სტალინის საპასუხო შრომამ—„გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც გამოსცა კავკასიის ბოლშევიკური კავშირის კომიტეტმა 1905 წ. (ხელმეორეთ გამოსცა სტალინის ინსტიტუტმა 1933 წ.), და რომელმაც გამოააშკარავა მენშევიზმის ოპორტუნისტული სულისკვეთება, დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია მენშევიკების რიგებში.

მენშევიკები შეეცადნენ თავდაცვას და მათ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების უარყოფას. ამმიზნით მენშევიკების ორგანო „სოციალ-დემოკრატი“ უშვებს სპეციალურ ბროშურას—„პასუხი კავშირის კომიტეტს“, დაწერილს ნ. ჟორდანიას მიერ. უკანასკნელზე საპასუხოდ სტალინმა დასწერა წერილი „პასუხათ სოციალ-დემოკრატს,“ რომელიც წარმოადგენს ამხ. სტალინის დასახელებულ ბროშურის („გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე) ორგანიულ გაგრძელებას. წერილს ვბეჭდავთ უცვლელად. ჟურ. „პროლეტარიატის ბრძოლა“-დან № 11, 1905 წ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებული სტალინის ინსტიტუტი.

ი. სტალინი

პასუხათ „სოციალ-დემოკრატს“

(იხილე ,,პასუხი კავშირის კომიტეტს‘‘. გამოცემა ,,სოციალ-დემოკრატისა‘‘).

უველაზე პირველათ, ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ პასუხი დავაგვიანე. რას იზამ: საქმემ სხვა სფეროში მომთხოვა მუშაობა, და მეც იძულებული გავხდი დროებით გადამედო ჩემი პასუხი—მოგეხსენებათ—ჩვენი თავი ჩვენ ხელთ არაა.

მეორეთ, საჭიროა შევნიშნოთ აი რა: ბევრს ისე ჰგონია, რომ ბროშურა —„გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“—კავშირის კომიტეტისაა, და არა კერძო პირისაო. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს ბროშურა მხოლოდ მე მეკუთვნის. კავშირის კომიტეტის მარტო რედაქცია—არც მეტი, არც ნაკლები.

ახლა კი შევუდგეთ საქმეს. მოპირდაპირე მიკიჟინებს: „სადაო საგანს ვერ ხედავ“, „კითხვებს აფუჩეჩეფო“ *), „სადაო ორგანიზაციული კითხვებია, და არა პროგრამმაო“ (2 გვ.)

ოდნავი დაკვირვებაა საჭირო, რომ ავტორის სიყალბე გამოირკვეს. საქმე იმაშია, რომ ჩემი ბროშურა პასუხია „სოციალ-დემოკრატის“ პირველ ნომერზე,—ბროშურა უკვე მიცემული იყო საბეჭდავში, რომ „სოციალ-დემოკრატის“ მეორე ნომერი გამოვიდა. რას ამბობს ავტორი პირველ ნომერში? მხოლოდ იმას, რომ „უმრავლესობა“ იდეალიზმის გზას ადგია და მარქსიზმს ძირიანად ეწინააღმდეგებაო“, აქ კრინტიც არაა დაძრული ორგანიზაციულ კითხვებზე. რა უნდა მეპასუხნა მე? მხოლოდ ის, რაც ვუპასუხე: „უმრავლესობა“ ნამდვილ მარქსისტულ გზას ადგია, და თუ ეს ვერ გაუგია „უმცირესობას,“ ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონვე ასცილებია ნამდვილ მარქსიზმსათქო. ასე მოიქცეოდა უველა, ვისაც პოლემიკისა ესმის რამე. ავტორი კი ახირებულა—რატომ ორგანიზაციულ კითხვებს არ ეხებიო. იმიტომ არ ვეხები, ფილოსოფოსო, რომ თქვენ მაშინ კრინტიც არ გქონდათ დაძრული ამ კითხვებზე,—შეუძლებელია პასუხი გასცე კაცს იმ საგანზე, რომელზედაც ჯერ ლაპარაკი არ ყოფილა. ცხადია, ეს „კითხვების გადაფუჩეჩება“, „სადაო საგნის დამალვა“ და სხვა ამისთანები ავტორის გამოგონებაა და მეტი არაფერი. პირიქით, მე საბუთი მაქვს თითონ მას შევწამო ზოგიერთი კითხვების გადამალვა. ის ამბობს, რომ „სადაო ორგანიზაციული კითხვებიაო,“ მაშინ როდესაც ჩვენ შორის ტაქტიკური უთანხმოებაც არსებობს, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ორგანიზაციულს. ჩვენი „კრიტიკოსი“ კი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ამ უთანხმოებას თავის ბროშურაში. აი ამასა ჰქვიან „კითხვების გადაფუჩეჩება“.

---

*) იხ. „პასუხი კავშირის კომიტეტს“.

რაზეა ლაპარაკი ჩემს ბროშურაში?

დღევანდელი ცხოვრება კაპიტალისტურათაა მოწყობილი. აქ ორი დიდი კლასი არსებობს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. პირველს მისი ცხოვრებითი გარემოება აიძულებს, რომ კაპიტალისტური წესები გაამაგროს, მეორეს კი იგივე გარემოება აიძულებს, რომ შეარყიოს და ძირს დასცეს კაპიტალისტური წესები. თანახმათ ამ ორი კლასისა, შეგნებაც ორნაირი მუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის გარემოებას სოციალისტური შეგნება შეეფერება. ამიტომ პროლეტარიატი იღებს ამ შეგნებას, ითვისებს მას და გაორკეცებული მოხერხებით ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა“ რომ არ ყოფილიყო, აღარც სოციალისტური შეგნება იქნებოდა. მარა, ახლა კითხვა იმაშია, თუ ვინ ამუშავებს, ვის შეუძლია შეიმუშაოს ეს სოციალისტური შეგნება (ე. ი. მეცნიერული სოციალიზმი). კაუცკი ამბობს და მე ვიმეორებ მის აზრს, რომ პროლეტართა მასას, სანამ ის პროლეტარიატათ დარჩება, არა აქვს არც დრო და არც საშუალება, რომ სოციალისტური შეგნება შეიმუშაოს; „თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე, ამბობს კაუცკი *). მეცნიერების მატარებელი კი ბურჟუაზიული ინტელიგენტებია, მაგალითად, მარქსი, ენგელსი და სხვები, რომლებსაც დროცა აქვთ და საშუალებაც, რომ მეცნიერებას ჩაუდგენ სათავეში და სოციალისტური შეგნება შეიმუშაონ. ცხადია, სოციალისტური შეგნების შემუშავება—ეს ზოგიერთა ინტელიგენტ-სოციალდემოკრატების საქმე ყოფილა, რომლებსაც დროც შესწევთ ამისთვის და საშუალებაც.

მარა რა მნიშვნელობა აქვს ცარიელ სოციალისტურ შეგნებას, თუ კი ის პროლეტარიატში არ გავრცელდება. ის ცარიელ სიტყვებათღა დარჩება და მეტი არაფერი! სულ სხვანაირად დატრიალდება საქმე თუ პროლეტარიატში გავრცელდება ეს შეგნება: პროლეტარიატი შეიგნებს თავის მდგომარეობას და აჩქარებული ნაბიჯით გაექანება სოციალისტური ცხოვრებისაკენ. აი აქ ჩნდება სოციალდემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები), რომელსაც შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება. ამაზე ამბობს კაუცკი, რომ „სოციალისტური შეგნება გარედანაა შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაშიო“. **)

ამგვარათ სოციალილისტურ შეგნებას ამუშავებს ზოგიერთა ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატები. ხოლო მუშათა მოძრაობაში შეაქვს ეს შეგნება მთელ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც შეგნებულ ხასიათს აძლევს პროლეტარიატის სტიქიურ ბრძოლას. ამაზეა ლაპარაკი ჩემს ბროშურაში, ამას ამბობს მარქსიზმი და მასთან ერთათ „უმრავლესობა.“

რას ამბობს ამის წინააღმდეგს ჩემი მოპირდაპირე?

— ბევრს არაფერს მაინცა და მაინც. ის გინებას უფრო ბევრ დროს ანდომებს, ვიდრე კითხვის გამორკვევას—სჩანს ძალიან გაკუჭებულა! ის გულდა-

*) იხილე კ. კაუცკის წერილი, რომელიც Что делать-შია გადმობეჭდილი. 27 გვ.
**) იქვე.

გულ არ ხვდება კითხვებს, პირდაპირ პასუხს არ იძლევა საგანზე,—არამედ მხდალი „მებრძოლივით“ გაურბის საგანს, თვალთმაქცურათ აფუჩეჩებს ნათლათ დაყენებულ კითხვებს და თანაც ქვეყანას არწმუნებს, რომ კითხვები ერთიან გამოვარკვიეო! აი, მაგალითათ, არავითარ კითხვას არ იძლევა ავტორი სოციალისტური შეგნების შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა ზ ე, ის ვერ ბედავს პირდაპირ თქვას, თუ ვის ემხრობა ამ კითხვაში: კაუცკის თუ „ეკონომისტებს“. მართალია, „სოციალდემოკრატიის“ პირველ ნომერში ძალიან თამამად კრიტიკოსობდა ჩვენი „კრიტიკოსი“, მაშინ ის პირდაპირ „ეკონომისტების“ ენაზე ლაპარაკობდა, მარა რა უყოთ მერე? მაშინ სხვა იყო, ეხლა ის „სხვა გუნებაზე“ დამდგარა და კრიტიკოსობის მაგიერ გვერდს უვლის ამ კითხვას, ალბათ, იმისთვის, რომ თავის შეცდომაში დარწმუნებულა. ესაა, რომ ვერ გაუბედია პირდაპირ აღიაროს ეს შეცდომა, საერთოთ, ორ ცეცხლ შუაა ჩვენი ავტორი, ვერ გაუკვლევია, ვის მიემხროს. თუ „ეკონომისტებს“ მიემხრობა, მაშინ კავშირი უნდა შესწყვიტოს კაუცკისთან და მარქსიზმთან—ეს კი ხელსაყრელი არაა მისთვის; ხოლო თუ კავშირს შესწყვეტს „ეკონომიზმთან“ და კაუცკის მიემხრობა, მაშინ უეჭველად, უნდა მოუწეროს ხელი „უმრავლესობასაც“—ეს კი ვერ გაუბედია, და არის ისე ორ ცეცხლ შუა. მაშ რა ქნას ჩვენმა „კრიტიკოსმა“? აქ გაჩუმება სჯობიაო, სჩრის იგი და მართლაც გვერდს უვლის ზემოთ წამოყენებულ კითხვას. ასე იქცევა ყველა ის, ვისაც ლოღიკური სილაჩრე სჭირს.

რას ამბობს ავტორი შ ე გ ნ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ა ზ ე?

აქაც იმავე ორჭოფობასა და სიმხდალეს იჩენს. ის კითხვას აბრუნებს და დიდის რიხით გვიკიჟინებს: კაუცკი სულაც არ ამბობს, რომ ვითომ „ინტელიგენციას შეაქვს გარედმიდან მუშათა კლასში სოციალიზმიო“ (7 გვ.).

კეთილი, მარა ამას ხომ არც ჩვენ ვამბობთ, ბ. „კრიტიკოსო“, რატომ მოგინდომებიათ ჭარის წისქვილებთან შებრძოლება? რათ ვერ გაიგეთ, რომ ჩვენი აზრით სოციალ-დემოკრატიას *) შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალ-დემოკრატებს? რათა გგონიათ, რომ სოციალ-დემოკრატიაში მარტო ინტელიგენტებია, რით ვერ გაიგეთ, რომ სოციალ-დემოკრატიაში გაცილებით უფრო მეტია მოწინავე მუშები, ვიდრე ინტელიგენტები? ნუ თუ არ შეუძლიან სოციალ-დემოკრატ. მუშებს სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაში?...

ავტორს თვითონაც უგრძვნია თავისი „საბუთის უსაბუთობა“ და ახლა მეორე „საბუთისთვის“ მიუმართავს. აი ეს საბუთიც:

„კაუცკი სწერს: „პროლეტარიატთან ერთათ ბუნებრივი აუცილებლობით იბადება სოციალისტური მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა, როგორც თვით პროლეტარებს, ისე იმათ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს; ასე აიხსნება სოციალისტურ ლ ტ ო ლ ვ ი ლ ე ბ ა თ ა წარმოშობა“. აქედან აშკარაა, რომ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი გარედმიდან კი არ შედის პროლეტარიატში, არამედ, პირიქით, პროლეტარიატისგან გამოდის გარედ და შედის იმ პირთა თავში, რომელნიც პროლეტარიატის შეხედულებას ითვისებენ“ (8 გვ. „პასუხი კავშ. კომ.“).

*) იხ. „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე,“ 16 გვ.

ასე სწერს ჩვენი „კრიტიკოსი“ და ჰგონია, რომ კითხვა გამოვარკვიეო! რას ნიშნავს კაუცკის სიტყვები? მხოლოდ იმას, რომ სოციალისტური ლტოლვილება თავისთავათ ებადება პროლეტარებსო. ჩვენ კი სოციალისტურ შ ე გ ნ ე ბ ა ზ ე გვაქვს კამათი! საიდან სადაო? განა ლტოლვილება და შეგნება ერთია? ნუ თუ ვერ არჩევს ავტორი, „სოციალისტურ მიდრეკილებას“ „სოციალისტური შეგნებისგან“? და განა აზრის სიღატაკე არაა, როცა ის კაუცკის სიტყვებიდან დაასკვნის, რომ „სოციალიზმი გარედმიდან არ შედისო“? რა ერთობა აქვს „სოციალისტური მიდრეკილების წარმოშობას“ სოციალისტური შეგნების შეტანასთან? განა იგივე კაუცკი არ ამბობს, რომ „სოციალისტური შეგნება გ ა რ ე დ ა ნ ა ა შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში-“ო. (იხ. Что делать 27 გვ.)? ნეტა ვიცოდე, ვის ასულელებს ავტორი, თავის თავს თუ მკითხველს! ავტორი თითონაც ამჩნევს თავისი მდგომარეობის სიყალბეს და იძულებულია დაასკვნას: „კაუცკის ციტატიდან მართლა გამოდის, რომ სოციალისტური შეგნება გარედან შედის კლასთა ბრძოლაში“-ო (იხ. „პასუხი კავ. კ.“ 7 გვ.), მარა ვერ გაუბედია პირდაპირ და თამამათ აღიაროს ეს მეცნიერული სიმართლე. აქაც იგივე ორჭოფობასა და ლოღიკურ სილაჩრეს იჩენს ჩვენი „მეუმცირესე“, როგორც ზემოთ.

ასეთ ორჭოფულ „პასუხს“ იძლევა ბ. „კრიტიკოსი“ ორ უმთავრეს კითხვაზე. რაღა უნდა ვთქვა დანარჩენ წვრილ კითხვებზე, რომლებიც თავისთავათ გამომდინარეობს ამ სხვილი კითხვებიდან? უკეთესი იქნება, თუ მკითხველი თითონვე შეადარებს ჩემსა და ავტორის ბროშურებს. საჭიროა მხოლოდ კიდევ ერთ კითხვას შევეხოთ. ავტორს რომ ჰკითხო, ჩვენი აზრით „განხეთქილება იქედან წარმოსდგება, რომ კრებამ... აქსელროდი, ზასულიჩი და სტაროვერი არ აირჩია რედაქტორებად“ (13 გვ. „პასუხი“)... რომ ჩვენ ამით „უარვყოფთ განხეთქილებას, მის პრინციპიალურ სიღრმეს ვმალავთ და მთელი ოპოზიცია სამი „აბუნტებული“ „რედაქტორის საქმეთ გამოგვაქვს“ (იხ. იქვე 16 გვ.).

აქ ისე არეულ-დარეულია კითხვები, რომ არ შეიძლება სინათლე არ მოვფინოთ საგანს. საქმე იმაშია, რომ აქ ორი კითხვაა დაყენებული: მ ი ზ ე ზ ი უთანხმოების და ფ ო რ მ ა უთანხმოების. პირველ კითხვაზე მე პირდაპირ ვიძლევი პასუხს: „ეხლა ცხადია, თუ რა ნ ი ა დ ა გ ზ ე ალმოცენდა პარტიული უთანხმოება. ლაპარაკი არ უნდა, რომ პარტიაში ორგვარი მიდრეკილება გამოირკვა: მიდრეკილება პ რ ო ლ ე ტ ა რ ულ ი სიმტკიცის და მიდრეკილება ინ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ურ ი რყევის და აი, ამ ინტელიგენტური რყევის გამოხატულებაა დღევანდელი „უმცირესობა“ (იხ. „გაკვრით“ 46 გვ.). როგორც ხედავთ, აქ მე ინტელიგენტური და პროლეტარული მიდრეკილებით ვ ხ ს ნ ი უთანხმოებას, და არა მარტოვ-აქსელროდის საქციელით. მარტოვისა და სხვების ყოფაქცევა მხოლოდ გ ა მ ო ხ ა ტ ულ ე ბ ა ა ინტელიგენტური მიდრეკილების· მარა ჩვენ „მეუმცირესეს“ ვერ გაუგია ეს ადგილი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მე ვამბობდი და მუდამაც ვიტყვი, რომ „უმცირესობის“ მეთაურნი „პირველი ადგილებისათვის“ ტიროდენ და სწორეთ ასეთი ფ ო რ მ ა მისცეს პარტიულ ბრძოლას. ჩვენ ავტორს არ სჯერა ეს, მარა „უმცირესობის“ მეთაურნი კი პარტიას გაეფიცნენ, პირდაპირ ითხოვდნენ ად-

გილებს ც. კომიტეტში, ც. ორგანოში, პარტიის საბჭოში და თანაც ამბობდენ: „ეს ერთად-ერთი პირობებია, რომელთა დაკმაყოფილებასაც შეუძლიან ააშოროს პარტიას საშიშარი განხეთქილებაო“ (იხ. „Комментарии“ 30 გვ). მაშ რას ნიშნავს ეს, თუ არ იმას, რომ „უმცირესობის“ მეთაურებს „ადგილებისათვის ბრძოლა“ ეწერათ თავიანთ დროშაზე? იდეური ბრძოლაო—ახირებულხართ. მერე ვინ უშლიდა მათ იდეურ-პრინციპიალურ ბრძოლას? განა არ უთხრეს მათ „მეუმრავლესეებმა“: ცალკე ორგანო იქონიეთ და ისე იბრძოლეთ, პარტიას შეუძლიან ასეთი ორგანო დაგიარსოთო (იხ. „Комментарии“)? რატომ არ დასთანხმდნენ, თუ მართლა პრინციპები აინტერესებდათ, და არა „პირველი ადგილები“?

დიახ, ეს პოლიტიკური უხასიათობაა, ადგილებისთვის ბრძოლაა, და ნუ გწყინთ, თუ საგანს თავის სახელს ვარქმევთ.

„უმცირესობის“ ბელადები წინეთ ეთანხმებოდნენ მარქსიზმს და ლენინს, რომ სოციალისტური შეგნება გარედან შედის მუშათა მოძრაობაშიო (იხ. ისკრის საპროგრამო წერილი № 1), შემდეგ-კი რყევა დაიწყეს და ლენინს გამოეკამათნენ—სწვამდნენ მას, რასაც გუშინ ეთაყვანებოდნენ! მე ამას წაჯექ-უქუჯექობა დავარქვი, და ნურც ეს გეწყინებათ, ბატონებო, სიმართლის გულისთვის.

გუშინ თქვენ ცენტრებს თაყვანსა სცემდით და თავზე ცეცხლს გვაყრიდით—უნდობლობა რატომ გამოუცხადეთ ცენტრ. კომიტეტსო. დღეს-კი ძირს უთხრით არამც თუ ცენტრებს, არამედ ცენტრალიზმსაც (იხ. „Первая общерусск. конференция“). ამას მე უპრინციპობას ვარქმევ, და იმედია არც ამაზე გამიწყრებით, ბ. „მეუმცირესენო“.

ადგილებისთვის ბრძოლას, პოლიტიკურ უხასიათობას, წაჯექ-უკუჯექობას, უპრინციპობას და სხვა ამისთანა წვრილმალ თვისებებს რომ თავი მოუყაროთ, მიიღებთ საერთო თვისებას—ინტელიგენტურ რყევას, რომელიც ყველაზე პირველათ ინტელიგენტებსა სჭირთ. ცხადია, ინტელიგენტური რყევა ეს ის ნიადაგია (ბაზისია), რომელზედაც შენდება „ადგილებისთვის ბრძოლა“, „უპრინციპობა“ და სხვა. ინტელიგენტების რყევა კი მათი საზოგადოებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. აი როგორ ვხსნით ჩვენ პარტიულ განხეთქილებას. გაიგეთ ახლა ჩვენო ავტორო თუ რა გარჩევა ყოფილა განხეთქილების მიზეზსა და ფორმებ შორის? ვეჭვობ, რომ გაიგოთ, მეტადრე თუ გაკუჭებული წაიკითხავთ ამ წერილს. და განა ჩემი ბრალია, თუ დაწერილის გაგება არ შეგიძლიათ? საკვირველია ავტორის საქმე! აურევს კითხვებს ერთმანეთში, ჩაიჩეხება შუა გზაზე და დაყიალებს უგზოუკვლოთ ლოღიკის ლაბირინტებში! წადი და მუდამ ათრიე გზა არეული მოგზაური! ვისა სცალიან ამისთვის, ბ. „მეუმცირესევ“?

ასეთ აბდაუბდა „პასუხს“ იძლევა „სოციალ-დემოკრატი“ და მისი ახირებული „კრიტიკოსი“. სამაგიეროთ, ის ძალიან სიყოჩაღეს იჩენს სხვა სფეროში. თავის რვა ფურცლიან ბროშურაში რვა იმისთანა ტყუილი გამოახტუნა, რომ სიცილი აგივარდებათ. არა გჯერათ? აი ფაქტები.

ტყუილი პირველი. ავტორის აზრით, „ლენინსა სურს პარტია შეავიწროვოს, ვიწრო პროფესიონალურ ორგანიზაციათ გადააქციოს“ (2 გვ.). ლენინი კი ამბობს: „არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვითომ პარტიული ორგანიზაციები მარტო

პროფესიონალურ ორგენიზაციებისგან უნდა შესდგებოდეს. ჩვენ ბევრნაირი ორგანიზაციები გვესაჭიროება სხვა და სხვა ჯურისა და სახის, დაწყებული ვიწრო კონსპირატიული ორგანიზაციებიდან და გათავებული ძალიან ფართო და თავისუფალი ორგანიზაციებით“ („პროტოკოლები“ 240 გვ.).

ტყუილი მეორე. ავტორის სიტყვით ლენინს სურს პარტიაში „მარტო კომიტეტის წევრები შეიყვანოს“ (2 გვ.). ლენინი კი ამბობს: „ყველა ჯგუფები, წრეები, პოდკომიტეტები და სხვა, კომიტეტის განყოფილებებს უნდა წარმოადგენდნენ. ზოგი მათგანი პირდაპირ განაცხადებს პარტიაში შესვლის სურვილს და, როცა კომიტეტი დაამტკიცებს, შევლენ პარტიაში.“ (იხ. „Письмо к товарищу“ 17 გვ. *).

ტყუილი მესამე. ავტორის აზრით „ლენინი თხოულობს პარტიაში ინტელიგენტების გაბატონებას“ (5 გვ.). ლენინი კი ამბობს: „კომიტეტში უნდა იყვნენ, რამდენათაც შეიძლება, ყველა მოთავე მუშებიო“ (იხ. „Письмо к товарищу“, 7 გვ.). ე. ი. არამც თუ სხვა ორგანიზაციებში, არამედ კომიტეტშიაც მოწინავე მუშების ხმა უნდა ბატონობდესო.

ტყუილი მეოთხე. ავტორი ამბობს, რომ ჩემი ბროშურის მე 12 გვერ. მოყვანილი ციტატა „მუშათა კლასი“ და სხვ. ერთიანათ გამოგონილიაო“ (6 გვ.), მაშინ როდესაც მე ეს ადგილი პირდაპირ გადმოთარგმნილი მაქვს „Что делать“-იდან. აი რას ამბობს „Что делать“-ი ოცდა მეცხრე გვერდზე: „Рабочий класс стихийно влечется к социализму, но наиболее распространенная (и постоянно воскрешаемая в самых разнообразных формах) буржуазная идеология, тем не менее, всего более навязывается рабочему“ (29 გვ.). მე ასე მაქვს გადმოთარგმნილი ეს ადგილი ჩემი ბროშურის მე-12 გვერდზე: „მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისკენ, მარა, მიუხედავათ ამისა, ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უფრო ძლიერაა გავრცელებული ცხოვრებაში (და რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე), უფრო ხშირათ ეხეჩება გზაში მუშას და უფრო დაჟინებით ეკვიატება მას“. ამას ეძახის ჩვენი „კრიტიკოსი“ ციტატის გამოგონებას! არ ვიცი რას მივაწერო ეს, გულმავიწყობას თუ შარლატნობას.

ტყუილი მეხუთე. ავტორის აზრით „ლენინი არსად არ ამბობს, რომ მუშები „ბუნებრივი აუცილებლობით“ მიდიან სოციალიზმისკენო“ (7 გვ.). ლენინი კი ამბობს, რომ „მუშათა კლასი სტიქიურათ მიიღტვის სოციალიზმისკენო“ (Что делать 29 გვ.).

ტყუილი მეექვსე. ავტორი იმ აზრს მაწერს, რომ ვითომ ჩემი შეხედულობით „ინტელიგენციას შეაქვს გარედმიდან მუშათა კლასში სოციალიზმი “(7 გვ.), მაშინ როდესაც მე ვამბობ, რომ „სოციალდემოკრატიას (და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალდემოკრატებს) შეაქვს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება“ (18 გვ.).

ტყუილი მეშვიდე. ავტორის აზრით ლენინი ამბობს, რომ სოციალისტური იდეოლოგია შემუშავდა „სრულიათ დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობისგან“

*) ჩანს ლენინის აზრით ც. კ-ტის გარდა ადგილობრივ კომიტეტსაც შესძლებია ორგანიზაციების პარტიაში შეყვანა.

(9 გვ.). ლენინს კი მგონი ფიქრათაც არ მოსვლია ეს აზრი, და ამბობს, რომ სოციალისტური იდეოლოგია შემუშავდა „სრულიად დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობის სტიქიური ზრდისაგან“ (Что делать, 21 გვ.).

ტყუილი მერვე. ავტორი ამბობს, რომ ჩემი ცნობა: „პლეხანოვი“ „უმცირესობასაც“ ანებებს თავს—ჰორიაო“. მაშინ როდესაც ჩემი ცნობა გამართლდა, პლეხანოვმა უკვე გაანება თავი*) ...

მე აღარ ვეხები წვრიმალ ტყუილებს, რომლებიც უხვათაა გაბნეული ავტორის ბროშურაში.

ერთ სიმართლეს-კი ამბობს ღვთის წინაშე ჩვენი ავტორი. ის გვეუბნება, რომ „როცა რომელიმე ორგანიზაცია ჰორიკანობას დაიწყებს—მისი დღე დათვლილია“-ო (გვ. 15). ეს რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა. კითხვა იმაშია, თუ ვინ ჰორიკანობს: „სოციალდემოკრატი“ მისი ახირებული რაინდით, თუ კავშირის კომიტეტი. ამას მკითხველი განსჯის.

კიდევ ერთი კითხვაც და გავათაოთ. ავტორი დიდი ამბით გვეუბნება: „ჩვენ გვაყვედრის კავშ. კომიტეტი, პლეხანოვის აზრებს იმეორებთო“. პლეხანოვის, კაუცკის და სხვა ასეთი ცნობილი მარქსისტების განმეორება ღირსებათ მიგვაჩნია“ (15 გვ.). მაშ ასე, პლეხანოვის და კაუცკის განმეორება ღირსებათ მიგაჩნიათ. ძალიან კარგი, ბატონებო, ყური დამიგდეთ აბა.

კაუცკი ამბობს, რომ „სოციალისტური შეგნება გარედანაა შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში, და არა ბრძოლიდან აღმოცენებული“ (იხ. კაუც. წერილი Что делать-ში 27 გვ.). იგივე კაუცკი ამბობს, რომ სოციალდემოკრატიის მიზანია შეიტანოს პროლეტარიატში შეგნება მისი მდგომარეობისა და მოწოდებისა“ (იხ. იქვე). იმედია, ამ აზრებს გაიმეორებთ და ეჭვებს გაგვიფანტავთ, ბ. „მეუმცირესევ“.

გადავიდეთ ახლა პლეხანოვთან. პლეხანოვი ამბობს:

...„არ ძესმის, რატომ ფიქრობენ, რომ ლენინის პროექტი**) ბევრ მუშას ჩაუკეტავს პარტიის კარებსო. იმ მუშებს, რომლებსაც პარტიაში შესვლა უნდათ ორგანიზაციაში შესვლის არ შეეშინდებათ. მათ არ ეშინიანთ დისციპლინის. ორგანიზაციაში შესვლის შეეშინდება იმ ინტელიგენტებს, რომლებიც ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმითაა გაჟღენთილი. მარა ეს ხომ ხელსაყრელიცაა ჩვენთვის. სწორეთ ეს ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები არიან ხოლმე სხვადასხვა ოპორტუნიზმის წარმომადგენელნი. მათი ჩამოშორება საჭიროა ჩვენთვის. ლენინის პროექტი ის ზღუდეა, რომელიც პარტიას დაიფარავს მათი შემოსევისგან და ამიტომ, ვინც-კი ოპორტუნიზმის მტერია, ყველამ ხმა უნდა მისცეს ამ პროექტს“ (იხ. „პროტოკოლები“ 246 გვ.).

იმედია, ორჭოფობას თავს დაანებებთ, ბ „კრიტიკოსო“, და პროლეტარული პირდაპირობით გაიმეორებთ ამ აზრებსაც. თუ ასე არ მოიქცევით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ არ ფიქრობთ, როცა ლაპარაკობთ.

(„პროლეტარიატის ბრძოლა“ № 11. 1905 წელი, გვ. 12—13—14—15).

---

*) ამის პატრონი გვიკიჟინებს „სოციალდემოკრატის“ მე-5 №-ში, რომ მესამე კრების შესახებ ფაქტები გადამახინჯებული გაქვთო! რედ.

**) ლენინისა და მარტოვის ფორმულიროვკაზეა ლაპარაკი.

გმირული ბრძოლის 30 წელი

1903 წელს 30 ივლისს დაიწყო თავისი მუშაობა რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ და დაასრულა ის 23 აგვისტოს. ამრიგად უკვე გავიდა 30 წელი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, რომელსაც ქონდა და აქვს უაღრესი მნიშვნელობა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელ საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

პარტიის მეორე ყრილობაზე ჩამოყალიბდა ბოლშევიზმი. „ბოლშევიზმი არსებობს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან“ (ლენინი). ამიტომ მეორე ყრილობის 30 წლის თავი არის იმავე დროს ბოლშევიზმის, საკავშირო კომუნისტური პარტიის 30 წლის თავი.

ბოლშევიზმი წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ისეთ პერიოდში, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებობით. ეს იყო პერიოდი იმპერიალიზმის, როდესაც კაპიტალიზმის ყველა შინაგანი წინააღმდეგობები უაღრესად გაიზარდა და გამწვავდა, როდესაც კაპიტალიზმის განვითარება ხდებოდა კატასტროფიულ ფორმებში, როდესაც დღის წესრიგში დაისვა სოციალისტური რევოლიუციის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების საკითხი.

კაპიტალიზმის ამ უკანასკნელმა ეტაპმა დააყენა პროლეტარიატის წინაშე მთელი რიგი ახალი ამოცანებისა. საჭირო იყო მუშათა ფართე მასების შეკავშირება, მათი რევოლიუციონური აღზრდა და მომზადება უდიდესი მწვავე ბრძოლებისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი ძალა-უფლების დასამხობათ და პროლეტარიატის ძალა-უფლების დასამყარებლად.

ასეთი ამოცანების შესრულება არ შეეძლო მეორე ინტერნაციონალს (1889—1914), სადაც ფაქტიურათ გაბატონებული იყო ოპორტიუნიზმი. მეორე ინტერნაციონალის პარტიების (გარდა რუსეთის) პროგრამაში არ იყო მუხლი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის შესახებ, ე. ი. ის, რაც მთავარია მარქსიზმში საზოგადოთ. მარქსის მკაცრი კრიტიკა გოთას ს.-დ. პროგრამისა, მისი და ენგელსის მითითებები პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის შესახებ, არ იქმნა მიღებული მეორე ინტერნაციონალის მიერ. მარქსის და ენგელსის რევოლიუციონური დროშა, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის დროშა, ტალახში ამოსვრილი და მივიწყებული იქმნა ყველა რეფორმისტების და ოპორტუნისტების მიერ.

ეს რევოლიუციონური დროშა თავის ხელში აიღო ლენინმა, რომელმაც თავიდანვე უსასტიკესი ბრძოლა გამოუცხადა ყოველი ჯურის ოპორტუნისტებს, ბრწყინვალეთ დაიცვა მარქსის და ენგელსის რევოლიუციური მოძღვრება და

ამავე დროს მოგვცა მისი შემდგომი განვითარება. ლენინიზმი არის მარქსიზმი იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ეპოქის.

სოც.-დემ. წრეები არსებობდენ რუსეთში 80-იან წლებშიც. ასე, მაგალითად, პლეხანოვის მეთაურობით დაარსებული „შრომის განთავისუფლების" ჯგუფს საფუძველი ჩაეყარა 1883 წ. მაგრამ პარტიის დაარსებამდი ჯერ კიდევ შორს იყო. „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა" მხოლოდ „თეორეტიულად დაარსა სოციალ-დემოკრატია და გადასდგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობასთან დასაკავშირებლად" (ლენინი).

რუს. სოც.-დემ. პარტიის პირველ ყრილობამ (1898 წ.) გამოაცხადა მთლიანი პარტიის შექმნის შესახებ. მაგრამ ამით ფაქტიური მდგომარეობა არ შეცვლილა. ერთი, მთლიანი პარტია მაინც არ არსებობდა.

როგორი ტიპის პარტია იყო საჭირო ახალ პირობებში, ახალი ამოცანებისათვის ბრძოლის ორგანიზაციისათვის? პროლეტარული პარტიის პროგრამის ცენტრალური პუნქტი უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა. სწორედ ეს არ ახასიათებდა მეორე ინტერნაციონალს, სადაც პარტიის ტიპი „იყო სწორედ ისეთი პარტია, რომელიც თავის რიგებში ითმენდა ოპორტიუნიზმს... ასეთმა ტიპმა უკვე მოსჭამა თავისი დრო" (ლენინი).

საჭირო იყო სულ ახალი ტიპის პარტია, რევოლიუციონური პროგრამით, ტაქტიკით და მტკიცე ორგანიზაციით. სწორედ ასეთი ტიპის პარტია პირველად შექმნა ლენინმა, მთელი ათი წლის ბრძოლის შედეგათ, პარტიის მეორე ყრილობაზე (1903 წ.) ბოლშევიკების პარტიის სახით. თავისთავად ცხადია, რომ ამ ბრძოლას ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის თავიდანვე ჰქონდა საერთაშორისო მნიშვნელობა.

ლენინი, თავის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას მარქსის და ენგელსის რევოლიუციონური თეორიის სიწმინდისათვის (ბრძოლა ნაროდნიკების, „ეკონომისტების", ბერნშტეინიანელების და სხვ. წინააღმდეგ). გასული საუკუნის 90-იან წლებშივე ლენინმა პირველად დააყენა საკითხი ახალი ტიპის პარტიის შექმნის შესახებ. მისი მეთაურობით შექმნილი „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" (1895—97 წ.წ.) პეტერბურგში იყო ბოლშევიკური პარტიის ჩანასახი. „ეკონომისტებთან" ბრძოლის პროცესში ლენინმა განავითარა თავისი ისტორიული გეგმა პარტიის მშენებლობის შესახებ, რომელშიდაც ძირითად რგოლს წარმოადგენდა პოლიტიკური გაზეთის შექმნა. „ამ გეგმის გამარჯვებამ ჩაუყარა საფუძველი იმ მჭიდრო და გამობრძმედილ კომუნისტურ პარტიას, რომლის მსგავსს არ იცნობს მსოფლიო" (სტალინი). ლენინის გეგმის განხორციელება დაიწყო „ისკრას" დაარსებით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა „ეკონომისტების" განადგურებაში და ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის ნიადაგის მომზადებაში.

პარტიის მეორე ყრილობამ მიიღო პროგრამა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მეორე ინტერნაციონალის ყველა პარტიების პროგრამებისაგან და რომლის ცენტრში იყო პროლეტარიატის იდეა. „ეკონომისტებს" და სხვა ყოველი ჯურის ოპორტუნისტებს უნდოდათ თავზე მოეხვიათ ყრილობისათვის „ევროპიული" პროგრამა, მათ უნდოდათ ამოეგდოთ პროგრამიდან პროლეტა-

რიატის დიქტატურის იდეა. ლენინმა აწარმოვა მკაცრი ბრძოლა ასეთი ცდების წინააღმდეგ, მან შესძლო დაეცვა პროგრამა არა მარტო ამ „ანტიისკროველ“ ოპორტიუნისტებისაგან, არამედ აგრეთვე პლეხანოვის ოპორტუნისტულ გამოსვლებისაგანაც.

ლენინმა სასტიკათ გაკრიტიკა პლეხანოვის პროგრამის პროექტი, ის მოითხოვდა, რომ პროგრამა ყოფილიყო პარტიის ბრძოლის პროგრამა, ხოლო ის, რაც დასწერა პლეხანოვმა „უფრო პროგრამაა მოწაფეთათვის (განსაკუთრებით მთავარ განყოფილებაში, სადაც მოცემულია კაპიტალიზმის დახასიათება), უფრო პირველი კურსის მოწაფეთათვის სადაც ლაპარაკობენ კაპიტალიზმზე საზოგადოთ და ჯერ კიდევ არაფერს არ ამბობენ რუსეთის კაპიტალიზმზე“.

ლენინი მოითხოვდა პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის იდეის შეტანას წინააღმდეგ პლეხანოვის და სხვა ოპორტუნისტებისა. თავის შენიშვნებში ლენინი სწერდა, რომ „პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს ცნობა მტკიცეთ და განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური მანიფესტის იმ დებულებასთან, რომელიც ამბობს, რომ პროლეტარიატი ერთად-ერთი ნამდვილი რევოლიუციონური კლასია“.

პროგრამულ საკითხზე ლენინი დიდი ხანია მუშაობდა ყრილობის წინ. ამ მუშაობის და ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის მეოხებით გახდა შესაძლებელი მეორე ყრილობაზე ისეთი პროგრამის მიღება, რომელიც ძირითადათ განსხვავდებოდა მეორე ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებისაგან, რომელიც შეეფერებოდა კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ ეტაპს და უნდა ყოფილიყო სულ ახალი ტიპის პარტიის პროგრამა.

მთავარი საკითხი, რომლის გარშემო გაიმართა ბრძოლა მეორე ყრილობაზე, იყო ორგანიზაციული საკითხი. მაგრამ შეუძლებელია გაგებული იქმნას ეს ბრძოლა, თუ გაგებული არ არის ის უთანხმოება, რომელიც არსებობდა პროგრამის საკითხის გარშემო. ორგანიზაციული უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მეორე ყრილობაზე მტკიცეთ იყო დაკავშირებული პროგრამულ უთანხმოებასთან და წარმოადგენდა ამ უკანასკნელის ლოღიკურ განვითარებას.

თუ პროგრამის ცენტრალური იდეა პროლეტარიატის დიქტატურა უნდა იყოს, თავის თავად ცხადია, ეს მოითხოვს ისეთი მტკიცე პარტიის შექმნას, რომელსაც შეუძლია მუშათა მასების შეკავშირება და მათი ბრძოლის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის დიქტატურისათვის. სულ ახალი ტიპის პროგრამა მოითხოვდა ახალი ტიპის პარტიის შექმნას.

თუ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის იდეა არ უნდა იყოს, ე. ი. თუ პროგრამა უნდა ყოფილიყო გადმოწერილი ევროპის ს.-დ. პარტიების პროგრამებისაგან, მაშინ, თავის თავად ცხადია, არ არის საჭირო ისეთი მებრძოლი პარტიის შექმნა, რომელიც უნდა ხასიათდებოდეს მტკიცე დისციპლინით, სასტიკი ბრძოლით ოპორტიუნისტების წინააღმდეგ, მათი განდევნით პარტიის რიგებიდან. ძველი „ევროპიული“ ტიპის პროგრამა მოითხოვდა ძველი „ევროპიული“ ტიპის პარტიის შექმნას, რომელიც თავის რიგებში მოითმენდა ოპორტუნიზმს, ფრაქციულ ბრძოლას, დაჭსაჭსულობას და სხვა.

ლენინმა წამოაყენა იდეა ახალი ტიპის პარტიის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის მებრძოლი პარტიის შექმნისა. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მარტოვის ორგანიზაციული შეხედულებები, რომლის გზა, აკიმოვის გამოთქმით, „არის გზა „ისკრის“ ორგანიზაციული პრინციპებიდან „კავშირის“ ორგანიზაციული პრინციპებისაკენ“.

„ისკრა“ აწარმოებდა მეორე ყრილობამდის სასტიკ ბრძოლას „კავშირის“, ეკონომისტების და ყოველგვარი ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც ქადაგებდენ სტიქიურობას, წინააღმდეგი იყვნენ პოლიტიკური პარტიის შექმნის, „კუსტარულობისა“ და დაქსაქსულობისა ან თავის დახწევის და წინ აყენებდენ „პიატაჩოკისათვის“ ბრძოლას, ცდილობდენ რა მუშათა კლასის გადაქცევას ბურწუაზიის კუდათ.

პარტიის მეორე ყრილობაზე მენშევიკების მიერ განვითარებული ორგანიზაციული შეხედულებები ემყარებოდა სწორედ „ეკონომისტების“ ამ „ხვოსტიზმის“ და „სტიქიურობის“ ფილოსოფიას.

მარტოვი მოითხოვდა, რომ პარტიის წევრად ყოფილიყო ყველა „ვინც იზიარებს მის პროგრამას, ეხმარება მატერიალურ საშუალებით, და უწევს მას რეგულიარულ პირად დახმარებას ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით“.

ლენინი მოითხოვდა, რომ პარტიის წევრად ყოფილიყო ყველა „ვინც ცნობს მის პროგრამას, ეხმარება პარტიას, როგორც მატერიალური საშუალებით, ისე პირადი მონაწილეობით რომელიმე ორგანიზაციაში“.

მარტოვის ფორმულირებას პარტიის წესდების ამ პირველი პარაგრაფისა მხარი დაუჭირა აქსელროდმა, რომელიც მოითხოვდა ყველა გიმნაზისტებისათვის, პროფესორებისათვის და სხვ. პარტიის კარების ფართედ გაღებას, ტროცკიმ და სხვ. კერძოდ ამ ფორმულირებას მხარი დაუჭირა საქართველოს მენშევიკების ლიდერმა ნოე ჟორდანიამ (კოსტროვი), რომელმაც განაცხადა ყრილობაზე, რომ ლენინის ფორმულირების მიღება „ნიშნავს მთელი ჩვენი საქმის დეზორგანიზაციას რუსეთში“.

ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მარტოვის, აქსელროდის, ტროცკის და სხვ. მენშევიკების შეხედულებები. ის ამბობდა მეორე ყრილობაზე: „ყოველი პარტიის წევრი პასუხისმგებელია პარტიაზე და პარტია პასუხისმგებელია ყოველ წევრზე. მარტოვის ფორმულირება უეჭველად კარებს უღებს დაქსაქსულობის, მერყეობის, ოპორტუნიზმის ყველა ელემენტებს... ჩვენი ამოცანაა დავიცვათ სიმტკიცე და სიწმინდე ჩვენი პარტიის, ჩვენ უნდა ავსწიოთ სახელწოდება და მნიშვნელობა პარტიის წევრის მაღლა, მაღლა და მაღლა და მე ამიტომ წინააღმდეგი ვარ მარტოვის ფორმულირების“.

მენშევიკების ორგანიზაციული პრინციპების მიხედვით რომ აგებულიყო ჩვენი პარტია, თავის თავად ცხადია, ის აუცილებლად „გაივსებოდა გიმნაზისტებით და პროფესორებით. გადაიქცეოდა დაქსაქსულ უფორმო დეზორგანიზებულ“ (სტალინი) რამეთ.

ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, შექმნეს ახალი ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე ახალი ტიპის მტკიცე, გამობრძმედილი პარტია, საკავშირო კომუნისტური პარტია, რომლის მსგავსი არ იცის ჯერ მსოფლიომ.

ჩვენ აქ არ შევეხებით მთელ რიგ სხვა საკითხებს, რომლებიც განხილულ იქმნა მეორე ყრილობაზე (ნაციონალური საკითხი, აგრარული საკითხი და სხვ.). ყველა ეს საკითხები ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით გადასწყვიტეს მარქსისტული თეორიის საფუძველზე.

მეორე ყრილობის პერიოდში ამხ. სტალინს მუშაობა უხდებოდა ამიერ-კავკასიაში, სადაც იგი ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა ამ.-კავკასიის მენშევიზმის და მისი იდეური სულის ჩამდგმელის ნოე ჯორდანიას წინააღმდეგ.

ამხ. სტალინი ამ პერიოდში წარმოადგენდა არა მარტო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების უდიდეს ორგანიზატორს, არამედ პარტიის გამოჩენილ თეორეტიკოსსაც, რომელიც მტკიცედ იცავდა მარქსიზმის თეორეტიულ საფუძვლებს და ურყევად ატარებდა ლენინის შეხედულებებს.

მეორე ყრილობის შემდეგ განვლილ 30 წელი მდიდარია უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური მოვლენებით. მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიამ მეორე ყრილობის შემდეგ სავსებით ნათელჰყო, რომ ერთად ერთი სწორი გზა იყო ლენინის გზა, რომელსაც მიემხრო მეორე ყრილობის უმრავლესობა.

ბოლშევიკური პარტია მეორე ყრილობის შემდეგ განაგრძობდა სასტიკ ბრძოლას ყოველი ჯურის ოპორტუნისტებთან (როგორც რუსეთის, ისე საზღვარ გარეთის). მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა კერძოთ რ. ლიუქსემბურგმა მხარი დაუჭირეს მენშევიკებს და გააჩაღეს ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ; მაგრამ ბოლშევიკური პარტია, მიუხედავად ამისა, მეტად რთულ ისტორიულ პირობებში (პირველი რევოლუცია, რეაქცია, მსოფლიო ომი და სხვ.) თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა. 1917 წელს ბოლშევიკურ პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა რუსეთში (ოქტომბრის რევოლიუცია) და ძალაუფლება.

ბოლშევიზმის ამ უდიდესი გამარჯვების პირობას წარმოადგენდა შეურიგებელი ბრძოლა პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს, ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის. ბოლშევიზმის გამარჯვება რუსეთში შეუძლებელი იყო გარეშე სასტიკი ბრძოლისა მენშევიზმის, ტროცკიზმის, ოტზოვისტების და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ. საჭირო იყო მტკიცე პარტიის შექმნა, მისი გაწმენდა ოპორტუნისტებისაგან, მენშევიზმის, ტროცკიზმის და სხვა მიმდინარეობათა ანტიპროლეტარული ბუნების გამომჟღავნება. უამისოთ შეუძლებელი იყო ლაპარაკი გამარჯვებაზე. ოქტომბრის რევოლუციამდე ბოლშევიკურ პარტიამ ჩაატარა ეს უდიდესი მუშაობა ლენინის ხელმძღვანელობით და დააგროვა მდიდარი გამოცდილება, რომელზედაც სწავლობენ ეხლა კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა პარტიები. ბოლშევიკური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი მესამე ინტერნაციონალს, წარმოადგენს მის ყველაზე უფრო მძლავრს, მრავალრიცხოვან ბრძოლაში გამობრძმედილს, მტკიცე პარტიას.

პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ საბჭ. კავშირში ოპორტუნისტები ცდილობდენ პარტიის შიგნიდან აფეთქებას, მასში მეორე ინტერნაციონალის ტრადიციების გადმოტანას, მენშევიზმის აღორძინებას. საკმარისია

აქ მოვიგონოთ ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის და სხვა პოზიცია 1917 წ., ტროცკიზმის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ (1918, 1921, 1923—27 წ. წ.), რომელიც გადაიქცა მსოფლიო ბურჟუაზიის მოწინავე რაზმათ, „მემარცხენე კომუნისტები“, (ბუხარინი და სხვა), „მუშათა ოპოზიცია“ (შლიაპნიკოვი), ახალი ოპოზიცია (ზინოვიევი, კამენევი), მემარჯვენე ოპოზიცია (ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი), მემარჯვენე „მემარცხენე“ ბლოკი (სირცოვი და სხვ.) ნაციონალისტური დაჯგუფებები და სხვ. შეუძლებელი იყო წინსვლა, შეუძლებელი იყო სოციალისტური მშენებლობა და მისი გამარჯვება ისე, თუ სასტიკათ დამარცხებული არ იქნებოდნენ ყველა ეს ანტიპარტიული მიმდინარეობანი. ბრძოლა მათ წინააღმდეგ იყო და არის ბრძოლა პარტიისათვის, ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში. ეს ბრძოლა ჩატარებულ იქნა ლენინის და, სტალინის ხელმძღვანელობით და დასრულდა პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებებით ყველა ფრონტზე, მისი კიდევ უფრო განმტკიცებით.

30 წელია რაც ჩვენი პარტია აწარმოებს გმირულ ბრძოლას ყველა მტრების წინააღმდეგ.

30 წელია რაც ჩვენი პარტია მიდიოდა ლენინის გზით და მისი დროშით ხელში აღწევდა სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს. საუკეთესო იარაღი ამ გმირულ ბრძოლაში იყო და არის ის იარაღი, რომელიც გამოსჭედა თვით ლენინმა მეორე ყრილობაზე.

ეს იარაღია—პროლეტარიატის ყველაზე უფრო შეგნებული, მოწინავე, შეკავშირებული ნაწილი—პარტია, მისი მტკიცე ცენტრალიზებული ორგანიზაციები, მისი ფოლადისებური რიგები.

ბოლშევიკების პარტიამ, შეიარაღებულმა მოწინავე რევოლიუციონური თეორიით, მიდიოდა რა ის ლენინის გზით, შესძლო მიეღწია უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე გამარჯვებამდის.

შემდეგში შეურიგებელი ბრძოლით ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ, კერძოთ კი მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტია წავა წინ ამხ. სტალინის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით და მიაღწევს კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებს.

ლ. ბერია

საბჭოთა კავშირი უახლოეს წლებში განთავისუფლდება ჩაის იმპორტისაგან

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასვა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა: „მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით".

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩაის მეურნეობა საქართველოში საგრძნობლად განვითარდა. 1931 წლის დამლევს ჩაის პლანტაციებს უკვე ეკავათ 19.900 ჰექტარი—23-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე და 16-ჯერ მეტი 1925 წელთან შედარებით. მაგრამ ჩაის ფართობის ზრდას თან სდევდა ნარგავთა საგრძნობი ნაწილის დაღუპვა. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში 1931 წლამდე გაშენებული პლანტაციებიდან გადარჩა მთელი ფართობის მხოლოდ 63,9 პროცენტი. ამასთან გადარჩენილი პლანტაციების მდგომარეობაც ვერ იყო სახარბიელო.

ჩაის ბუჩქი უკვე დარგვის მესამე წლიდან უნდა იძლეოდეს პროდუქციას (მწვანე ფოთოლს), ხოლო მერვე წელში სრულ მოსავალს. ამავე დროს კი ბუჩქი ჩვენში ძალიან ხშირად მეოთხე წელშიც კი არაფერს არ იძლევა. 1932 წელს თითო ჰექტარიდან საშუალოდ მივიღეთ 600 კილოგრამამდე მწვანე ფოთოლი მაშინ, როცა, მაგალითად, ცეილონის კუნძულზე მოსავალი აღწევს 2.800 კილოგრამამდე ჰექტარიდან, ხოლო იაპონიაში—5,6 ათას კილოგრამამდე.

ჩაის მწვანე ფოთლის საერთო გამოსავალმა 1931 წელს მიაღწია სულ 1.373 ტონას, რაც მხოლოდ ორჯერ აღემატება 1925 წლის გამოსავალს.

პლანტაციების ნაწილის დაღუპვა და დაბალი მოსავლიანობა აიხსნება, პირველყოვლისა, ფართობის რაოდენობრივი ზრდისათვის გამოდევნებით და მუშაობის ხარისხის დავიწყებით.

პლანტაციების გაშენება ხდებოდა ნაჩქარევად, სამელიორაციო მხრით მოუმზადებელ მიწებზე, შემდგომი დამუშავება და მოვლა ხშირად არა საკმაოდ და უმართებულოდ წარმოებდა. ცუდად ინერგებოდა აგროტექნიკა, საბჭოთა მეურნეობანი ეწყობოდა მათი ტერიტორიის წინასწარი მომზადების გარეშე, საჭირო მუშა-ხელის უყოლობის პირობებში.

თუ ამასთან მიუთითებთ გააფთრებულ კულაკურ აგიტაციასა და საბოტაჟზე, რაც მიმართული იყო ჩაის კულტურის განვითარების გეგმების ჩაშლისაკენ,—საქართველოს ჩაის მეურნეობის სურათი 1931 წლისათვის სავსებით ნათელი იქნება.

საკ. კ.პ.(ბ) ცეკას ზემოთმოყვანილმა გადაწყვეტილებამ ჩაის შესახებ აიძულა საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკა და ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებით ყურადღებით მოპყრობოდენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ჩაის დარგში. ჩაი გადაიქცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საბრძოლო უბნად.

1932 წელს გაშენებული იქნა ახალი პლანტაციები 13.166 ჰექტარზე, რაც შეადგენს ჩაის ნარგავების მთელი მანამდე არსებული ფართობის 65 პროცენტს. 1932 წლის დამლევს ჩაის ეკავა 33.066 ჰექტარი. აქედან უდიდესი ნაწილი (85 პროც.) მოდიოდა სოციალისტურ სექტორზე; 9.090 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობებზე და 19.835 ჰექტ. კოლმეურნეობებზე.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ჩაის მეურნეობის მდგომარეობაში 1932 წელს მოხდა ერთგვარი გარდატეხა. ახალი ნარგავების დაღუპვა საგრძნობლად შემცირდა. დიდი მუშაობა ჩატარდა უკანასკნელ წლებში გაშენებული პლანტაციების აღდგენის და რემონტის, შემოკავების, ახალი გზების გაყვანის ხაზით და სხვ აღდგენილ იქნა პლანტაციები 2.574 ჰექტარზე. ჩატარდა რადიკალური მელიორაცია 4ᵍ11 ჰექტარზე. ჩატარდა 1932 წლამდე გაშენებული ყველა პლანტაციების მთლიანი გამოკვლევა და პასპორტიზაცია. ცოცხალი ღობე მოეწყო 127 ჰექტარზე, საფუძველი ჩაეყარა ეკლიან მცენარეთა (გარეული ლიმონი) სანერგეს, რომელიც იძლევა ნერგს პლანტაციების შემოსაკავებლად 6.000 კილომეტრზე. გაყვანილ იქნა 380 კილომეტრი ახალი გზა. საკავშირო ტრესტის „საქართველოს ჩაი“-ს პროდუქციამ 1932 წელს მიაღწია 2.197.000 მანეთს-(მრეწველობის ფასებით), მაშინ, როცა 1931 წელს იგი შეადგენდა ერთ მილიონ მანეთს.

მაგრამ ეს წარმატებანი სრულიადაც არ არის საკმარისი. მოსავლიანობის გადიდების გარეშე მარტო ფართობის რაოდენობრივი ზრდით ვერ გადაწყდება ამოცანა ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნას მეორე ხუთწლედში მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით.

პირველ რიგში დადგა ნიადაგის გულდასმით წინასწარი მომზადების, გაშენებული პლანტაციების ტერიტორიის ორგანიზაციის, გზების მოწყობის, აგრო-ტექნიკის თვალსაზრისით სისტემატიური და მართებული მოვლის საკითხები. ჩაის მეურნეთა შორის წამოყენებულ იქნა ლოზუნგი: „უნდა იცნობდე ჩაის თითოეულ ბუჩქს“, ლოზუნგი, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურენ რაიონული ორგანიზაციები. ხარისხისათვის ბრძოლა გადაიქცა საქართველოს ჩაის რაიონების ბოლშევიკების ღირსების საქმედ.

დაბალი მოსავლიანობა (500—600 კილოგრამი) არ შეიძლება აიხსნას დასავლეთ საქართველოს კლიმატიური და ნიადაგობრივი პირობებით. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ცალკე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა პლანტაციებიდან და საცდელ ნაკვეთებიდან, კარგი დამუშავების და გულმოდგინე მოვლის შედეგად, ერთ ჰექტარზე ღებულობდენ 1.800 და 2.200 კილოგრამსაც კი. საშუალო ნორმად უახლოესი წლებისათვის ჩვენს პირობებში უნდა ჩაითვალოს 2.000 კილოგრამი. 1933 წელს მოსავლიანობა მოსალოდნელია 800—980 კილოგრამის რაოდენობით და 1935 წლისათვის ჩვენ უნდა მივიღოთ ორჯერ ანუ უფრო მეტი. ამ საკითხში უდიდესი და გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მინერალური და ორგანული სასუქის ფართოდ გამოყენებამ. ჩაის კულტურა მთლიან განოყიერებას მოითხოვს. იაპონიაში ხელოვნური სასუქის გამოყენება მოსავალს ადიდებს 60-70 პროცენტით. ჩვენში კი სასუქი ჯერ კიდევ არა საკმაოა,—შეადგენს მოთხოვნილების 15-20 პროცენტს, ამასაც ჩვეულებრივ თავის დროზე ვერ ღებულობენ, რაც საგრძნობლად ამცირებს სასუქის ეფექტიურობას.

ბოლოს, ჯნდა შეეუდგეთ სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებათა ფართოდ გატარებას (პირველ რიგში ქარისაგან დასაცავ ნარგავების გაშენებას) და მოვაწყოთ ბრძოლა ნიადაგის ჩამორეცხვასთან, რომელიც ჩაშლას უმზადებს ჩაის გასაშენებლად წარმოებულ მთელ მუშაობას. ტყის საშუალებით დაცვა ფერდობებზე, ჩაის გაშენების სპეციალური მეთოდები, ხე-ტყის მოჭრის მოწესრიგება და სხვა ყველა ეს ღონისძიებები უნდა გავატაროთ ფართო მასშტაბით და ამ მუშაობას ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს სპეციალური კომიტეტი, რომელიც უნდა შეიქმნას ჩამორეცხვასთან საბრძოლველად.

რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, აქ განსაკუთრებით ვიწრო ადგილს წარმოადგენს მუშა-ხელის დიდი დენადობა. ამიტომ მუშათა მუდმივი კადრის შექმნა ადგილობრივ მოსახლეობიდან, ცხოვრების მატერიალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესება საბჭოთა მეურნეობებში და მუშების და მათი ოჯახების უზრუნველყოფა ბინებით, საკარმიდამო უბნებით და სხვა,—„საქართველოს ჩაი“-ს გადაუდებელი ამოცანაა.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ წინანდელი შეცდომების შედეგები და სწორად დავაყენოთ ჩაის მეურნეობა.

ახლა არსებულმა პლანტაციებმა 1933 წელს უნდა მოგვცენ 6.500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 2.407 ტონას ნაცვლად, რაც მივიღეთ 1932 წელს, ჩაის ფაბრიკებში ამ ნედლეულის გადამუშავების შემდეგ ჩვენ მივიღებთ 1509 ტონა მზა ჩაის, ნაცვლად 655 ტონისა 1932 წელს. შემდგომ წლებში კი, ჩაის ცალკე პლანტაციებიდან სრული მოსავლის შეგროვების დროს, მოსავლიანობა გაიზრდება და 1938 წლისათვის ახლა არსებულმა ფართობმა უნდა მოგვცეს 84.309 ტონა პროდუქცია, ე. ი. 20.548 ტონა მზა ჩაი.

ზემომოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი ეფექტის მოცემა შეუძლია აგროღონისძიებათა მართებულად გამოყენებას.

დროებით უარი უნდა ვთქვათ ფართობების დაჩქარებული ტემპებით შემდგომ გადიდებაზე და ენერგიულად მოვკიდოთ ხელი უკვე გაშენებულ პლანტაციების ათვისებას, ამ პლანტაციებზე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და ჩავატაროთ მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები იმისთვის, რომ „1935 წლიდან დაწყებული, უზრუნველვყოთ ახალი პლანტაციების გაშენება სწრაფი ტემპებით“.

ახალი პლანტაციების გაშენების მიმდინარე წლის გეგმა 1.900 ჰექტარის რაოდენობით გადაჭარბებით სრულდება, როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან ერთად უკვე ჩატარდა დიდი მუშაობა ძველი პლანტაციების აღდგენის და მათი რემონტის საქმეში; აღდგენილ იქნა 1.715 ჰექტარი (გეგმის 98,5 პროცენტი), ჩატარდა რემონტი 3.390 ჰექტარზე (გეგმის 96,9 პროცენტი). ყველა წლების განმავლობაში პირველად ჩატარდა ჩაის ბუჩქების შეკრეჭა და მათთვის ფორმის მიცემა უდიდეს ფართობზე—3.830 ჰექტარზე (გეგმის 97 პროც.) ხოლო საზამთრო გადაბარვა—9.702 ჰექტარზე (გეგმის 98 პროც.).

ჩაის კულტურა უაღრესად შრომის ტევადი კულტურაა. ამ მხრით ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია შეიძლება შევადაროთ მარცვლეულის ათეულ ათას

ჰექტარებს. ამიტომ ბრძოლა მუშაობის ხარისხისა და მოსავლისათვის, რაც შეიცავს სასუქის მთლიან შეტანას, ოთხჯერ გათოხნას, ჩაის ბუჩქის მთლიანად შეკრეჭას და მისთვის ფორმის მიცემას, საზამთრო გადაბარვას და, ბოლოს, მწვანე ფოთლის შგიდჯერ მოკრეფას,—მწვავე ბრძოლა ყოველივე ამისთვის ჩვენ მომავალშიაც მოგვიხდება. მაგრამ საქართველოს ბოლშევიკები გადალახავენ სიძნელეებს და გაადიდებენ ჩაის მოსავალს. ჩაის მეურნე გლეხებმა პირველ რიგში კი კოლმეურნემ, უკვე ნათლად შეიგნო ჩაის გაშენების მთელი სარგებლიანობა. ამაში ერთგვარი როლი ითამაშა ეგრედწოდებულ უხეშ ფოთლის გადამუშავებამ, რომელსაც წინად ჩაის ბუჩქის შეკრეჭის და მისთვის ფორმის მიცემის დროს, პირდაპირ ყრიდენ. ეხლა ამ უხეშ ფურცელს გლეხებიდან ყიდულობენ ფულზე. რაოდენობის მხრივ უხეში ფოთოლი რამდენადმე უფრო მეტი მოდის, ვიდრე მწვანე ფოთოლი. ამრიგად, პლანტაციების საერთო პროდუქცია ამჟამად ორკეცდება. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საქართველოში ჩაიმ საგრძნობლად მოიკიდა ფეხი და მას აქვს ყველა საჭირო პირობები, შემდგომი ხელსაყრელი განვითარებისათვის.

ჩაის მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით, საქართველოს ბოლშევიკების წინაშე ისახება კიდევ ერთი ამოცანა—ჩაის პროდუქციის გადამუშავების ამოცანა. 1932 წელს საქართველოში იყო ჩაის 15 ფაბრიკა. წელს ფართოვდება სამი ფაბრიკა და შენდება ერთი ახალი ფაბრიკა. შემდგომ წლებში ფაბრიკის მშენებლობა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს. სულ მეორე ხუთწლედში, განზრახულია ჩაის 40 ფაბრიკის აშენება, რაც მოითხოვს დაახლოებით 90 მილიონ მანეთს.

საქართველოს ჩაის მეურნეობა უკვე საგრძნობ ადგილს იჭერს სახალხო მეურნეობაში. თუ საქმე სწორად იქნა დაყენებული და შესაფერისმა ორგანიზაციებმა მიაქციეს ამას საჭირო ყურადღება, ჩვენმა პლანტაციებმა უახლოეს წლებში უნდა გაანთავისუფლონ საბჭოთა კავშირი ჩაის იმპორტისაგან და მოგვცენ ისეთი პროდუქცია, რომელიც ხარისხის მხრით არ ჩამოუვარდება ცეილონის ან იაპონიის ჩაის.

ჩაის ფრონტზე, ისე, როგორც სოციალისტური მშენებლობის ყველა სხვა უბნებზე, ერთხელ კიდევ დასტურდება ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაის კულტურის განვითარების საქმეში საბოლოოდ იქნა აღმოფხვრილი მემარჯვენე ოპორტუნისტული თვითდინება, მხოლოდ საკ. კ.პ.(ბ) ცეკას დირექტივების და ამხ. სტალინის მითითებათა სწორად გატარებით ჩვენ ვიწყეთ გამარჯვებათა მოპოება ამ ფრონტზე.

საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განამტკიცონ უკვე მიღწეული პირველი წარმატებანი, გასტეხონ კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგობა. გადალახონ სოციალისტური ზრდის ყველა სიძნელეები და წავიდენ წინ პარტიის მიერ დასახული გზით.

ამ გზით ჩვენთვის უზრუნველყოფილია გამარჯვება საბჭოთა კავშირის ჩაის მხრით დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ე. გედია

მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრება პარტიის შესახებ

იმპერიალიზმის ეპოქაში ლენინმა პირველ რიგში დააყენა მებრძოლი პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედების თეორია, პროლეტარიატის, რომელმაც თავისი რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობა. თავის ისტორიულ გამოსვლაში კომინტერნის მე-2 კონგრესზე ლენინი ლაპარაკობდა: „აბსოლუტურად გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ბურჟუაზია იქცევა ისე, როგორც გათავხედებული და გონება დაკარგული მტაცებელი, ის სისულელეს სისულელეზე ჩადის, ართულებს რა მდგომარეობას, აჩქარებს რა თავის დაღუპვას. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება იმის „დამტკიცება“, რომ აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა არ არის იმისი, რომ მან ვერ მიაძინოს გაყვლეფილთა ესა თუ ის უმცირესობა აჯა თუ იმ დათმობებით, რომ მან ვერ ჩააქროს ჩაგრულთა და გაყვლეფილთა ამა თუ იმ ნაწილის ესა თუ ის მოძრაობა ან აჯანყება. წინასწარ „აბსოლუტური“ გამოუვალობის „დამტკიცების“ ცდა იქნებოდა უბრალო პედანტობა ან თამაში ცნებებით და სიტყვებით. ნამდვილი დამტკიცება ამაში და მსგავს საკითხებში შეიძლება იყოს მხოლოდ პრაქტიკა. ბურჟუაზიული წესწყობილება მთელს მსოფლიოში განიცდის უდიდეს კრიზისს. ეხლა რევოლუციური პარტიების პრაქტიკით უნდა „დამტკიცდეს“, რომ მათ აქვთ საკმაო შეგნება, დარაზმულობა, კავშირი გაყვლეფილ კლასებთან, გაბედულობა, ცოდნა იმისათვის, რათა ეს კრიზისი გამოიყენონ წარმატებითი ძლევამოსილი რევოლუციისათვის“.

იმპერიალიზმმა დღის წესრიგში დააყენა უდიდესი რევოლუციური ამოცანა—კაპიტალისტური ბატონობის დამხობა სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს დამყარების გზით. მაგრამ იმისათვის, რომ პროლეტარიატი წაგვეყვანა ხელისუფლების დაპყრობისაკენ, აღჭურვილი იყო პარტია გარკვეული რევოლუციური პროგრამით, მტკიცე ტაქტიკით, რკინისებური დისციპლინით და ცენტრალიზებური ხელმძღვანელობით.

ლენინი ლაპარაკობდა, რომ „პროლეტარიატს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში არა აქვს სხვა იარაღი, გარდა ორგანიზაციისა... პროლეტარიატს შეუძლია და აუცილებლად უნდა გახდეს დაუძლეველ ძალად, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისი მარქსიზმის პრინციპებით გაერთიანების იდეას ძირს უმაგრებს ორგანიზაციის მატერიალური მთლიანობა, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად“.

ეს ახალი ტიპის პოლიტიკური პარტია შექმნა ბოლშევიზმის გენიალურმა ბელადმა და თეორეტიკოსმა—ლენინმა.

მე-2 ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, ბოლშევიკური პარტიის გამოკლებით, ეწყობოდენ იმთავითვე ოპორტუნიზმის საფუძველზე. სცნობდენ რა მარქსიზმს მხოლოდ სიტყვით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები ამახინჯებდენ მარქსიზმს. რეფორმისტებმა და ცენტრისტებმა კაუცკის მეთაურობით დაამახინჯეს, გააყალბეს პირველ რიგში მარქსის და ენგელსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. სოციალ-დემოკრატიამ კლასობრივი ბრძოლისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო ძალაუფლების რევოლუციური გზით დამხობის თეორიის ნაცვლად წამოაყენა მშვიდობიანი საპარლამენტო რეფორმა და თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის ნაცვლად—კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმში, დიალექტიური მატერიალიზმის რევოლუციური ფილოსოფიის ნაცვლად—რეაქციონური იდეალიზმი. ამ რეფორმისტულმა შეხედულებებმა თანდათან მოიპოვეს ბატონობა ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იმ ისტორიულ მიჯნაზე, როცა იმპერიალიზმა უშუალოდ დასვა კაპიტალიზმისა ყოფნა არ ყოფნის საკითხი. მარქსიზმი გაყალბებული აღმოჩნდა მე-2 ინტერნაციონალში.

ახალმა ეპოქამ მოითხოვა „ახალი ტიპის“ პროლეტარული პარტიის შექმნა, რომელიც აუცილებელი იყო პროლეტარიატისათვის იმპერიალიზმის და მასზე რევოლუციური იერიშის მიტანის ეპოქაში. ბოლშევიკები გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით წარმოადგენდენ მსოფლიოში ერთად-ერთ რევოლუციურ პარტიას, რომელიც დღიდან თავისი წარმოშობისა დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარ ოპორტუნიზმთან, რომელიც გაბატონებული იყო მე-2 ინტერნაციონალში. ბოლშევიზმი „გაიზარდა და განმტკიცდა შეუხებებში მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან, რომელთანაც ბრძოლა იყო აუცილებელი წინაპირობა კაპიტალიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის“ (სტალინი).

ბოლშევიკებს თავისი წარმოშობის დღიდანვე აღებული ჰქონდათ ხაზი გათიშვაზე, განხეთქილებაზე ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, ისე მთელს მე-2 ინტერნაციონალში. ბოლშევიკური პარტია იყო პროლეტარული პარტიის „ახალი ტიპი“, რომელიც აგრძელებდა და ანვითარებდა მარქსისა და ენგელსის ეპოქის კომუნისტური პარტიის ტრადიციებს.

„ასეთი პარტიის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლება იმპერიალიზმის დამხობაზე და პროლეტარიატის დიქტატურის დაპყრობაზე. ეს ახალი პარტია არის—ლენინიზმის პარტია“ (სტალინი).

რუსეთი გახდა ლენინიზმის და პროლეტარული რევოლუციის მებრძოლი პარტიის სამშობლო იმის გამო, რომ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში გადავიდა.

პირველი—რუსეთი, როგორც ცნობილია, მთელ რიგ ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ მიზეზების გამო წარმოადგენდა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა საერთაშორისო კვანძს, დასავლეთის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს, რომელიც დასავლეთის საფინანსო კაპიტალს აერთებდა აღმოსავლეთის კოლონიებთან, წარმოადგენდა ჯერ გაუგონარ კაპიტალისტურ-ბატონყმურ და ნაციონალურ ჩაგვრის კერას. მეორე,—„რუსეთი რევოლუციით დაორსულებული იყო უფრო მეტად, ვიდემ რომელიმე სხვა ქვეყანა“ (სტალინი).

ეს რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ უნდა გადაზრდილიყო რევოლუციაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ იმის გამო, რომ რუსეთის გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობის სათავეში იდგა რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც შეეძლო გადაეწყვიტა რევოლუციის გზით იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობანი. იმ რევოლუციურ ამოცანების გამო, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში იდგა რუსეთის წინაშე, რუსეთის პროლეტარიატი დაწინაურდა, როგორც საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდი.

ლენინმა ჯერ კიდევ პარტიის მეორე ყრილობამდე 1902 წელს გენიალურად უწინასწარმეტყველა რუსეთის პროლეტარიატს მოწინავე მებრძოლის როლი საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში. ის მაშინ სწერდა: „ისტორიამ ეხლა ჩვენს წინაშე დასვა უახლოესი ამოცანა, რომელიც წარმოადგენს თითოეული ხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანებიდან ყველაზე უფრო რევოლუციურ ამოცანას. ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ ალბათ (შეგვიძლია ჩვენ ეხლა ვთქვათ) აზიის ყველაზე მძლავრი დასაყრდენის დანგრევა გადააქცევდა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციურ პროლეტარიატის ავანგარდად“ (ლენინი).

ამ ისტორიულ გარემოებათა გამო რუსეთის პროლეტარიატმა, რომელიც დაწინაურდა როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი, შესძლო შეექმნა ასეთი მძლავრი, მებრძოლი, რევოლუციური თეორიითა და ტაქტიკით შეიარაღებული ბოლშევიკური პარტია ისეთი ბელადების მეთაურობით, როგორც ლენინი და სტალინი.

კომუნისტური პარტია—„ახალი ტიპის“ პროლეტარული პარტია—წარმოადგენს მუშათა კლასის ავანგარდს, რომელიც შესდგება მუშათა კლასის საუკეთესო შეგნებულ და აქტიურ წევრებისაგან. ემყარება რა მარქსიზმ-ლე-

ნინიზმის რევოლუციურ თეორიას, ის წარმოადგენს მუშათა კლასის ინტერესებს სებს საერთოდ, აჰყავს რა კლასობრივი ბრძოლის ყველა ეტაპებზე მუშათა კლასის ფართო მასები მთლიანად მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანების და ინტერესების შეგნების დონემდე. მარქსი და ენგელსი მათთვის ჩვეული ენერგიითა და ძალით იბრძოდენ რევოლუციური პარტიის შესაქმნელად იმისათვის, რომ მისი საშუალებით შეეტანათ მუშათა მოძრაობაში თავიანთი რევოლუციური თეორია. ისინი მუდამ ხაზს უსვამდენ, რომ კლასობრივი ბრძოლა მაშინ ხდება ჭეშმარიტ და თანამიმდევარ კლასობრივ ბრძოლად, როცა ის იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად, ე. ი. ბრძოლად ხელისუფლებისათვის. ორი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის—„კომუნისტების კავშირის“ და „პირველი ინტერნაციონალის“ გამოცდილების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მარქსისა და ენგელსის მიერ, მათ მოხაზეს თავიანთი მოძღვრების ძირითადი დებულებები პროლეტარული პარტიის როლის შესახებ.

მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ ასე განსაზღვრავს პროლეტარული პარტიის როლს მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში: „კომუნისტები სხვა მუშათა პარტიებიდან განსხვავდებიან მხოლოდ მით, რომ ერთის მხრივ, სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატის მოძრაობაში ისინი გამოჰყოფენ და იცავენ პროლეტარიატის საერთო, ეროვნებათაგან დამოუკიდებელ ინტერესებს; ხოლო, მეორე მხრივ,—მით, რომ სხვადასხვა სტადიებში, რომელშიაც ტარდება პროლეტარების ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ისინი ყოველთვის იცავენ მისი მოძრაობის საერთო ინტერესებს მთლიანად“.

უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ მარქსი, ლენინი და სტალინი რევოლუციურ თეორიას, ლენინი არა ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ მოწინავე მებრძოლის, ავანგარდის როლი შეუძლია შეასრულოს მხოლოდ რევოლუციური თეორიით შეიარაღებულ პარტიას. რევოლუციური თეორიის წყალობით პარტია სძლევს სტიქიურ მუშათა მოძრაობის ჩამორჩენილობას და ინდიფერენტიზმს, აჰყავს მუშათა კლასის ფართო მასები საერთოდ მუშათა კლასის ისტორიული როლის და კლასობრივი ინტერესების შეგნების სიმაღლემდე. მარქსისა და ენგელსის შემდეგ ლენინი და სტალინი სცნობენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სამ ფორმას: ეკონომიურს, პოლიტიკურსა და თეორიულს. რევოლუციური თეორია, რომელიც იქმნება მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირში,—აიარაღებს მუშათა კლასს საზოგადოებრივი განვითარების და კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით და უადვილებს სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ამბების ურთულეს პირობებში გარკვევას.

„თეორია, თუ ის მართლაც თეორიაა, აძლევს პრაქტიკოსებს ორიენტირების ძალას, პერსპექტივების გარკვეულობას, იმედს მუშაობაში, რწმენას ჩვენი საქმის გამარჯვებაში“ (სტალინი).

ლენინი თავისი პოლიტიკური მუშაობის პირველი დღეებიდანვე შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა „სტიქიურობის“ ოპორტუნისტული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფდა მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის აუცილებლობას და მის ხელმძღვანელ, ავანგარდულ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. „სტიქიურობის“ თეორია საყვარელი თეორიაა, ჯერ რუსი „ეკონომისტების“, ხოლო შემდეგ მენშევიკებისათვის, საყვარელი თეორიაა ძველი სოციალ-დემოკრატიული, ეხლანდელ სოციალ-ფაშისტური პარტიებისათვის. ის წარმოადგენს ყოველგვარი ოპორტუნისტული გადახრების ლოღიკურ საფუძველს კომუნისტური პარტიის შიგნით. ლენინმა რუსეთის და საერთაშორისო მენშევიკებთან ბრძოლაში, დაუზოგავ ბრძოლაში ყოველი სახის რეფორმიზმთან და ოპორტუნისტულ მიმართულებებთან, არა თუ დაიცვა მარქსის და ენგელსის რევოლუციური მოძღვრება, არამედ კიდევ უფრო განავითარა ეს მოძღვრება იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქასთან შეფარდებით. ლენინი თავის შესანიშნავ წიგნში: „მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ო ბ ი ს ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ს ე ნ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ში“ შემდეგნაირად ახასიათებდა ბოლშევიკების ბრძოლას რევოლუციურ თეორიისათვის. ის სწერდა: „ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი წ ა რ მ ო ი შ ვ ა 1903 წ ე ლ ს მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს თ ე ო რ ი ი ს უ ა ღ რ ე ს ა დ მ ტ კ ი ც ე ბ ა ზ ე.

„მ ა რ ქ ს ი ზ მ ი, რ ო გ ო რ ც ე რ თ ა დ-ე რ თ ი ს წ ო რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი თ ე ო რ ი ა,—რ უ ს ე თ მ ა მ ა რ თ ლ აც მ ო ი პ ო ვ ა გ ა წ ვ ა ლ ე ბ ი თ, გ ა უ გ ო ნ ა რ ი წ ა გ ე ბ ი ს ა და მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი ს, გ ა უ გ ო ნ ა რ ი გ მ ი რ ო ბ ი ს, უ ჩ ვ ე უ ლ ო ე ნ ე რ გ ი ი ს და თ ა ვ გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ძ ი ე ბ ი ს, ს წ ა ვ ლ ი ს, პ რ ა ქ ტ ი კ ა ში ი მ ე დ ი ს გ ა ც რ უ ე ბ ი ს, გ ა ნ ც დ ი ს, ე ვ რ ო პ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ი ს ა და შ ე დ ა რ ე ბ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს ა უ კ უ ნ ი ა ნ ი ი ს ტ ო რ ი ი თ“.

ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და ბრძოლაში საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციისათვის ბოლშევიკური პარტია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყოველგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

ლენინიზმი საბჭოთა კავშირში გაშლილ სოციალისტურ მშენებლობისა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ეპოქასთან და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის თანამედროვე ეტაპთან შეფარდებით პოულობს თავის შემდგომ განვითარებას ბოლშევიკური პარტიის ბელადის ამხ. სტალინის შრომებში. შეურიგებელ ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზიდან ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ ამხ. სტალინმა დაიცვა, განავითარა და გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური თეორია პროლეტარიატის ბრძოლის ყველა ძირითად საკითხში.

კომუნისტური პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის იმ მოწინავე ელემენტების ორგანიზაციას, რომელნიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ პოლიტიკური მუშაობის გარკვეული პროგრამის საფუძველზე. რევოლუციური პარტიის პროგრამას მარქსი და შემდეგ ლენინი იხილავენ როგორც მისი წარმოშობისა

და არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. პროგრამა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც აკონკრეტებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას მუშათა კლასის ბრძოლის კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით. კომუნისტური პარტიის პროგრამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ)-ის პროგრამა, რომელიც მიღებული და დამუშავებული იყო ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით პარტიის მე-VIII ყრილობაზე. ახალი ტიპის მსოფლიო პარტიის პროგრამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კომინტერნის პროგრამა, რომელიც დამუშავებული და მიღებული იყო კომინტერნის მე-VI კონგრესზე ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

მარქსი და ენგელსი არა ერთხელ აფრთხილებდენ მუშათა პარტიებს თეორიულად გამოუბრძმედელ, უპრინციპო პროგრამების მიღებისაგან. მარქსმა თავის დროზე სასტიკად გააკრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გოთას პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა ლასალიანობის ნარევს ცუდად გაგებულ მარქსიზმთან. კიდევ უფრო მკაცრად იყო გაკრიტიკებული ენგელსის მიერ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერფურტის პროგრამა, შედგენილი კაუცკის მიერ.

ენგელსი გადაჭრით აკრიტიკებდა ახალი პროგრამის ოპორტუნიზმს, მის ფორმულირებათა ბუნდოვანობას, იმას, რომ პროგრამაში არ იყო გერმანიის აბსოლუტური მონარქიის რევოლუციური გზით ჩამოგდების და მისი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლის მოთხოვნა. ერფურტის პროგრამის პროექტის გამო ენგელსი ბებელისადმი წერილში ხაზს უსვამდა იდეურ-პოლიტიკურ კომპრომისთა დაუშვებლობას, პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის პრინციპების და პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანების დამცირების დაუშვებლობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. „ჩემის აზრით,—სწერდა ენგელსი,—პროგრამა უდა იყოს მოკლე და მკაფიო. არ არის საჭირო ძალიან ბევრი მსხვერპლის გაღება საერთო ხელმისაწვდომობისათვის, არ უნდა იქნეს ნაკლებად შეფასებული ჩვენი მუშების გონებრივი ნიჭი და განათლების დონე.—მათ გაიგეს გაცილებით უფრო ძნელი რამეები, ვინემ ის, რასაც მას მისცემს უაღრესად მოკლე, უაღრესად შეკვეცილი პროგრამა".

„პროექტის პოლიტიკურ მოთხოვნებს აქვთ ერთი დიდი ნაკლი, მათში არ არის ის, რაც უსათუოდ უნდა თქმული იყო".

1894 წლიდან დაწყებული ლენინი ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამის რევოლიუციონურ გამობრძმედილობისათვის.

ლენინს, ისევე როგორც ენგელსს, არ აკმაყოფილებდა ერფურტის პროგრამა და ის დამოუკიდებლად მუშაობდა რუსეთის მუშათა პარტიის პროგრამის შედგენაზე, რომელიც უნდა გამომდგარიყო მარქსისტული პროგრამის ნიმუშად სხვა პარტიებისათვის.

როგორც ცნობილია, ლენინი გამოვიდა პროგრამის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც შედგენილი იყო პლეხანოვის მიერ გერმანიის სოც.-დემ.

პარტიის ერფურტის პროგრამის მზგავსად. პლეხანოვის პროექტის გამო ლენინი აღნიშნავდა, რომ პლეხანოვის პროექტი წარმოადგენს არა მებრძოლი პროლეტარიატის პროგრამას, არამედ ეკონომიურ სახელმძღვანელოს პროგრამას მოწაფეთათვის, რომელნიც იბნევიან კომენტარიებში. ლენინის ენერგიული ბრძოლის წყალობით პლეხანოვის ოპორტუნისტული პროგრამის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის პროგრამა, მიღებული მე-2 ყრილობაზე, იქცა ერთად-ერთ გამობრძმედილ მარქსისტულ პროგრამად მეორე ინტერნაციონალში. როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიული პარტიები ამტკიცებენ, რომ პროლეტარიატი თითქოს პოლიტიკურ ბატონობას ხელში ჩაიგდებს მშვიდობიანი პარლამენტარული ბრძოლის გზით საარჩევნო ბიულეტენის დახმარებით და ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ მე-2 ინტერნაციონალის სოც.-დემოკრატიული პარტიების არც ერთ პროგრამაში არ იყო აღიარებული პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოც. რევოლუციის და სოციალიზმში გადასვლის იარაღის, აუცილებლობა.

პარტიის პრრგრამა, რომელიც მიღებულ იქნა მე-2 ყრილობაზე, მე-2 ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებისაგან განირჩეოდა პირველ ყოვლისა მით, რომ მასში სოც. რევოლუციის აუცილებელ პირობად წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურის დაპყრობის ამოცანა.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის არა მარტო უბრალო შეგნებულ რაზმს, არამედ აგრეთვე მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას. თავის კლასობრივ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასი ქმნის მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციას. გარდა პარტიისა მას აქვს მთელი რიგი ორგანიზაციებისა, როგორც მაგალითად: პროფკავშირები, კოოპერაცია, საბჭოები, საპარლამენტო ფრაქციები, კულტ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ბეჭდვითი სიტყვა და სხვ. ყველა ამ ორგანიზაციებს შორის პარტიას ცენტრალური ადგილი უჭირავს და მოწოდებულია გამოიმუშაოს საერთო ხაზი და წარმართოს ყველა მუშათა ორგანიზაციის მუშაობა ერთი მიზნისაკენ. მაგრამ პარტია ამ ხელმძღვანელობას მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციაზე ანხორციელებს არა იძულების ან თვითდინების წესით, არა პარტიული ხელმძღვანელობისადმი იმ ორგანიზაციების ფორმალური დაქვემდებარების საფუძველზე, არამედ ამ ორგანიზაციებში გაერთიანებულ მუშათა მასების დაჯერების საფუძველზე და მით აღწევს მათი მხრით თავისი ხელმძღვანელობის ნებაყოფლობით აღიარებას.

აღიარებდა რა პროლეტარულ კომუნისტურ პარტიას, როგორც ერთად-ერთ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზება, ლენინი გადაჭრით იბრძოდა მუშათა კლასის უპარტიო ორგანიზაციების „დამოუკიდებლობის“ და „ნეიტრალობის“ მენშევიკურ-ოპორტუნისტული თეორიის წინააღმდეგ. ლენინი ლაპარაკობდა, რომ „პარტია არის პროლეტარების კლასობრივი გაერთიანების უმაღლესი ფორმა, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გავრცელდეს პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა დანარჩენ ფორმაზე“.

პარტია წარმოადგენს რა პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას, ამასთან ერთად წარმოადგენს იარაღს პროლეტარიატის დიქტატურის დასაპყრობად და იარაღს მისი განმტკიცებისა, როცა პროლეტარიატის დიქტატურა დაპყრობილია სოციალისტური საზოგადოების ძლევამოსილი მშენებლობისათვის.

ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რომელიც განირჩევა პროლეტარული პრინციპების მთლიანობით, რევოლუციური მოქმედების მთლიანობით, თავისი რევოლუციური ორგანიზაციის მთლიანობით,—შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის მოწყობა, პროლეტარული დიქტატურის დაპყრობა და განხორციელება. პარტია წარმოადგენს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის გადამწყვეტ ძალას. ბოლშევიკური პარტიის გამოცდილებამ, კომინტერნის გამოცდილებამ თვალსაჩინოდ ცხადჰყო, რომ მოწინავე პროლეტარული კომუნისტური პარტიის გარეშე პროლეტარიატს არ შეუძლია განახორციელოს ძალაუფლების დაპყრობა. პარტიის როლი კიდევ უფრო იზრდება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომლის ამოცანების განხორციელება შეუძლებელია პროლეტარული პარტიის მონოპოლიური ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის გარეშე. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია განახორციელოს ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში. ერთიანი და ერთად-ერთი კომუნისტური პარტია წარმოადგენს წამყვანს, ხელმძღვანელ ძალას პროლეტარულ დიქტატურის სისტემაში. პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც ვერ გაუყოფს და არ რომელმაც უნდა გაუყოს ხელმძღვანელობა ანტიპროლეტარულ პარტიებს. მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე ერთნაირად მოაზროვნე, ერთიანად მომქმედი კომუნისტური პარტიის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების გადაჭრა.

ლენინი შემდეგნაირად განსაზღვრავს პარტიის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის იარაღის, როლს: „პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალმომრეობითი და მშვიდობიანი, სამეურნეო, პოლიტიკური და ადმინისტრატიული ბრძოლა ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონების და ათეულ მილიონების ჩვეულებათა ძალა ყველაზე საშიში ძალაა, რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე. ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც სარგებლობს ამ კლასის თითოეული კეთილსინდისიერის ნდობით ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასების განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე,—ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია".

ლენინიზმს ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დიქტატურის და პარტიის დიქტატურის იგივეობის თეორია, პროლეტარიატის დიქტატურის დაპირისპირება პარტიის ხელმძღვანელობისადმი ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება ლენინიზმს.

თავის დროზე ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზინოვიევი გამოვიდა პარტიის „დიქტატურის" და პროლეტარიატის დიქტატურის იგივეობის თეზისით. ამ ოპორტუნისტულმა თეზისმა სასტიკი წინააღმდეგობა ჰპოვა და ის გამომჟღავნებულ იქნა ბოლომდე ამხ. სტალინის ნაშრომებში და გამოსვლებში. პარტიის ხელმძღვანელობას მუშათა კლასზე საფუძვლად უდევს სწორი ურთიერთობა პარტიასა და მუშათა კლასს შორის. ეს ურთიერთობა პარტიისა და მუშათა კლასს შორის ემყარება არა ძალადობას, არამედ პარტიის ხელმძღვანელობას, უარყოფს რა ყოველგვარ ძალადობას კლასის მიმართ საერთოდ. პარტიის ხელმძღვანელი როლი ხორციელდება: პირველი—იმ პირობით, თუ პარტიის პოლიტიკა სწორია და ის გამოდის პროლეტარიატის ინტერესებიდან, მეორე—თუ კლასის უმრავლესობა ღებულობს ამ პოლიტიკას, რწმუნდება მის სისწორეში თავის საკუთარ პოლიტიკური გამოცდილებით, ენდობა და მხარს უჭერს პარტიის პოლიტიკასა და მუშაობას.

ლენინი არა ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ პარტია კაპიტალიზმის პირობებში, აგრეთვე დიდხანს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგაც რჩება მუშათა კლასის უმცირისობათ, რომელსაც მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ პირობების გამო არ შეუძლია გააერთიანოს თავის რიგებში მუშათა კლასის უმრავლესობა. მაგრამ წარმოადგენს რა მუშათა კლასის უმცირესობას, პარტია ვალდებულია მოიპოვოს მუშათა კლასის უმრავლესობის ნდობა და დახმარება თავისი პოლიტიკის სისწორით, თავისი აქტიური ბრძოლით მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებისათვის. ლენინი გადაჭრით ებრძოდა მენშევიკებს მათ მიერ პარტიის როლის დამცირებისათვის. ის სწერდა „ამხ მარტოვის თვალსაზრისით, პარტიის საზღვარი რჩება სრულიად გამოურკვეველი, ვინაიდან თითოეულ გაფიცულს შეუძლიათავისი თავი პარტიის წევრად გამოაცხადოს", რა სარგებლობა მოაქვს ამ დაბნეულობას? სახელწოდების ფართოდ გავრცელება, მისი ზიანი კი—დეზორგანიზაციის შემტანი იდეის დანერგვაა კლასისა და პარტიის ერთმანეთში არევით".

ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა პარტიაში ავტორიტეტული და პროლეტარიატისა და მისი რევოლიუციონურ პარტიის ბრძოლებში გამობრძმედილ ბელადებს. იგი სწერს. „მუშათა კლასს, რომელიც მთელ მსოფლიოში აწარმოებს ძნელ და მედგარ ბრძოლას სრული განთავისუფლებისათვის ესაჭიროება ავტორიტეტები, მაგრამ ცხადია, მხოლოდ იმ აზრით., რითაც ახალგაზრდა მუშებს ესაჭიროება ძველი მებრძოლების გამოცდილება დამონებისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ", მებრძოლების, რომლებმაც ჩაატარეს მრავალი გაფიცვა. მონაწილეობდენ მთელ რიგ რევოლიუციებში, აღიჭურვენ რევოლიუციური ტრადიციებით და ფართო პოლიტიკური თვალთახედვით.

კომუნისტური პარტია განირჩევა მთლიანობით სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. პარტია მუშათა მოძრაობის ყველა ეტაპზე, ისტორიის ყველა მოსახვევში მოქმედებს და იბრძვის განსაზღვრულ პოლიტიკურ ამოცანების მიღწევისათვის, რომელთაც მიჰყავს ის პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ გამოიმუშავა მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციური სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ყველა კომუნისტური პარტიისათვის. სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც აღნიშნავს ამხ. სტალინი, წარმოადგენს მეცნიერებას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ. რევოლუციური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა შენდება კლასობრივ ძალთა შეფარდების აღრიცხვის საფუძველზე.

მარქსიზმ-ლენინიზმი კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობისადმი მიდგომას საფუძვლად უდევს მატერიალისტურ დიალექტიკას, კლასობრივ ძალთა კონკრეტულ შეფარდების მეცნიერულ-ისტორიულ ანალიზს, რომელიც აადვილებს შეგნებულ აქტიურ ჩარევას საზოგადოებრივ განვითარების პროცესში სინამდვილის რევოლუციურ გარდაქმნის მიზნით.

როგორც ამხ. სტალინი გვასწავლის,—სტრატეგია არის მთავარი იერიშის განსაზღვრული მიმართულებით წარმართვა, კლასობრივ ძალთა სწორი ურთიერთობის გამომუშავება რევოლუციის მოცემულ ეტაპის მანძილზე. ანვითარებს რა შემდეგში მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პროლეტარული პარტიის სტრატეგიის შესახებ, ამხ. სტალინი აყენებს სტრატეგიულ ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, პირობებსა და წესებს. ამხ. სტალინი აღნიშნავს სწორი ლენინური სტრატეგიის 4 უმნიშვნელოვანეს პირობას: 1) რევოლუციის მთავარი ძალების თავის მოყრა მოწინააღმდეგის სუსტ უბანზე, 2) შესაფერი მომენტის შერჩევა გადამწყვეტი იერიშის მისატანად, 3) პარტიის მიერ მიღებული კურსის გადაუხრელად და გადაჭრით გატარება, 4) მთავარი და მეორე ხარისხოვანი რეზერვებით მანევრირების უნარი. როგორც ძირითად სტრატეგიულ წესს, სტალინი აყენებს ბრძოლას შემთანხმებლური პარტიების იზოლიაციისათვის რევოლუციის მოცემულ ეტაპზე.

„რაში მდგომარეობს ლენინიზმის მთავარი სტრატეგიული წესი? ის მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ: 1) რევოლუციის მტრების ყველაზე უფრო საშიშ სოციალურ დასაყრდენს მოახლოვებულ რევოლუციურ შეჯახების პერიოდში წარმოადგენენ შემთანხმებლური პატიები; 2) მტრის (ცარიზმის ან ბურჟუაზიის) ჩამოგდება შეუძლებელია ამ პარტიების იზოლიაციის გარეშე; 3) რევოლუციის მომზადების პერიოდში ამის გამო მთავარი ისრები მიმართული იყვნენ ამ პარტიების იზოლიაციისაკენ. მათგან მშრომელთა ფართო მასების ჩამოშორებისაკენ“ (სტალინი).

ხელმძღვანელობდა რა ამ წესით, ბოლშევიკური პარტია ცარიზმთან ბრძოლის პერიოდში თავის მთავარ იერიშს მიმართავდა კადეტების ბურჟუაზიული

პარტიის წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ შეთანხმების მიღწევა ცარიზმთან. ამ პარტიის გამომჟღავნების და მათი მუშათა, მშრომელთა ფართო მასებისაგან იზოლიაციის გარეშე შეუძლებელი იყო ცარიზმის დამხობა.

დროებითი მთავრობასთან ბრძოლისა და ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში პარტია მთავარ იერიშს მიმართავდა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების—მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ სწრაფად დაემთავრებიათ რევოლუცია იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან შეთანხმებით.

ტაქტიკა სავსებით ექვემდებარება სტრატეგიას, ის თითოეულ მოცემულ პირობებში აყენებს მუშათა კლასის ბრძოლის მეთოდებს და ორგანიზაციის ფორმებს. ბოლშევიზმი გაიზარდა „პროცესის—ტაქტიკის“ ოპორტუნისტულ თეორიასთან ბრძოლაში, თეორიასთან, რომელსაც იცავდენ ეკონომისტები და შემდეგ მენშევიკები. ამ თეორიის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს მხოლოდ იმ ბრძოლას, რომელიც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია მხოლოდ ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს თვით მუშათა კლასი სტიქიური მოძრაობის წესით. „პროცესის—ტაქტიკის“ თეორიას მხარს უჭერდენ აგრეთვე მემარცხენე სოციალ-დემოკრატები რ. ლიუქსემბურგის მეთაურობით, რომელნიც ხაზს უსვამდენ სტიქიური მომენტის უპირატესობას რევოლუციაში და უარს ამბობდენ საყოველთაო გაფიცვის და შეიარაღებული აჯანყების მოწყობაზე.

კომუნისტური პარტიის ტაქტიკა იცვლება იმისდამიხედვით, თუ რამდენად ვითარდება ან ეცემა რევოლუცია. რევოლუციური მოძრაობის აღმავალ პერიოდში ტაქტიკა უნდა იყოს შეტევითი და ამასთან შეფარდებით პარტია აყენებს ბრძოლისა და ორგანიზაციის რევოლუციურ ფორმებს.

ბოლშევიკური ტაქტიკა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1) პირველ ადგილას უნდა იქნეს წამოყენებული ბრძოლისა და ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომელნიც შეეფერებიან რევოლუციური მოძრაობის მოცემულ პერიოდს და საშუალებას მისცემენ მასას საკუთარი პოლიტიკური გამოცდილებით დარწმუნდეს პარტიის რევოლუციური ლოზუნგების სისწორეში, ძველი წესწყობილების დამხობის აუცილებლობაში და მხარი დაუჭიროს თავისი ავანგარდის გადამჭრელ რევოლუციურ ნაბიჯებს, რომელიც მიმართულია რევოლუციური გადატრიალების მოხდენისაკენ. 2) უნდა გვქონდეს უნარი აღმოვაჩინოთ ამოცანების ჯაჭვში მორიგი რგოლი ანუ ის მორიგი ამოცანა, რომლის გადაჭრა უზრუნველჰყოფს პარტიის ყველა დანარჩენ რევოლუციური ამოცანის განხორციელებას. ბოლშევიზმი ტაქტიკის დარგში დაუზოგავად ებრძოდა, როგორც ბურჟუაზიასთან და ბურჟუაზიულ თანამშრომლობის მენშევიკურ პოლიტიკას, ისე „მემოძარცხენო“ ოპორტუნისტების ავანტიურიზმს, რომელთაც პარტია მიჰყავდა მუშათა მასებისაგან მოწყვეტისაკენ. რეაქციის პერიოდში ბოლშევიკებს უხდებოდათ ბრძოლა „ოტზოვიზმის“ ტაქტიკის წინააღმდეგ, „ოტზოვიზმის“, რომელიც პარტიას უქადდა უნიადაგო, მუშათა კლასისაგან მოწყვეტილ ერთ მუჭა ავანტიურისტებად გადაქცევას და მეფის რეაქციურ სათათბიროში მონაწილეობის საფუძველზე ისეთი ბრძოლის გაშლა, რომელიც გამოამ-

ჟღავნებდა კადეტების ლიბერალურ-მონარქისტულ პარტიას, განაცალკევებდა მას მასების მოძრაობისაგან და უზრუნველჰყოფდა პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლუციურ მოძრაობაში. ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკებს მოუხდათ ბრძოლა „მემარცხენე“ კომუნისტების ყალბი შეტევის ტაქტიკის წინააღმდეგ და მუშათა მასისათვის წვრილ ბურჟუაზიული შემთანხმებლური პარტიების მოღალატური როლის თანდათანობითი განმარტების ტაქტიკისა განხორციელება. საბჭოების შიგნით აშკარა ბრძოლის გზით შესაძლებელი გახდა მენშევიკების და ესერების შემთანხმებლური პარტიების გამომჟღავნება და იზოლიაცია მასების მოძრაობისაგან, მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობა და მათი წაყვანა ოქტომბრის ძლევამოსილ აჯანყებისაკენ.

პროლეტარული დიქტატურის ხელში ჩაგდების შემდეგ, ტროცკიზმთან და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან დაუზოგავი ბრძოლის პერიოდში, პარტია ანვითარებს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას ახალი ეკონომიური პოლიტიკის რელსებზე, რომელიც პროლეტარული სტრატეგიისა და ტაქტიკის თვალსაზრისით წარმოადგენს ერთის მხრივ—უკან დახევას, მეორე—კლასობრივ ძალთა გადაჯგუფებას, და მესამე მხრივ—ახალი იერიშის ჩატარებას.

სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში ჩვენი პარტია ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ახდენს ბოლშევიკური ტაქტიკის მისაბაძ მაგალითს; პარტიის გადასვლა კულაკების შეზღუდვისა და შეიწროვების პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

განსაზღვრავს რა თავის ტაქტიკურ ამოცანებს რევოლუციური მოძრაობის თითოეულ მოცემულ პერიოდში, ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს ამხ. სტალინის შემდეგი მითითებით: „ხელმძღვანელობის ხელოვნება ეს სერიოზული საქმეა. არ შეიძლება მოძრაობიდან ჩამორჩენა, ვინაიდან ჩამორჩენა ნიშნავს მასიდან მოწყვეტას, მაგრამ არ შეიძლება არც წინ წარბენა, ვინაიდან წინ წარბენა ნიშნავს კავშირის დაკარგვას მასასთან. ვისაც სურს უხელმძღვანელოს მოძრაობას და მასთან ერთად შეინარჩუნოს კავშირი მილიონებთან მასასთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე—ჩამორჩენილთა წინააღმდეგაც და წამრბენთა წინააღმდეგაც. ჩვენი პარტია ძლიერი და დაუძლეველია იმიტომ, რომ ხელმძღვანელობს რა მოძრაობას, მას აქვს უნარი შეინარჩუნოს და გააძრალოს თავისი კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონებთან მასასთან“.

ამხ. ლენინის და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ მიიღო თავისი საერთაშორისო აღიარება, გამოყენება და განვითარება. კომინტერნის სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც შემუშავებულ იქნა ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთ უდიდეს ისტორიულ პოლიტიკურ დოკუმენტებში, როგორიც არის კომინტერნის პროგრამა და ტაქტიკური რეზოლიუციები, მოწმობენ მის მსოფლიო ისტორიულ აღიარებას და ბოლშევიკური რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამარჯვებას.

„პარტია არ არის მუშათა კლასის მარტო მოწინავე რაზმი, თუ მას უნდა ნამდვილად უხელმძღვანელოს მუშათა კლასის ბრძოლას, ის ამავე დროს უნდა იყოს თავისი კლასის ორგანიზაციული რაზმი... პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი“ (სტალინი).

მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ორგანიზებულია, როგორც ერთი მთლიანი, შეუძლია განახორციელოს გეგმაშეწონილი და ორგანიზებული ხელმძღვანელობა მუშათა კლასის ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმს ახასიათებს დაუზოგავი ბრძოლა ოპორტუნიზმთან ორგანიზაციულ საკითხებში, ბრძოლა რევოლუციურ მოძრაობაში ორგანიზაციის მნიშვნელობის უარყოფასთან. პარტიის ორგანიზაციული ბრძოლა ექვემდებარება მის თეორიასა და პოლიტიკას. პარტიის ორგანიზაციულ მუშაობაში მტკიცდება და უზრუნველყოფილი ხდება პარტიის იდეურ-პოლიტიკური გეზი და მისი ტაქტიკური საქმიანობა. „მთლიანობა პროგრამისა და ტაქტიკის საკითხებში არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა პარტიული გაერთიანებისათვის, პარტიული მუშაობის ცენტრალიზაციისათვის. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა კიდევ ორგანიზაციის მთლიანობა, რომელიც წარმოუდგენელია ოჯახური წრის ფარგლებს ცოტად თუ ბევრად გაცილებულ პარტიაში გაფორმებული წესდების გარეშე, უმრავლესობისათვის დამორჩილების გარეშე, ნაწილის მთელისათვის დამორჩილების გარეშე“ (ლენინი).

მარქსი და ენგელსი განუწყვეტლივ ებრძოდენ ორგანიზაციულ უხერხულობას, იბრძოდენ კომუნისტური პარტიისათვის, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს ავტორიტეტული და უფლებამოსილი ცენტრი. მე-II ინტერნაციონალის პარტიები უარყოფდენ რა პარტიის ორგანიზატორულ როლს რევოლუციაში, უარყოფდენ რა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, მუშათა კლასის რევოლუციურ ორგანიზაციების მაგიერ აყენებდენ და აწყობდენ მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ეგუებიან მშვიდობიან ბრძოლას და მუშაობას ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებში. სოციალურ-დემოკრატიული პარტიები წარმოადგენდენ არა პროლეტარიატის მებრძოლ პარტიებს, რომელთაც მუშები მიჰყავთ ხელისუფლებისაკენ, არამედ საარჩევნო აპარატს, რომელიც შეფარდებულია საპარლამენტო არჩევნებთან, ამიტომ მე-II ინტერნაციონალის პარტიებში, ძირითად პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა არა პარტია, არამედ პარლამენტის ფრაქცია. ძირითადი გამიჯვნა ბოლშევიკებსა და რუს მენშევიკებს შორის დაიწყო ორგანიზაციულ საკითხების გამო, ვინაიდან ორგანიზაციული საკითხები, კერძოდ, პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი წარმოადგენდა გადამწყვეტ რგოლს „ახალი ტიპის“ პარტიის შექმნაში. და შემთხვევითი არ არის, რომ ბრძოლამ ორგანიზაციული საკითხების გარშემო მიიღო მწვავე ხასიათი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომელთაც მხარს უჭერდა მთელი თავისი ავტორიტეტით მე-II ინტერნაციონალი კაუცკის და სხვების მეთაურობით. განხეთქილება, რომელიც დაიწყო ორგანიზაციული საკითხების გამო რუსეთის

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე დაკავშირებული იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ძირითად საკითხებთან. მენშევიკებს, ისევე როგორც მე-II ინტერნაციონალის ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, ეუცხოებოდათ პროლეტარიატის გეგემონიის იდეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, მისი გადაზრდა სოციალისურ ტრევოლუციაში და პროლეტარულ დიქტატურის დაპყრობის იდეა. ამიტომ მენშევიზმი ეწინააღმდეგებოდა პროლეტარიატის ავანგარდის მაგარ მებრძოლ ორგანიზაციის იდეას.

წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება, რომელიც წარდგენილი იყო პარტიის მე-II ყრილობაზე, ლაპარაკობდა: „პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ა თ ი თ ო ე უ ლ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ც ნ ო ბ ს მ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა ს და მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ს პ ა რ ტ ი ა ს, რ ო გ ო რ ც მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ, ი ს ე პ ი რ ა დ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ ერთ-ერთ პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს ი“.

მენშევიკი მარტოვი პარტიის მე-II ყრილობაზე იცავდა ფორმულირებას, რომლითაც პარტიის წევრად ითვლება თითოეული „ვ ი ნ ც ს ც ნ ო ბ ს მ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა ს, მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ს პ ა რ ტ ი ა ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ და უ წ ე ვ ს მას რ ე გ უ ლ ი ა რ უ ლ პ ი რ ა დ დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს მ ი ს ი ერთ-ერთი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ“. ეს ბუნდოვანი ოპორტუნისტული ფორმულირება არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა პარტიის წევრებს, არ ავალებდა არავითარ დისციპლინას, და არ მოითხოვდა პირად მონაწილეობას პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ის ფორმულირება, რომელსაც იცავდა მარტოვი, ძალიან უახლოვდებოდა პარტიის წევრობის განსაზღვრას მე-II ინტერნაციონალის რეფორმისტულ პარტიებში. კერძოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წესდების პირველი პარაგრაფი, მიღებული 1903 წელში, ლაპარაკობდა:

„პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ა თ ი თ ო ე უ ლ ი პ ი რ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ც ნ ო ბ ს პ ა რ ტ ი უ ლ პ რ ო გ რ ა მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ს და მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ს პ ა რ ტ ი ა ს ხ ა ნ გ ძ ლ ი ვ ა დ ფ უ ლ ა დ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ“.

ლენინი მთელი სიმკაცრით გამოვიდა მეორე ყრილობაზე მარტოვის ფორმულირებათა წინააღმდეგ, რომლებიც საშუალებას აძლევდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, პროფესორებს და გიმნაზიელებს თავის თავი პარტიის წევრებად ჩაეთვალათ და ცდილიყვენ გავლენა მოეხდინათ პარტიულ საქმეებზე.

ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ პარტიის თითოეული წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის. სწორედ იმიტომ, რომ პარტია პასუხს აგებს თითოეული თავის წევრისათვის, ის აწესებს თითოეული ამხანაგის პირად თვისებებს თავისი რიგების პერიოდული წმენდის ჩატარებით.

ბოლშევიზმმა გაანადგურა ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში, ასწია პარტიის ორგანიზაციული მუშაობა მაღალ პრინციპიალურ სიმაღლეზე, და გვიჩვენა რევოლუციური ამოცანების გადაჭრის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ნიმუშები იმპერიალიზმის ეპოქაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი აყენებს პარტიული ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის მოთხოვნას რევოლუციური მოძრაობის, თითოეული მოცემული პერიოდის პირობებთან შეფარდებით.

ხელმძღვანელობდა რა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ამ პრინციპებით, ლენინიზმი მეფის თვითმპყრობელობის პირობებში მოითხოვდა უსასტიკეს ცენტრალიზაციას და კონსპირაციას მუშაობაში და პარტიულ დისციპლინისადმი უსასტიკეს დამორჩილებას. როცა 1905 წლის რევოლუციურმა პირობებმა შესაძლებელი გახადა პოლიტიკური მუშაობის უფრო თავისუფალი ფორმების განვითარება—ლენინი მოითხოვდა პარტიის არჩევითი საწყისის გაფართოებას, შინა-პარტიული დემოკრატიის გატარებას, რკინისებური დისციპლინის შენარჩუნებით. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ პარტია გადადის მუშაობის არალეგალურ პირობებში, და ბოლშევიზმი ახდენს თავის რიგების გარდაქმნას ახალ პირობებთან შეფარდებით. საჭირო გახდა არჩევითი საწყისის საგრძნობლად შეკვეცა, პარტიის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის გაძლიერება თავის მუშაობისათვის პირტიის ცენტრალური ორგანოების და ადგილებზე მათი რწმუნებულების წინაშე. მუშაობის ლეგალური ფორმები დამორჩილებული იქნა არალეგალური პარტიის მკაცრი კონტროლისა და ხელმძღვანელობისადმი და სხვ.

სამხედრო კომუნიზმის პერიოდში ბოლშევიზმი ახდენს თავის რიგების გარდაქმნას სამხედრო დისციპლინის და მკაცრი ცენტრალიზაციის საფუძველზე. იკვეცებიან მუშაობის კოლექტიური ორგანოები, დანიშვნისა და საბრძოლო ბრძანებების მეთოდებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში. სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე გადასვლამ მოითხოვა პარტიული მუშაობის გარდაქმნა „მშვიდობიანი“ სააღმშენებლო პერიოდის პირობების მიხედვით. პარტიაში ძლიერდება არჩეულობის როლი, ძლიერდება ხელმძღვანელ ორგანოების ანგარიშგების როლი, იშლებიან და ვითარდებიან შინა-პარტიული დემოკრატიის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. ვითარდება ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

რეკონსტრუქციულ პერიოდში გადასვლასთან და საბჭოთა ქვეყნის სოციალიზმის პერიოდში შესვლასთან დაკავშირებით, კვლავ ხდება პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ პირობებთან შეფარდებით. მუშაობის ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები გარდაიქმნებიან „პირით წარმოებისაკენ“, სულ უფრო და უფრო იშლება პარტიულ-მასობრივი მუშაობა, რომელშიაც თითქმის სულ ყველა მუშა და კოლმეურნე არის ჩაბმული, ხდება ყველა პროლეტარულ ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნა პარტიის ბელადის ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმების შესრულებას კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, კულტურული რევოლუციის განვითარებას ახალ საწარმოსა და ახალი ტექნიკის ათვისებას. კომუნისტური პარტია ეწყობა დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, რომელიც ნიშნავს პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩეულობას, პარტიული საკითხების განხილვის თავისუფლებას, სანამ მათ შესახებ გადაწყვეტილებები არ მიუღიათ პარტიის უმაღლეს ორგანოებს და

მოითხოვენ უმცირესობის დასორჩილებას უმრავლესობისადმი, ხოლო ადგილობრივი ორგანიზაციების დამორჩილებას პარტიის ცენტრალურ ორგანოებისადმი. კომინტერნი შემდეგნაირად განსაზღვრავს დემოკრატიული ცენტრიზმის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას: „კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების დემოკრატიული ცენტრალიზმი, უნდა წარმოადგენდეს ცენტრიზმისა და პროლეტარული დემოკრატიის შეერთების ნამდვილ სინთეზს. ეს შეერთება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მუდმივი შეთანხმებული მუშაობის საფუძველზე, მთლიანად მთელი პარტიული ორგანიზაციის მუდმივი შეთანხმებული ბრძოლის საფუძველზე. კომუნისტური პარტიის ცენტრალიზაცია ნიშნავს არა ფორმალურ მექანიკურ ცენტრალიზაციას, არამედ კომუნისტური მუშაობის ცენტრალიზაციას, ე. ი. ძლიერი, ბრძოლის უნარის მქონე და ამავე დროს მოქნილი ხელმძღვანელობის შექმნას“ (კომინტერნის მე-III კონგრესის რეზოლუციიდან).

კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ პრინციპს წარმოადგენს უსასტიკესი დისციპლინა. ლენინი არა ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ უეჭველი ცენტრალიზაცია და უსასტიკესი დისციპლინა წარმოადგენს ბურჟუაზიაზე გამარჯვების ერთ-ერთ პირობას. რკინისებური დისციპლინის გარეშე, რომელიც უნდა ემყარებოდეს შეგნებულობის მაღალ დონეს, პარტია ვერ შესძლებდა ეთამაშა ხელმძღვანელი ძალის როლი მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლაში, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. ბოლშევიკური პარტიის რკინისებური დისციპლინა ემყარება შემდეგ პირობებს: პირველი—პროლეტარული ავანგარდის შეგნებას, მეორე—მის უნარსა და ცოდნას დაუკავშირდეს მშრომელთა ფართო მასებს, მესამე—პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სისწორეს, პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორეს.

მაგრამ პარტიის რკინისებური დისციბლინა წარმოუდგენელია, ნებისყოფის მთლიანობის გარეშე, პარტიის ყველა წევრის მოქმედების სრული მთლიანობის გარეშე. ორგანიზაციული მთლიანობა, დამყარებული პარტიულ პოლიტიკის პრინციპიალურ მთლიანობაზე, წარმოადგენს ლენინური პარტიის ძირითად პრინციპს. ამიტომ ფრაქციისა და ჯგუფების არსებობა შეუთავსებელია, როგორც პარტიის მთლიანობასთან, ისე მის რკინისებურ დისციპლინასთან. რკინისებური დისციპლინა და პარტიული რიგების მთლიანობა კიდევ უფრო საეალდებულოა პროლეტარული პარტიისათვის პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში.

„ვინც ოდნავად მაინც ასუსტებს,—ლაპარაკობს ლენინი,—პარტიისა და პროლეტარიატის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით მისი დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ“.

ფრაქციების არსებობას პარტიის შიგნით მივყევართ რამდენიმე ხელმძღვანელი ცენტრის არსებობამდე. ეს სცვლის ერთიან ნებისყოფას, ასუსტებს დაშლის დისციპლინას პარტიაში.

ფრაქციების და გადახრების ლეგალიზაცია პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნიშნავს ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენათა ლეგალიზაციას პარტიის რიგებში, ამას კი „აუცილებლად მივყევართ ძალა-უფლებისათვის ბრძოლისაკენ პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის, განხეთქილებისა და წვრილბურჟუაზიული პარტიის შექმნისაკენ, და მით პროლეტარიატის დიქტატურის დაღუპვისაკენ. პარტია არის ნებისყოფის მთლიანობა, რომელიც ვერ ითმენს ვერავითარ ფრაქციულობას და ძალაუფლების დანაწილებას პარტიაში“ (სტალინი).

გამოდიოდა რა ბოლშევიკური პარტიის მთლიანობის ინტერესებიდან, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად პირობიდან, ჩვენი პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით თავის არსებობის ყველა საფეხურზე დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებს ფრაქციების შექმნის ცდების წინააღმდეგ, ფრაქციულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, სძლევდა რა მათ არა მარტო იდეური, არამედ აგრეთვე გადამჭრელი ორგანიზაციული ბრძოლის გზით. მე-X ყრილობის რეზოლუციაში პარტიის მთლიანობის შესახებ ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით დაწერილია მოთხოვნა „ყოველგვარი ფრაქციულობის სრულიად მოსპობის შესახებ პარტიიდან უეპვველი დაუყონებელი გარიცხვის შიშინ ქვეშ“. ლენინი და სტალინი, როგორც პროლეტარული პარტიის განვითარების სავალდებულო კანონს, აყენებენ მოთხოვნას მისი ოპორტუნისტული ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ.

ლენინიზმს დაუშვებლად მიაჩნია არაპროლეტარულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების თან არსებობა, ერთიან კომუნისტურ პარტიის ფარგლებში. კომუნისტური პარტია წარმოიშვა მარქსიზმ-ლენინიზმის გასალკძეებულ იდეურ ბაზაზე, კომუნისტური პარტია წარმოადგენს ისეთ პარტიულ გაერთიანებას, რომელიც გაიზარდა, ვითარდება და მტკიცდება მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციური მოძღვრების იდეურ საფუძველზე. ლენინიზმისათვის უცხოა წვრილ-ბურჟუაზიული გადახრების მხოლოდ მარტოდ იდეური ბრძოლით დაძლევის ოპორტუნისტული თეორია ერთიანი პარტიის ფარგლებში. ლენინიზმი იდეურ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად აყენებს დაუზოგავ ორგანიზაციულ ბრძოლას, რომელიც მიმართულია ოპორტუნისტულ ელემენტების განდევნისაკენ პროლეტარული კომუნისტური პარტიის რიგებიდან. პარტია მტკიცდება, იწმინდება რა ოპორტუნისტულ ელემმენტებისაგან—ასეთია ურყევი მარქსისტულ-ლენინური დებულება.

„ბოლშევიზმი წარმოადგენს მსოფლიოში ერთად-ერთ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელმაც ბოლომდე გაანადგურა ოპორტუნისტები და ცენტრისტები და განდევნა ისინი პარტიიდან“ (სტალინი).

ცნობილია, რომ ლენინის ბრძოლას „ახალი ტიპის“ პარტიისათვის იმ თავითვე თან სდევდა როგორც რუს, ისე საერთაშორისო მენშევიზმთან გადამჭრელი ორგანიზაციული განხეთქილების პოლიტიკა.

ლენინმა მალე პარტიის გათიშვის შემდეგ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის მე-2 ყრილობაზე წამოაყენა მე-2 ინტერნაციონალის სოციალ-რეფორმისტული პარტიების დაშლის ლოზუნგი. ის სწერდა: „რევოლუციურ ორგანიზაციაზე გადასვლა აუცილებელია. ამას მოითხოვს რევლუციური პროლეტარიატის ეპოქა; მაგრამ ეს გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ, თუ გადავაბიჯებთ ძველ ბელადებს, რევოლუციური ენერგიის ჩახშობით, თუ გადავაბიჯებთ ძველ პარტიას მისი დანგრევის გზით“ (ლენინი).

ბოლშევიკები წარმოადგენენ მსოფლიოში ერთად-ერთ რევოლუციურ პარტიას, რომელიც მთელი თავისი რევოლუციური ბრძოლით ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მრმზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ „გამხდარიყო „ახალი ტიპის“ მსოფლიო პროლეტარული პარტიის—კომინტერნის ორგანიზატორი. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის როვოლუციური მოძღვრება, ბოლშევიკური პარტიის მთელი ისტორია ქმნის კომინტერნის ისტორიულ, იდეურ და ორგანიზაციულ ფესვებს. ლენინის დაუზოგავმა ბრძოლამ სოციალ-რეფორმისტებისაგან გამიჯვნისათვის, მისმა ბრძოლამ არა მარტო სოციალ-ოპორტუნიზმის და ცენტრიზმის, არამედ აგრეთვე მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (რ. ლიუქსენბურგი, ლიბკნეხტი და სხვ.) წინააღმდეგ,—მოამზადა საკ. კ.პ.(ბ) მსოფლიო კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლისათვის.

„თითეულმა ბოლშევიკმა, თუ ის მართლაც ბოლშევიკია იცის, რომ ლენინი ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით წინ, დაახლოებით 1903—4 წლებში, როცა ჩამოცილდა რუსეთში ბოლშევიკების ჯგუფი, როცა პირველად ხმა აიმაღლეს მემარცხენეებმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში,—ატარებდა ოპრტუნისტებთან განხეთქილების, მათგან გამიჯვნის ხაზს ჩვენშიაც, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ისტორიაშიაც და იქაც, მეორე ინტერნაციონალში, კერძოდ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. თითოეულმა ბოლშევიკმა იცის, რომ სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ მაშინ (1903-05 წ.) ბოლშევიკებმა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების რიგებში დაიმსახურეს „გამთიშველების“, „დეზორგანიზატორების“ სახელი“ (სტალინი).

ბოლშევიზმი გაიზარდა დაუღალავ და დაუზოგავ ბრძოლაში ორ ფრონტზე, ბრძოლაში მტრებთან მუშათა მოძრაობის შიგნით და ოპორტუნისტულ გადახრებთან თავის საკუთარ რიგებში. ბოლშევიკებმა ჩაატარეს თავისი, შინაარსითა და გამოცდილებით უაღრესად მდიდარი ბრძოლა ოპორტუნიზმთან და ცენტრიზმთან მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში, ერთის მხრივ,—რუსულ „ეკონომიზმის“, მენშევიზმის, ლიკვიდატორობის წინააღმდეგ რუსეთში, ხოლო მეორეს მხრივ, ანარქიზმის, ანარქო-სინდიკალიზმის, რუსული ესერობის, ტროცკიზმის და ლიუქსემბურგიანელობის წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობაში, დაწყებული მისი წარმოშობის დღიდანვე, ყოველთვის ადგილი ჰქონდა წვრილ-ბურ-

რჟუაზიული მერყეობის ორ ნაკადს, რომელსაც შემდეგნაირად განსაზღვრავს ლენინი: „ისტორიის თვითეული თავისებური მოხვევა ერთგვარ ცვლილებებს იწვევს წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობათა სახით, რომელთაც ყოველთვის აქვს ადგილი პროლეტარიატის გვერდით და რომელიც ყოველთვის ამა თუ იმ ფორმით იჭრება პროლეტარიატის წრეში.

წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობათა ეს ორი ნაკადი პროლეტარული დიქტატურის პირობებში თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა სახის შინაპარტიულ გადახრებში. ამ გადახრების სოციალურ ბაზას წარმოადგენს წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, რომელიც გარს არტყია პროლეტარიატს და რომელიც ზეგავლენას ახდენს მის ცალკე ფენებზე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომლებშიაც მიმდინარეობს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა.

ლაპარაკობდა რა ოპორტუნისტულ გადახრების სოციალურ ბაზაზე, ამხ. სტალინი წერდა: „გადახრების სოციალური ბაზა—ეს არის წვრილი წარმოების სიჭარბის ფაქტი ჩვენს ქვეყანაში, წვრილი წარმოებიდან კაპიტალისტური ელემენტების წარმოშობის ფაქტი, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიით ჩვენი პარტიის გარემოცვის ფაქტი, დაბოლოს,—ამ სტიქიით ჩვენი პარტიის ზოგიერთ რგოლების დაავადმყოფების ფაქტი“.

ოპორტუნიზმი ჩვენი პარტიის ისტორიაში თავს იჩენს სხვადასხვა ფორმით და სახით. 1917 წელს მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომელთაც ჩვენს პარტიაში წარმოადგენდნენ ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი და სხვ., გამოვიდენ ოქტომბრის გადატრიალების წინააღმდეგ, ხოლო მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მოითხოვდენ ხელისუფლების გაყოფას მენშევიკების და ესერების შემთანხმებლურ პარტიებთან.

რუსეთში ცენტრიზმი არსებობდა ტროცკიზმის სახით, რომელმაც წამოაყენა 1905 წელში „პერმანენტული რევოლუციის“ თეორია. „მემარცხენე“ ოპორტუნისტული მიმინადრეობა რეაქციის წლებში გამოვიდა „ოტზოვისტების“ ფრაქციის სახით, რომელიც ლენინმა დაახასიათა, როგორც ლიკვიდატორები მარცხნიდან: რეაქციის და იმპერიალისტური ომის წლებში ტროცკის ეჭირა ცენტრიზმის ხაზი, და გამოდიოდა, როგორც ყველა ოპორტუნისტულ და ლიკვიდატორულ მიმართულებათა ორგანიზატორი ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად (აგვისტოს ბლოკი). 1918 წელში პარტიის ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდიოდენ როგორც ტროცკი ისევე „მემარცხენე“ კომუნისტები, რომლებიც იბრძოდენ ბრესტის ზავის წინააღმდეგ. 1923—25 წლების პერიოდში „მემარცხენე“ ლიკვიდატორულ მიმდინარეობას ჩვენს პარტიაში წარმოადგენს პირველად ტროცკისტული ოპოზიცია, ხოლო შემდეგ ტროცკისა და ზინოვიევის ოპოზიციის „გაერთიანებული ბლოკი“. ტროცკიზმმა თავისი იერიშები ლენინიზმის წინააღდეგ დაიწყო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხიდან, გადავიდა კონტრრევო-

ლუციის ბანაკში და თანამედროვე ეტაპზე ის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმს.

აშკარა მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელიც წარმოადგენს კულაკურ აგენტურას პარტიის შიგნით, აქტივობას იჩენს და გამოდის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის და კლასების ლიკვიდაციის პერიოდში. მემარჯვენე ოპოზიცია ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის მეთაურობით თავის ბრძოლაში წინააღმდეგ მივიდა ბურჟუაზიულ რესტავრაციის პოზიციამდე *).

პარტია იბრძვის ყოველთვის ორ ფრონტზე, მთავარ ცეცხლს მიმართავს იმ გადახრისაკენ, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მოცემულ ეტაპზე. აღდგენითი პერიოდში მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა ტროცკისტული ოპოზიციის საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო გადახრა. რეკონსტრუქტიულ პერიოდში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომლის თეორია და პრაქტიკა მოითხოვს უარის თქმას კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევაზე, ხელის აღებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაღალ ტემპებზე, ხელის აღებას საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობაზე.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გააკამტვერა ტროცკისტული ოპოზიცია და აშკარა მემარჯვენე ოპორტუნიზმი, უზრუნველჰყო პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარება და მის საფუძველზე მიაღწია ბუმბერაზულ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. პარტიის ეს გამარჯვებანი უზრუნველჰყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციის დამთავრების, კლასების მოსპობის და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას. ორ ფრონტზე ბრძოლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს პარტიის ბრძოლა ყოველგვარ შემარიგებლობასთან, რომელიც ხელს აფარებს ოპორტუნისტულ გადახრებს და რომელიც ცდილობს შეარიგოს პარტია მისი გენერალური ხაზიდან გადახვევას. გენერალურ ხაზიდან ოპორტუნისტული გადახრები ხშირად შეფერადებულნი გამოდიან, ეფარებიან რა პარტიის პოლიტიკის ოფიციალურ თანხმობას. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებმა ამას წინად დაიწყეს მოღალატური მუშაობა პარტიის და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მოტყუების და ორპირობის საშუალებით. სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკი წარმოადგენდა პარტიის მოტყუებისა და ორპირობის კლასიკურ გამოხატულებას. ორპირობა, მოტყუება, პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმების დაფარვა, ანტი-პარტიული იდეების და ლოზუნგების კონდრაბანდულად შემოპარება—ახასიათებს კლასობრივ ძალთა შეფარდებას სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. მხდალი ოპორტუნიზმი, რომელიც ამოფარებია ორპირობას და მოტყუების, გამოხატავს კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების ახალ ტაქტიკას, რომელნიც პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ აშკარა იერიშიდან გადავიდენ ძლევამოსილ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარულ, მავნებლურ ფორმებზე და ხერხებზე.

სტალინი ბოლშევიზმის ისტორიის გამოკვლევის საფუძველზე ამტკიცებს, რომ „საკ. კ. პ. (ბ) იზრდებოდა და მტკიცდებოდა შინაგან წინააღმდეგობათა

*) ჩვენ ამოცანას არ შეადგენს ყველა შინაპარტიული უთანხმოებათა და გადახრების ისტორიის გაშუქება.

დაძლევის გზით“ და „რომ შინაპარტიულ უთანხმოებათა დაძლევა ბრძოლის გზით არის ჩვენი პარტიის განვითარების კანონი“ (სტალინი).

ლენინური მოძღვრება პარტიისა და მისი განვითარების კანონების შესახებ წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის უდიდეს მონაპოვარს იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციის ეპოქაში.

ლენინის ამ დამსახურებას ამხ. სტალინი განსაზღვრავს შემდეგნაირად: „მარქსმა და ლენინმა დასახეს ძირითადი დებულებები პარტიის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის შესახებ, ურომლისოდაც (თუ პარტია და) პროლეტარიატი ვერ გაიმთავისუფლებს თავს ვერც ხელისუფლების დაპყრობისა და ვერც კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის მხრივ. ახალი ლენინს ამ დარგში შეაქვს ის, რომ მან განავითარა შემდეგს დებულებები პროლეტარიატის ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით იმპერიალიზმის პერიოდში დაგვანახვა, რომ. ა) პარტია წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას პროლეტარიატის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით (პროფკავშირები, კოოპერაცია, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელთა მუშაობის განზოგადება და წარმართვა მის დანიშნულებას წარმოადგენს; ბ) პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ პარტიის, როგორც მისი წარმმართავი ძალის საშუალებით, გ) პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება იყოს სრული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელმძღვანელობს ერთი პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც არ უყოფს და არც უნდა გაუყოს ხელმძღვანელობა სხვა პარტიებს; დ) პარტიის რკინისებური დისციპლინის გარეშე ვერ განხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები ექსპლოატატორების ჩასახშობად და კლასობრივი საზოგადოების გარდასაქმნელად სოციალისტურ საზოგადოებად“.

ლენინის შემდეგ ამხ. სტალინმა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ეხლანდელი ეტაპის პირობებთან და საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქასთან შეფარდებით, დაამუშავა და განავითარა შემდეგში მარქსისტულ ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ.

სტალინის მიერ დამუშავებულია და მის შრომებში მიიღო შემდგომი განვითარება ლენინურმა მოძღვრებამ პარტიის ხელმძღვანელ როლზე პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, პროლეტარული პარტიის სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე, მის ორგანიზაციულ პრინციპებზე და ორ ფრონტზე პარტიის ბრძოლის პირობების და კანონების შესახებ.

ალ. ერჟოლაიშვილი

ბოლშევიზმის და მენშევიზმის სათავე

პარტიის მეორე ყრილობას, რომელიც მოწვეული იყო ოცდაათი წლის წინეთ, უნდა შეექმნა ერთიანი პარტია იმ პრინციპების საფუძველზე, რომელსაც სისტემატიურად ავითარებდა ძველი „ისკრა“. როგორც ცნობილია, პარტიას მეორე ყრილობამდე ერთი მთლიანი ცენტრი არ გააჩნდა. არსებობდენ მთელი რიგი სოც-დემოკრატიული გაერთიანებანი, სადაც შედიოდენ როგორც ძველი „ისკრა“-ს მომხრენი, ისე „ეკონომისტებიც“.

პარტიის პირველმა ყრილობამ აღიარა დაქსაქსულ სოციალ-დემოკრატიული ძალების გაერთიანების საჭიროების, პროლეტარიატის ერთიანი მებრძოლი პარტიის შექმნის აუცილებლობა, მაგრამ პირველმა ყრილობამ (1898 წ.) ამ ამოცანის გადაჭრა ვერ შესძლო მთელი რიგი მიზეზების გამო. ყრილობის მონაწილენი დაპატიმრებული იქნენ. იმავ დროულად თვითმპყრობელურმა მთავრობამ მიმართა სასტიკ რეპრესიებს მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, როსტოვი, ოდესა და სხვ.) სოც.-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მოღვაწეების წინააღმდეგ.

ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულიდან ფეხს იკიდებს ოპორტუნიზმი—„ეკონომიზმი“-ს სახით. „ეკონომიზმის“ სამივე ნაირსახეობა რუსეთში (კუსკოვ პროკოპოვიჩის ჯგუფი—„კრედო“-ს ავტორები, პეტერბურგის ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, რომელიც სცემდა „Рабочая мысль“-ს და საზღვარგარეთის „სოც.-დემოკრატთა კავშირი“, რომელთა ორგანო ჟურნალი: „Рабочее дело“ იყო) არსებითად ერთსა და იმავე იდეას გამოხატავდენ,— იდეას რუსეთის მუშათა მოძრაობის დამორჩილებისას ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. „კრედო“-ს ავტორების თვალსაზრისით, არავითარი აზრი არ ჰქონდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნას რუსეთში, არამედ საჭირო იყო “მონაწილეობის მიღება საზოგადოების ყველა სხვა არამუშური ფენის რადიკალურსა ან ლიბერალურ ოპოზიციურ საქმიანობაში“.

მუშათა კლასს ურჩევდენ ხელი აეღო დამოუკიდებელი პარტიის შექმნის იდეაზე ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. „კრედო-“ს ავტორების აზრით რუსეთის მომავალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ბურჟუაზიამ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატი თავისი კლასობრივი ამოცანების განხორციელებისათვის.

სწორეთ ამით იყო გამოწვეული ლენინის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით შედგენილი ჩვიდმეტთა პროტესტი, სადაც ვკითხულობთ:

„მუშათა კლასობრივი მოძრაობის დროშა შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსიზმის რევოლუციური თეორია, და რუსეთის სოციალ-დემოკრატია უნდა ზრუნავდეს მის შემდგომ განვითარებასა და განხორციელებაზე, უნდა დაიცვას იგი დამახინჯებისა და გაყალბებისაგან, რომელსაც ეგზომ ხშირად განიცდიან „მოდის თეორიები".

„მხოლოდ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას შეუძლია იყოს მტკიცე დასაყრდენი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში".

იგივე ითქმის „Рабочая мысль"-ის „საქმიანობაზე", რომელიც ხელს იღებდა პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაზე, რომელიც ცდილობდა შთაეგონებია მუშებისათვის, რომ უმთავრესია ცალკე მუშათა ჯგუფების ყოველდღიური უმნიშვნელო ეკონომიური ინტერესების დაცვა. ამ გამოცემის პირველ ნომერში ვკითხულობთ: „დეე მუშებმა ობრძოლონ იმ შეგნებით, რომ ისინი იბრძვიან არა რომელიღაც მომავალ თაობისათვის, არამედ თავისთვის, თავიანთი შვილებისათვის, დეე მათ დაიხსომონ, რომ ყოველი გამარჯვება, ყოველი ნაბიჯი, წართმეული მტრისაგან, წარმოადგენს იმ კიბის განვლილ საფეხურს, რომელსაც მიჰყავს ისინი მათი საკუთარი კეთილდღეობისაკენ".

ამ გზით „Рабочая мысль" მივიდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყოველგვარი ბრძოლის უარყოფის იდეამდე. მაგალითად, „Р. мысль"-ის მეოთხე ნომერში ვკითხულობთ: „არ უნდა გავაღვივოთ მუშებში დაუდგრომელი სურვილი მოიცილონ თვითმპყრობელობის მათი დამმონავებელი უღელი".

საზღვარგარეთელი „ეკონომისტები" უკან არ რჩებოდენ რუსეთში მყოფ თანამოძმეებს. „Рабочее дело", მარტინოვის მეთაურობით, იცავდა სტიქიურობის იდეას მუშათა მოძრაობაში და აწარმოებდა ბრძოლას მარქსიზმის რევოლუციონური თეორიის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ლენინმა მათ წინააღმდეგ წამოაყენა ორი ბრალდება.

1) „Р. Дело" იცავს ოპორტუნისტულ მიმართულებას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში და 2) მოითხოვს "კრიტიკის" თავისუფლებას, ე. ი. ოპორტუნიზმის თავისუფლებას სოც.-დემოკრატიაში.

ლენინის აზრით, სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა მუშათა მოძრაობაში მოასწავებს „ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას მუშებზე" (იხ. „რა ვაკეთოთ"). ყოველგვარ ოპორტუნისტულ გადახრებთან ბრძოლისათვის და აგრეთვე რუსეთში სოციალ-დემოკრატიული ძალების გაერთიანებისათვის, ლენინმა განიზრახა ცენტრალური ორგანოს გამოცემა, რომლის დანიშნულება იქნებოდა გაეშუქებია პრესაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ერთიანი პარტიული ორგანიზაციის შექმნის მიზნით. ჯერ კიდევ წერილში: „ჩვენი უახლოესი ამოცანა" იგი სწერდა იმის შესახებ, რომ „რევოლუციური ძალების ორგანიზაცია, მათი დისციპლინირება და რევოლუციური ტექნიკის განვითარება შეუძლებელია ყველა ამ საკითხის ცენტრალურ ორგანოში განხილვის გარეშე, მუშაობისათვის საჭირო განსაზღვრული ფორმებისა და წესების კოლექტიური გამომუშავების გარეშე, ცენტრალური ორგანოს მეშ-

ვებით პარტიის წინაშე ყოველი მისი წევრის პასუხისმგებლობის დაწესების გარეშე" [1].

1900 წ. 11 თებერვალს ლენინი გაემგზავრა გადასახლების ადგილიდან პსკოვში იმისათვის, რომ ეწარმოებია მოსამზადებელი მუშაობა იდეური და საორგანიზაციო ცენტრის შესაქმნელად. ამ საკითხის გამო მოწვეულ თათბირზე მონაწილეობას ღებულობდენ არა მარტო ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი და და რადჩენკო, არამედ მოწვეული ლეგალური მარქსისტებიც-სტრუვე და ტუგონ-ბარანოვსკიც.

ლენინის წინადადებით თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება ც. ორგანოს გამოცემის საქმეში მოეზიდა საზღვარგარეთ მყოფი „შრომის განთავისუფლების ჯგუფი". ამ მიზნით საზღვარგარეთ მიემგზავრებიან ლენინი და პოტრესოვი, რომელთაც დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ შესძლეს დაეთანხმებიათ პლეხანოვი „ისკრა"-ს გამოცემის საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. გადაწყვიტეს გამოეცათ „ისკრა" და მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი „ზარია". რედაქცია შესდგებოდა ექვსი პირისაგან (პლეხანოვი, ზასულიჩი და აქსელროდი—„მოხუცთაგან" „შრომის განთავისუფლების ჯგუფისაგან"; ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი— „ახალგაზრდებისაგან"). გერმანიის სოციალ-დემოკრატების დახმარებით მათ მოახერხეს მოეწყოთ „ისკრა"-ს საიდუმლო სტამბა ლეიპციგში და შემდეგ მიუხენში და „Заря"-ს სტამბა—შტუტგარტში.

„ისკრა"-მ, რომლის უაქტიესი ხელმძღვანელი ლენინი იყო, დასაწყისიდანვე, თავისი ანონსში 1900 წელს გამოაცხადა, რომ „სანამ გავერთიანდებოდეთ, საჭიროა გავიმიჯნოთო" [2].

„ისკრა"-მ ლენინის აქტიური მონაწილეობით თავის ამოცანად დაისახა ბრძოლის წარმოება პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ატარებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების გაერთიანების ხაზს ოპორტუნიზმის, „ეკონომიზმის" და მათ დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

პირველი ნომრის შესავალ წერილშივე, რომელიც ლენინის კალამს ეკუთვნოდა, „ისკრა"-მ ამცნო მუშათა კლასს, რომ სოციალ-დემოკრატია „არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან, მისი ამოცანაა არა პასიური სამსახური მუშათა მოძრაობისადმი ყოველ ცალკე სტადიაზე, არამედ მთელი, მთლიანად აღებული მოძრაობის წარმომადგენლობა" [3].

„ეკონომისტები" უკმაყოფილონი დარჩენ „ისკრა"-ს ასეთი გამოსვლით, რადგან მათთვის უცხო იყო მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის იდეა სოციალიზმის განხორციელებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით. ისინი ყოველნაირი საშუალებით ცდილობდენ დაემცირებინათ მარქს-ენგელსის რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა და ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდენ იმისათვის, რომ მოეწამლათ ბერნშტეინიანური რევიზიონიზმის შხამით სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რუსეთში. ლენინი მაშინ იმოწმებდა ენ-

[1]) იხ. ლენინი, ტ. II გვ. 498 (რუსული გამოცემა).
[2]) იხ. ლენინი, ტ. IV, გვ. 162 რუსული გამოცემა.
[3]) იხ. ლენინი, ტ. IV, გვ. 56 იგივე გამოცემა.

გელსს და სწერდა, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც". [1]).

„ეკონომისტები" ცდილობდენ მუშათა კლასის ყურადღება მოეცილებიათ პოლიტიკური ბრძოლისაგან იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მისცემოდათ განვითარებაში მყოფ ლიბერალურ ბურჟუაზიას სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა გამოეყენებია რუსეთში ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრებისათვის.

სტრუვე ემყარებოდა „ეკონომისტების" „რევოლუციურ" პრაქტიკას და „Освобождение"-ს ფურცლებზე ამტკიცებდა, რომ „ლიბერალიზმი და სოციალიზმი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი-მეორეს მოვაცილოთ ან ერთი მეორეს დაუპირისპიროთ. სოციალიზმი არ ემუქრება ლიბერალიზმს, როგორც შიშობენ ბევრნი, იგი მოდის ლიბერალიზმის ანდერძის შესასრულებლად, და არა მის გასანადგურებლად".

ეს გარემოება ყოველ ეჭვს გარეშე მოწმობს იმას თუ რამდენად მართალი იყო ლენინი „ეკონომიზმის", როგორც ისეთი მოძრაობის, შეფასებაში, რომელიც ამახინჯებს მარქსიზმს და აქცევს მას ბურჟუაზიული იდეოლოგიის დანართად. აქედან გამომდინარეობდა „ისკრა"-ს ბრძოლის აუცილებლობა „ეკონომიზმის" წინააღმდეგ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო, როგორც ცარიზმის,—ისე კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ რუსეთში.

ამასთანავე „ისკრა"-მ წამოაყენა საკითხი მტკიცე, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის უნარის მქონე პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. არ იყო საკმარისი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებულ ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა მარტო კრიტიკა. საჭირო იყო პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლებოდა მუშების შეერთება-შეკავშირება ბრძოლაში თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

„სოციალ-დემოკრატიისაგან მოწყვეტილი მუშათა მოძრაობა ქუცმაცდება და აუცილებლად ბურჟუაზიულობაში ეფლება. როცა მუშათა კლასი მარტო ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებს, იგი ჰკარგავს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას,—სხვა პარტიების კუდი ხდება". [2]) ამიტომ პროლეტარიატის წინაშე ისმება ძლიერი პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციის ამოცანა გარდამწყვეტი ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; რადგან ასეთი ორგანიზაციის გარეშე პროლეტარიატს არ ძალუძს ავიდეს შეგნებული კლასობრივი ბრძოლის სიმაღლემდე, ასეთი ორგანიზაციის გარეშე მუშათა მოძრაობა უძლურია და მარტო სალაროებით, წრეებით და ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებით ის ვერასოდეს ვერ შეძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული დიადი ისტორიული ამოცანა→ განათავისუფლოს თავისი თავი და მთელი რუსეთის ხალხი პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან". [3]).

იქვე წამოყენებული იქნა პროფესიული რევოლუციონერების განსაზღვრული კადრის შექმნის ამოცანა, რომელნიც შესძლებენ უხელმძღვანელონ მუშათა

[1]) იხ. ლენინი, ტ. IV, გვ. 380, იგივე გამოცემა.
[2]) იხ. ლენინი ტ. IV გვ. 56, იგივე გამოცემა.
[3]) იხ. ლენინი, ტ IV, გვ. 58, იგივე გამოცემა.

ცალკე გაფიცვებს, რაც უნდა გადაიქცეს მთელ დემონსტრაციად თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ.

დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხში „ისკრა" იცავდა პარტიული მშენებლობის ისეთი პრინციპების გამომუშავების აუცილებლობას, რომელნიც პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემდენ ეწარმოებია ბრძოლა თვითმპყრობელურ მთავრობასთან ურთულეს და უძნელეს პირობებშიაც-კი, მაშინ როცა „ეკონომისტები" იდგენ ფართო დემოკრატიული პრინციპის თვალსაზრისზე, რაც თვითმპყობელობის აღვირახსნილობის პირობებში მოასწავებდა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის არსებობის შეუძლებლობას.

„პარტიული ორგანიზაციის „ფართო დემოკრატიზმით"—ამბობდა ლენინი, თვითმპყრობელობის წყვდიადში, ჯანდარმული შერჩევის ბატონობის დროს არის მხოლოდ უსაქმო და მავნე თამაში".

„ფართო დემოკრატიული პრინციპი მხოლოდ უადვილებს პოლიციას რევოლუციური მოძრაობის ფართო დამარცხებებს და ამარადისებს მასში გამეფებულ კუსტარობას, აცილებს პრაქტიკოსების აზრს სერიოზული გადაუდებელი ამოცანიდან—გამოიმუშავონ თავიანთი თავიდან პროფესიული რევოლუციონერები, და მიაპყრობს მას დაწვრილებითი წესდებათა შედგენისაკენ „ქალალდზე" „არჩევნების სისტემების შესახებ". [1]).

ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხში „ისკრა" ანვითარებდა შემდეგ თვალსაზრისს: პროლეტარიატი ყველაზე წინ უნდა იმყოფებოდეს და მაღლა უნდა ეჭიროს რუსეთის განთავისუფლების დროშა, მან უნდა უხელმძღვანელოს ყველა ოპოზიციური ჯგუფების მუშაობას, უნდა შესძლოს გამოიმუშავოს თავის წრეში ისეთი აქტიური რევოლუციონერები, რომელთაც შეეძლებათ უხელმძღვანელონ საზოგადოების ყველა ოპოზიციურ ფენებს. მაგრამ თუ ლიბერალები თავის „პოზიციური" საქმიანობაში ერთი ადგილიდან არ დაიძვრებიან, მაშინ სოციალ-დემოკრატია თვით უნდა წავიდეს წინ. „პროლეტარიატის პარტიამ უნდა შესძლოს თვალი მოასწროს ყოველ ლიბერალს მაშინ, როცა იგი ემზადებოდა წინ წაწეულიყო ერთი გოჯით და აიძულოს იგი წაიწიოს წინ ერთი არშინით... თუ კი ერთ ადგილზე შეჩერდება, მაშინ ჩვენ თითონ წავალთ წინ უიმისოდ და მასზე გავლით". [2]).

ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხში, ისე როგორც საპროგრამო საკითხებშიც, უთანხმოება იყო თვით „ისკრა"-ს რედაქციაში, რაზედაც ლაპარაკი ქვევით გვექნება. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: პლეხანოვი ამბობდა: „ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს გვეშინოდეს ჩვენი საზოგადოების ოპოზიციურ ფენებთან დაახლოების, საჭიროა მხოლოდ ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ მოვექცეთ მათი გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ". [3]) თუმცა პლეხანოვი, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, თავიდანვე აწარმოებდა დაახლოების პო-

[1]) იხ. ლენინი, ტ. IV, გვ. 468, რუს. გამოცემა.
[2]) იხ. ლენინი, ტ. IV გვ. 353.
[3]) იხ. პლეხანოვი ტ. XII გვ. 100.

ლიტიკას ისეთ ლიბერალთან, როგორიც იყო სტრუვე, რომელიც იბრძოდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დამორჩილებისათვის ლიბერალიზმის ინტერესებისადმი.

გლეხობის საკითხში „ისკრა“ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ რევოლუციური მიზნებისათვის აუცილებელია გამოყენებული იქნეს გლეხობის უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით. მაგრამ „ისკრა“ წვრილ გლეხობას არ აღუთქვამდა კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როგორც ამას ჩადიოდენ ესერები. ლენინის წერილი—„მუშათა პარტია და გლეხობა“, რომელიც დაიბეჭდა „ისკრა“-ს მესამე ნომერში, გლეხობას აძლევს გარკვეულ მითითებას იმ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, რომელშიც ისინი 1861 წლის რეფორმის შემდგომ მოექცენ. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა-კი, ლენინის აზრით, შესაძლოა გლეხობის მონაწილეობით რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. „კაპიტალის ჩაგვრისაგან თავის დაღწევა წვრილ გლეხობას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიემხრობა მუშათა მოძრაობას, დაეხმარება მას შრძოლაში სოციალისტური წყობილებისათვის, მიწის, ისე როგორც სხვა საწარმოო საშუალებათა (ფაბრიკების, ქარხნების, მანქანებისა და სხვ.) გადაქცევისათვის საზოგადოებრივ „საკუთრებად“.

გლეხობა იტანჯება კაპიტალის უღლისაგან და ბატონყმური ურთიერთობისაგან, რომელშიც მას უხდება მუშაობა, ეს ჰქმნის რევოლუციურ მოძრაობაში მისი მონაწილეობის შესაძლებლობას და აუცილებლობას ბატონყმობის წინააღმდეგ. მუშათა კლასი თავისი მხრით, როცა ჰეგემონის როლს კისრულობს რევოლუციაში, ყოველმხრივ ეხმარება გლეხობას მოიცილოს თვითპყრობელობის უღელი.

„ისკრა“ იბრძოდა ესერების პარტიის წინააღმდეგაც და ააშკარავებდა მის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას. ესერების პარტია, როგორც ცნობილია, შესაძლებლად თვლიდა კაპიტალიზმის მოსპობას რუსეთში მიწის სოციალიზაციის განხორციელებისა და კოოპერატიულ საწარმოთა ორგანიზაციის გზით. „სიყალბეაო,—სწერდა ლენინი,—თითქოს ყოველგვარი კოოპერაციები თამაშობდენ რევოლუციურ როლს თანამედროვე საზოგადოებაში და ამზადებდენ კოლექტივიზმს, თითქოს ისინი არ ამაგრებდენ სოფლის ბურჟუაზიას; მოტყუებაა იმის მტკიცება, თითქოს შესაძლებელია დაუსახო „გლეხობას“ მიწის სოციალიზაცია როგორც „მინიმუმი“, ისე ახლო მდგომი რამ, როგორიცაა კოოპერაციები“. [1]).

თავისი სამი წლის მუშაობით „ისკრა“-მ კოლოსალური საქმე გააკეთა რუსეთის დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გაერთიანებისათვის. „ისკრა“-ს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები რუსეთში, რომელნიც აბამდენ კავშირს ცალკე კომიტეტებთან და ავრცელებდენ გაზეთს მათ შორის.

1902 წლის ბოლოს, მოეწყო საორგანიზაციო კომიტეტი პარტიის II ყრილობის მოსაწვევად, და „ისკრა“-ც ყველა თავისი პრინციპული დებულებით წარსდგა II ყრილობის წინაშე.

---

[1]) იხ. ლენინი, ტ. V, გვ. 159.

„რაში მდგომარეობდა ყრილობის მთავარი ამოცანა? ნამდვილი პარტიის შექმნაში იმ პრინციპულსა და საორგანიზაციო საწყისებზე, რომლებიც წამოყენებული და დამუშავებული იქნა „ისკრა"-ს მიერ". [1]).

ყრილობაზე ისკრელები სჭარბობდენ. 51 გადამწყვეტი ხმიდან „ისკრა"-ს მომხრეებს ეკუთვნოდა 33. დანარჩენი ხმები განაწილებული იყო შემდეგნაირად: 5—ბუნდოველი, 3—რაბოჩედელეცი, 4—სამხრეთ მუშათა კავშირის წარმომადგენელი და 6—ჰაობი; 14 სათათბირო ხმით).

„ისკრელთა შორის განხეთქილებაო,—სწერდა ლენინი,—იყო ყრილობის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური შედეგი, და ამიტომ მან, ვისაც სურს საქმეს გაეცნოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა იმ ეპიზოდს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან შორეულადაც-კი ამ განხეთქილებასთან". [2]).

პირველი საკითხი, რომელმაც ყრილობის დელეგატებს შორის უთანხმოება და დებატები გამოიწვია, იყო საკითხი უპრინციპო ლიტერატურული ჯგუფის: „Борба"-ს, წევრის—რიაზანოვის მოწვევის შესახებ სათათბირო ხმის უფლებით. საორგანიზაციო კომიტეტმა ჯერ კიდევ ყრილობამდე უარი უთხრა რიაზანოვს სათათბირო ხმის უფლების მიცემაზე. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად შემდგომ საორგანიზაციო კ.-მა გამოიტანა დადგენილება სათათბირო ხმის უფლებით რიაზანოვის მოწვევის შესახებ. საორგ. კ-ის წევრმა პავლოვიჩმა, რომელმაც ამ დადგენილების წინააღმდეგ მისცა ხმა, განუცხადა ყრილობას, რომ იგი არ სცნობს ს. კ.-ის კრების კახონიერებას და რომ ზემოთაღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება მის წინანდელ დადგენილებასო, ყრილობა აუქმებს დადგენილებას რიაზანოვის მოწვევის შესახებ. ამ ინციდენტმა გამოაშკარავა, რომ ისკრელებს შორის ყველაფერი რიგზე არ არის, და ეს მით უფრო, რომ ეს დადგენილება მიღებული იყო ისეთი თითქოს არხი-ისკრელთა დაწესებულების მიერ, როგორიც იყო საორგანიზაციო კომიტეტი.

„ნათელი გახდაო,—ამბობს ამის გამო ლენინი,—რომ საორგანიზაციო კომიტეტში ბუნდისტის გარდა, არის კიდევ: 1. სამხრეთ-მუშათა კავშირის მომხრენი თავიანთი განსაკუთრებული პოლიტიკით, 2. ისკრელები, რომელთაც სცხვენიათ თავიანთი ისკრელობის" [3]).

შემდეგ გაცხარებული დავა იწყება იმის გამო, შეტანილი იქნეს თუ არა პარტიის პროგრამაში პუნქტი ენების თანასწორ უფლებიანობის შესახებ. წინადადება ამ პუნქტის ჩართვის შესახებ პარტიის პროგრამაში შეტანილი იქნა „ბუნდის" მიერ.

ეს საკითხი ირჩეოდა სამ სხდომაზე. „ბუნდის" წინადადების მომხრეებს სურდათ შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს „ისკრა" ენების თანასწორ უფლებიანობის წინააღმდეგია ცხადი იყო, რომ ბუნდოველებმა, რომლებმაც ამით დიდი დრო წაართვეს ყრილობას, ეს დავა წამოიწყეს იმისათვის, რათა უთანხმოება შეეტანათ ისკრელთა შორის. არსებითად-კი ისინი ლამობდენ მოეპოვებიათ ფედერაცია „ბუნდი"-სათვის. ისკრელთა წინააღმდეგ ამ საკითხში ბუნდის

[1]) ლენინი, ტ. VI, გვ. 164.

[2]) „იხ. ლენინი" Расказ о II с'езде Р. С. Р. П. т. 6, стр. 50.

[3]) ლენინი ტ. VI, გვ. 52.

წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდენ „Р. Дело"-ს წარმომადგენლები და მახოვიც—ნიკოლაევის კომიტეტისაგან, რომელმაც რამდენიმე ხნით ადრე განაცხადა, რომ „ისკრა"-ს პოზიციის მომხრე ვარ საზოგადოთო.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „ებრაელ და რუს პროლეტარიატს შორის არსებულ საორგანიზაციო ურთიერთობათა გარდაქმნა ფედერაციის საფუძვლებზე გახდებოდა არსებით დაბრკოლებად სხვადასხვა რასების შეგნებული პროლატარების უფრო სრული ორგანიზაციული დაახლოების საქმეში და აუცილებლად უდიდეს ზიანს მიაყენებდა საზოგადოდ მთელს და კერძოდ ებრაელ პროლეტარიატს რუსეთში. ამიტომ ყრილობა გადაჭრით უარჰყოფს—როგორც პრინციპულად სრულიად დაუშვებელს—რ ს დ მ პ-ის „ბუნდთან", როგორც მის ნაწილთან, ფედერატიულ ურთიერთობათა ყოველგვარ შესაძლებლობას და აწესებს, რომ „ბუხდს" მთლიან რ ს დ მ პ-ში უჭირავს ავტონომიური შემადგენელი ნაწილის მდგომარეობა, რომლის ავტონომიის ფარგლები გარკვეული უნდა იქნეს საერთო პარტიული წესდების შემუშავების დროს". [1]).

პროგრამის საკითხებში ანტი-ისკრელებს, „ეკონომისტ" მარტინოვის და აკიმოვის მეთაუროზით, შეჰქონდათ მთელი რიგი არსებითი შესწორებები და მოითხოვდენ პროგრამიდან პროლეტარიატის დიქტატურის ამოშლას. საინტერესოა პლეხანოვის გამოსვლა დემოკრატიის საკითხებზე. იგი ამტკიცებდა, რომ დემოკრატია არ უნდა განვიხილოთ დამოუკიდებლად, არამედ რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისითო. „თუ რევოლიუციონური აღტკინების დროსო,—ამბობდა იგი,—ხალხი არჩევს ძლიერ კარგ პარლამენტს, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავხადოთ იგი ხანგრძლივ პარლამენტად—მაგრამ თუ არჩევნები არასასურველად დამთავრდება, მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ გავრეკოთ იგი არა ორი წლის, არამედ, თუ შესაძლებელი გახდა, ორი კვირის შემდეგ" [2]).

ანტი-ისკრელთა წინააღმდეგ პროგრამის საკითხების გამო იბრძოდა არა მარტო პლეხანოვი, არამედ მარტოვიც, თუმცა ყრილობის შემდეგ ორივეს დაავიწყდა ეს. მარტოვი ლიგის სხდომაზედაც-კი მეორე ყრილობის შემდეგ, რომ გაექარწყლებია პლეხანოვის მიერ წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობა, ამბობდა: „ამ სიტყვებმა გამოიწვია დელეგატთა ნაწილის გულისწყრომა, რომლის აცილება შეიძლებოდა, რომ ამხ. პლეხანოვს დაემატებია: „ცხადია, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ტრაღიკული მდგომარეობა, როცა პროლეტარიატს თავისი გამარჯვების განმტკიცებისათვის მოუხდებოდა ისეთი პოლიტიკური უფლებების გათელვა, როგორიც არის პრესის თავისუფლება". [3]).

ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხში ერთი-მეორეს შეეჯახა ორი თვალსაზრისი: ლენინის და პლეხანოვის, ერთი მხრით, ხოლო მარტოვისა და პოტრესოვის შორის მეორე მხრით. პლეხანოვის რეზოლუცია შემდეგი იყო: „ვლებულობთ რა მხედველობაში: ა) რომ სოციალ-დემოკრატიამ მხარი უნდა

[1]) იხილე Всесоюзная коммун. партия в резолюциях ее с'ездов и конференции" გამოც. 1927 გვ. 18.

[2]) იხ. მეორე ყრილობის ოქმები 1904 წ. გამოცემა გვ. 156—157.

[3]) იხ. ლენინი, ტ. VI, გვ. 177.

დაუჭიროს ბურჟუაზიას, რამდენადაც იგი წარმოადგენს რევოლუციურს ან მხოლოდ ოპოზიციურს თავის ბრძოლაში ცარიზმთან; ბ) რომ ამიტომ სოციალ-დემოკრატია უნდა მიესალმოს რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური ცნობიერების გაღვიძებას; მაგრამ მეორე სხრით ის ვალდებულია ამხილოს პროლეტარიატის წინაშე განმანთავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობა და არასაკმარისობა ყოველგან, რაშიც ის არ უნდა გამოიხატოს. რ ს დ მ პ-ის მეორე მორიგი ყრილობა დაჟინებით ურჩევს ყველა ამხანაგს ყურადღება მიაქციოს თავისი პროპაგანდის დროს ამ მიმართულების ანტირევოლუციურსა და ანტიპროლეტარულ ხასიათს, რომელიც გამოიხატა პ. სტრუვეს ორგანოში" [1]).

ეს რეზოლუცია, როგორც მკითხველი ხედავს, ხაზს უსვამს ლიბერალური მოძრაობის ანტირევოლუციურ ხასიათს, რომელსაც სტრუვე მეთაურობდა და ამიტომ იგი მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგს ებრძოლოს ბურჟუაზიის არა თანამიმდევრობას და აუცილებელ მერყეობას. ყრილობაზე ამ თვალსაზრისს მხარს უჭერდა ლენინი. ამ საკითხში ისე, როგორც პარტიის პროგრამის საკითხებში მას უთანხმოება ჰქონდა პლეხანოვთან ჯერ კიდევ „ისკრა"-ს რედაქციაში, რაზედაც ჩვენ ლაპარაკი ქვემოთ გვექნება.

მეორე, სტაროვერის (პოტრესოვის) რეზოლუცია წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: „გამოდის რა თავისი პროგრამის იმ დებულებიდან, რომ პარტია „მხარს უჭერს ყოველაგვარ ოპოზიციურსა და რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, უარს არ ამბობს შეუთანხმდეს—თუ საჭირო გახდება—თავისი ცენტრალური დაწესებულებების მეშვეობითაც, დროებით ლიბერალურს ან ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს და ამასთანავე მხოლოდ იმ პირობით: ა) რომ ეს მიმდინარეობანი ნათლად და ყოველი ორაზროვნების გარეშე განაცხადებენ, რომ თავიანთ ბრძოლაში თვითმპყრობელურ მთავრობასთან ისინი გადაჭრით დგებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხარეზე; ბ) რომ ისინი თავიანთ პროგრამებში არ წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის და საზოგადოდ დემოკრატიის ინტერესებს, ან ისეთს, რომელნიც აბნელებენ მათ ცნობიერებას. და გ) რომ ისინი თავის ლოზუნგად გაიხდიან ბრძოლას საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი საარჩევნო უფლებებისათვის". [2]).

ეს რეზოლუცია წინადადებას იძლევა „ლიბერალურსა და ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობებთან" შეთანხმების შესახებ იმ საკითხის გაურკვევლად, თუ როგორია ზემოთაღნიშნულ მიმდინარეობათა კლასობრივი არსი. რეზოლუცია არავითარ პასუხს არ იძლევა კითხვაზე, თუ არსებითად რაშია განსხვავება ლიბერალურსა და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმართულებებს შორის. ლენინის თვალსაზრისით, არა მარტო ლიბერალურ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებ პროგრესიული ფენების თვალსაზრისს,

[1]) იხ. „Всесоюзная коммун. партия в резолюциях ее с-здов и конференции". გამოც. 1927 წ. გვ. 19.

[2]) იხ. „Всесоюзная коммун. партия в резолюциях ее с-здов и конференции" 1927 წ. გამ. გვ. 20.

არამედ ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობასაც არ ძალუძს არ წამოაყენოს თავის პროგრამებში ისეთი მოთხოვნილება, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ინტერესებს. „ლიბერალად ყოფნა და გადაჭრით სოციალ-დემოკრატიის მხარეზე დადგომა—ერთი-მეორესთან შეუთავსებელიაო“ —ამბობდა ლენინი. „ჩვენი ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული ფრაქციაც-კი, სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქცია აყენებს თავის პროგრამაში,—რომელიც ისე არეულ-დარეულია, როგორც ყველა ლიბერალური პროგრამები—ისეთ მოთხოვნილებას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ინტერესებს და აბნელებს მის ცნობიერებას“. [1]).

ეს დავა დიდ მნიშვნელობას იძენს იმ მხრით, რომ „სტაროვერის“ რეზოლუცია აბუნდოვანებს საკითხს ლიბერალებთან დამოკიდებულების შესახებ და ხვრელს ტოვებს ოპორტუნისტული მიმდინარეობისათვის, რომელიც მიისწრაფის დაუმორჩილოს მუშათა მოძრაობის ინტერესები ბურჟუაზიის ინტერესებს.

და სწორეთ ასეც მოხდა. მენშევიკები II ყრილობის შემდეგ პლეხანოვთან ერთად აწარმოებდენ ბრძოლას ლენინის წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ხმარობდენ თავს მოეხვიათ მუშათა კლასისათვის ის მიმდინარეობა, რომელიც განიხილავს ბურჟუაზიას, როგორც ჰეგემონს რევოლუციაში.

ლენინისათვის ცხადი იყო, რომ მენშევიკურ შეხედულებას ოპორტუნისტები მიჰყავდა მუშათა კლასის გამცემლობამდი. მეორე მხრით, მენშევიკების პოზიცია ამ საკითხში მიმართული იყო იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომელსაც თავის დროზე იძლეოდა ძველი „ისკრა“, აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა ბრძოლისა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ამრუდებდენ „ისკრა“-ს პოზიციას.

უთანხმოებამ ისკრელთა შორის შესაძლებლობა მისცა ყრილობის ოპორტუნისტულ ნაწილს პარტიის წესდების საკითხში გაეტარებია თავისი თვალსაზრისი. ამ საკითხში ისკრელთა უმცირესობა, რომელსაც მარტოვი და აქსელროდი მეთაურობდენ, საბოლოოდ მიემხრო ანტი-ისკრელებს.

როგორც ვიცით, „ისკრა“ ჯერ კიდევ II ყრილობამდე აწარმოებდა ბრძოლას ცენტრალიზმის იდეისათვის, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა პარტიის საორგანიზაციო პრინციპებს. პარტიის წესდების წინააღმდეგ გამოვიდენ „ხვოსტისტები“, რომლებმაც ხელი ჩასჭიდეს პარტიის წესდების პირველ §-ის ოპორტუნისტულ ფორმულირებას, რომელიც წამოაყენა მარტოვმა ლენინის პროექტის წინააღმდეგ.

წესდების პირველი პუნქტის ლენინის ფორმულირება შემდეგი იყო: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყოველი, რომელიც აღიარებს მის პროგრამას და მხარს უჭერს პარტიას, როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში“.

---

[1]) იხ. ლენინი, ტ. VI, გვ. 261.

მარტოვის, აქსელროდის, ტროცკის და სხვათა გამოსვლა ასეთი ფორმულირების წინააღმდეგ იმას მოწმობდა, რომ ყველა ისინი იდგენ „ეკონომისტთა“ თვალსაზრისზე, რომელნიც იბრძოდენ დამოუკიდებელი რევოლუციური პარტიის შექმნის წინააღმდეგ, ისეთი პარტიის, რომელსაც შეეძლებოდა წაეყვანა მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. წინააღმდეგ ლენინის ფორმულირებისა მარტოვმა წამოაყენა ისეთი ფორმულირება, რომელიც აღებდა პარტიის კარს ყველასათვის. მისი ფორმულირება ასეთი იყო: „რსდმპ-ის წევრად ითვლება ყველა ის, ვინც ღებულობს მის პროგრამას, ეხმარება პარტიას მატერიალური საშუალებებით და უწევს მას რეგულიარულ პირად შემწეობას მისი ერთერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ“.

ასეთი ფორმულირება შესაძლებლობას ჰქმნიდა პარტიაში ისეთი პირების მიღებისა, რომელიც არ შედიოდენ რომელიმე პარტიულ ორგანიზაციის შემადგენლობაში და არ იყვენ მისი აქტიური წევრები. აქედან გამომდინარეობდა პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობის შეუძლებლობა პარტიის წევრების მიმართ. მარტოვის მიხედვით პარტია უნდა ყოფილიყო ფართო, ყველასათვის მისაწვდომი, არსებითად, უფორმო, უხერხემლო, რომელიც ცხადია, ვერ გამოდგებოდა მუშათა კლასის ხელმძღვანელად კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში. მენშევიკების თვალსაზრისით, მუშათა კლასს სწორეთ ასეთი ორგანიზაცია ესაჭიროებოდა რუსეთში, რადგან ისინი ჰფიქრობდენ, რომ რევოლუციის ჰეგემონი უნდა იყოს ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი. ტყუილად კი არ ამბობდა მარტოვი, რომ „ჩვენ უნდა გვიხაროდეს თუ გაფიცვის ყოველი მონაწილე, ყოველი დემონსტრანტი—როცა თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებს—შესძლებს გამოაცხადოს თავისი თავი პარტიის წევრადო“.

საკითხის ასეთი დაყენება იმას მოწმობდა, რომ მარტოვისათვის პარტია არ იყო მუშათა კლასის მოწინავე რაზმი და მაშასადამე, ის უნდა გათქვეფილიყო უპარტიო მასაში. ამიტომ იყო, რომ ლენინი თავის ბროშურაში: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ სწერდა, რომ „ჩვენ კლასის პარტია ვართ და ამიტომ თითქმის მთელი კლასი (ომის დროს, სამოქალაქო ომის ეპოქაში-კი მთელი კლასი სავსებით) უნდა მოქმედებდეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა შეუერთდეს ჩვენ პარტიას რაც შეიძლება მჭიდროდ; მაგრამ მანილოვშჩინა და „ხვოსტიზმი“ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ოდესმე თითქმის მთელ კლასს ან სრულიად მთელ კლასს შეეძლოს კაპიტალიზმის დროს ამაღლდეს თავისი მოწინავე რაზმის, თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებამდე და აქტიურობამდე“.

ის, რაც გაუგებარი იყო მრავალთათვის, რომელნიც უთანხმოებას უმნიშვნელოდ თვლიდენ, ნათელი იყო ლენინისათვის. ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ მარტოვის პრინციპებზე აგებული პარტია ვერ შესძლებდა დაეცვა მუშათა კლასის ინტერესები, საქართველოს მენშევიზმის პოზიცია, რომელმაც რუსეთის მენშევიკების მსგავსად, პარტიის კარი გაუღო ხუცებსა და მიკიტნებს, მოწმობს ბოლშევიზმის პოზიციის სისწორეს ამ საკითხში. საქართველოს მენშევიკები 1907 წ, იდგენ ლიკვიდატორობის პოზიციაზე, მხარს უჭერდენ მეფის მთავრობას იმპერიალისტური ომის დროს და აქტიურად იბრძოდენ კონტრრე-

ვოლუციის რიგებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

პლეხანოვი ამ საკითხში ყრილობაზე მხარს უჭერდა ლენინს, მეორე ყრილობის შემდეგ იგი გადაბარგდა მენშევიკებთან და ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ის მოტივები, რომლის მიხედვითაც იგი ყრილობაზე ლენინის თვალსაზრისს იცავდა. იგი ჰფიქრობდა, რომ მარტოვის ფორმულირება იმ გარემოებას გამოიწვევს, რომ პარტიაში შევლენ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები, რომელნიც ყოველნაირი ოპორტუნიზმის წარმომადგენლები არიან.

„ჩვენ უნდა ჩამოვიცილოთ ისინიო—ამბობდა პლეხანოვი,—ლენინის პროექტი გამოდგება ზღუდეთ მათი შემოჭრის წინააღმდეგ პარტიაში და უკვე მარტო ამისათვის მას ხმა უნდა მისცეს ოპორტუნიზმის ყველა მოწინააღმდეგემ“ [1].

მარტოვმა მაინც მოახერხა ანტი-ისკრელთა მხარის დაჭერით გაეყვანა თავისი ფორმულირება 28 ხმით 22-ის წინააღმდეგ.

მაგრამ ყრილობიდან „ბუნდისა“ და „Рабочее дело“-ს მიმდევართა წასვლის შემდეგ ყრილობის რევოლუციური ფრთის გავლენა კვლავ აღდგენილი იქნა და ყრილობამ არჩევნების დროს გაატარა უმრავლესობის თვალსაზრისი. ცენტრალური ორგანოს შემადგენლობაში წამოყენებული იქნა სამეული ექვსი წევრის მაგიერ, როგორც ეს ძველი „ისკრა“-ს დროს იყო. საკითხის ასეთ დასმას მანამდე მარტოვიც ეთანხმებოდა, მაგრამ ამხ. რუსოვის მიერ შესაფერი წინადადების შეტანის შემდეგ ორი სამეულის არჩევის შესახებ, როგორც ც. კ.-სა, ისე ც. ორგანოში, მენშევიკებმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათი აზრით, საჭირო იყო ექვსეულის დატოვება.

ყველაფერი გამოყენებული იქნა უმრავლესობის წინააღმდეგ იმისათვის, რათა ამ მეტად მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხის აზრი დაეყვანათ წვრილმან ინტრიგებამდე. მენშევიკები ჰფიქრობდენ, რომ სამეულის არჩევა ც. ორგანოს ხელმძღვანელად ნიშნავს პერსონალურ უნდობლობას რედაქციის დანარჩენი წევრების მიმართ.

მარტოვი პარტიის დისციპლინას ადარებდა „საალყო წესების დროს არსებულ რეჟიმს“. გარდა ამისა სამეულის არჩევას მარტოვი თვლიდა იქითკენ მიმართულ აქტად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გავლენის მოხდენა ც. კ.-ზე რუსეთში. ამით მან გააღრმავა თავისი პოლიტიკური უთანხმოება უმრავლესობასთან. ლენინმა გააგებინა მას ეს. „გავლენისათვის ბრძოლა დღემდე წარმოადგენდა „ისკრა“-ს, როგორც კერძო ჯგუფის, მოღვაწეობას; ეხლა-კი ლაპარაკია გავლენის უფრო დიდ ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, და არა მარტო ბრძოლაზე მისთვის. თუ პოლიტიკურად რა ღრმა უთანხმოებაა აქ ჩვენსა და ამხ. მარტოვს შორის, იქიდან სჩანს, რომ იგი დანაშაულად მითვლის სურვილს ც. კ.-ზე გავლენის მოხდენისა, მე-კი ჩემს დამსახურებად ვთვლი იმას, რომ მივისწრაფოდი და ეხლაც მივისწრაფი გავამაგრო ეს გავლენა ორგანიზაციული გზით. როგორც სჩანს, ჩვენ სხვადასხვა ენაზედაც ვლაპარაკობთ“. [2].

[1]) იხ. II ყრილობის ოქმები. გვ. 227.

[2]) იხ. მე-II ყრილობის ოქმები გვ. 307.

ყრილობამ ხმის უმრავლესობით გაიყვანა ლენინის თვალსაზრისი და ც. ო.-ს. რედაქციაში არჩეული იქნენ ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი. ც. კ. არჩეული იქნა კრჟიჟანოვსკის, ლენგნიკის და ნოსკოვის შემადგენლობით, საბჭოში უნდა გამოეყოთ ორ-ორი წევრი ც. კ.-ისაგან და ც. ორ-საგან, მეხუთე წევრად და მის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეული იქნა პლეხანოვი.

მარტოვმა იქვე განაცხადა: არ მსურს ც. ო-ს რედაქციაში მუშაობაო. ამით იგი დადგა „უმცირესობის“ ფრაქციის ორგანიზაციის აუცილებლობის თვალსაზრისზე, რომ ეწარმოებინა ბრძოლა ყრილობის უმრავლესობის დადგენილების წინააღმდეგ.

II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ, შექმნეს „უმცირესობის ბიურო“ აქსელროდის, დანის, მარტოვისა და ტროცკის შემადგენლობით. ბიურომ მოიწვია „უმცირესობის“ თათბირი ჟენევაში 1903 წლის სექტემბერში და გამოიმუშავა ც. კ.-ისა და ც. ო.-ს წინააღმდეგ მოქმედების პროგრამა.

მენშევიკებმა მტკიცედ მოიდგეს ფეხი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთელ ლიგაში და გამოიყენეს იგი ბრძოლაში ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ. ლიგის ყრილობა, რომელიც მოხდა II ყრილობის შემდეგ და რომელიც II ყრილობის შესაბამი დადგენილების მიხედვით წარმოადგენდა პროპაგანდისა და აგიტაციის უფლების მქონე ადგილობრივ ორგანიზაციას, შეიარაღდა უმრავლესობის წინააღმდეგ, რის გამო ლენინი და პლეხანოვი იძულებული გახდენ დაეტოვებიათ ლიგის სხდომა.

როგორც ლენინმა, ისე პლეხანოვმა ყოველივე ზომები მიიღეს იმისთვის, რომ გონს მოეყვანათ უმცირესობა და ჩაებათ ის პარტიულ მუშაობაში. მეორე ყრილობის დადგენილების საფუძველზე. „უმცირესობა“ განაგრძობდა თავის დეზორგანიზატორულ მუშაობას და ამ გზით ჰქმნიდა განხეთქილების შემდგომი გაღრმავების პირობებს. ისინი მოითხოვდენ ოთხივე ყოფილი რედაქტორის კოოპტაციას ც. ორგანოში.

პლეხანოვი, რომელსაც მიუძღვოდა განსაზღვრული დამსახურება ბერნშტეინიანელობისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთში, მაგრამ რომელიც ამასთანავე მერყეობდა პარტიის პროგრამის საკითხში და საკითხში „ლეგალურ მარქსიზმსა“ და „ლიბერალიზმთან“ დამოკიდებულების შესახებ,— საბოლოოდ დაეჭანა მენშევიზმისაკენ. საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატების ლიგის ყრილობის შემდეგ მან დააყენა საკითხი მაქსიმალურ დათმობაზე წასვლის აუცილებლობის შესახებ და ამასთანავე თვითონ იწყო ლენინის მონაწილეობის გარეშე მოლაპარაკება მარტოველებთან კოოპტაციის შესახებ. ამით მან ფეხით გათელა ყრილობის უმრავლესობის ნება-სურვილი და გაატარა ხაზი, რომელიც მიმართული იყო ძველი „ისკრის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ეს გარემოება ძლიერ აღელვებდა ლენინს, რომელსაც ასეთი ნაბიჯით უმცირესობის მიმართ მიაჩნდა დაუშვებელ პოლიტიკურ და პრინციპულ შეცდომად, მეორე მხრით, მენშევიკებმა ისარგებლეს პლეხანოვის მათკენ მიბრუნებით და გაცილებით შორს წავიდენ თავის მოთხოვნილებებში. ლენინს არ სურდა ეკისრა იმ პოლიტიკური შედეგის პასუხისმგებლობა, რომელიც მოყვებოდა მენ-

შევიკების შეყვანას რედაქციაში კოოპტაციის ყოველი წინასწარი პირობის გარეშე და აგრეთვე იცოდა, რომ პლეხანოვმა მოსალოდნელია მისცეს მენშევიკებს არა მარტო „ისკრა“, არამედ პარტიის ც.კ.; ამიტომ ლენინმა დასვა საკითხი რედაქციიდან გასვლის შესახებ.

რა იყო მენშევიკებთან პლეხანოვის მისვლის მიზეზი? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პლეხანოვსა და ლენინს შორის არსებობდა უთანხმოება „ისკრა“-ს რედაქციაში საპროგრამო ხასიათის ძირითადი საკითხების შესახებ. არსებობს პროგრამის ორი პროექტი, რომელიც შედგენილია პლეხანოვის მიერ. პროგრამის მეორე პროექტის გამო ლენინი შემდეგი ხასიათის შენიშვნას აკეთებს: „ეს პროგრამა შედგენილია უფრო მოსწავლეთათვის (განსაკუთრებით ყველაზე უფრო მთავარ განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილი აქვს კაპიტალიზმის დახასიათებას) და ამასთანავე პირველი კურსის მოსწავლეთათვის, სადაც ლაპარაკობენ კაპიტალიზმზე საზოგადოდ, და ჯერ კიდევ არა რუსეთის კაპიტალიზმზე“ [1]).

პლეხანოვი მოწყვეტილი იყო რუსეთის სინამდვილეს და ამიტომ არ შეეძლო მოეცა რევოლუციური პარტიისათვის საჭირო პროგრამა.

პლეხანოვის პროექტის მიხედვით სოციალ-დემოკრატიას უნდა ეკისრა „მშრომელი და ექსპლოატირებული მასების განმათავისუფლებელი მოძრაობის“ მეთაურობა. ლენინი შენიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატია მეთაურობს არა მშრომელსა და ექსპლოატირებულ მასებს საზოგადოდ, არამედ „მუშათა კლასს, მხოლოდ მუშათა მოძრაობას, თუ ამ კლასს შეუერთდება სხვა ელემენტები,— ეს სწორეთ ელემენტებია, და არა კლასი. ისინი უერთდებიან მას სრულიად და სავსებით მხოლოდ მაშინ, როცა ისინი „ტოვებენ თავის საკუთარ თვალსაზრისს“ [2]).

პლეხანოვის პროექტში ლაპარაკია წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციონერობაზე. საკითხის ასეთი დასმა მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგებს თუ დააკმაყოფილებს, როგორც იყვნენ სწორეთ მენშევიკები. ლენინი ამის შესახებ აცხადებს, რომ პროექტი „არაფერს ამბობს მის კონსერვატიულობაზე (და რეაქციონერობაზედაც). ეს სრულიად ცალმხრივია და არა სწორი“ [3]).

პლეხანოვის „მარქსიზმისათვის“ დამახასიათებელი ის არის, რომ მეორე პროექტის შედგენის დროს მას დაავიწყდა ყველაზე უფრო მთავარი რამ მარქსიზმში—მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე. მას დაავიწყდა პროექტში შეეტანა მუშათა კლასის ბრძოლის აუცილებლობა პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ლენინი ამის გამო აღნიშნავს: „პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის აღიარება უმჯიდროეს და განუწყვეტელ კავშირშია კომუნისტური მანიფესტის დებულებასთან, რომ მხოლოდ პროლეტარიატი არის ნამდვილი რევოლიუციური კლასი“ [4]).

---

[1]) იხ. ლენინის კრებული, № 2. გვ. 65.
[2]) იხ. ლენინის კრებული, ტ. 2, გვ. 79.
[3]) იხ. იქვე, გვ. 79.
[4]) იხ. ლენინი, კრებული, № 2, გვ. 80—81.

ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პლეხანოვის მიერ წარმოდგენილი პარტიული პროგრამის პროექტი უარყოფილი უნდა ყოფილიყო. როგორი იყო „ისკრა“-ს რედაქციის სხვა წევრების დამოკიდებულება ლენინის მიერ გაკეთებული ყველა ამ შენიშვნებისადმი?

ვერა ზასულიჩს, მაგალითად, სწადდა არა ის, რომ პარტიის პროგრამაში არ ყოფილიყო პრინციპული შეცდომები და მარქსისტულად უსწორო ფორმულირება, არამედ იგი ცდილობდა როგორმე არ ეწყენინებინა პლეხანოვისათვის. მაგალითად, ყველა ამ შენიშვნების ბოლოს იგი დასძენს თავის შენიშვნას, რომ გაბათილება „სრულიად არადამარწმუნებელიაო“, და რომ იგი მოჰკლავს ჟორჟში (პლეხანოვში) მის დიდ მისწრაფებას შეთანხმებისაკენ. ამის შემდეგ რაღა იყო დარჩენილი, თუ არა აპელაცია (არასასურველი) „საზოგადოებრივი აზრისადმი“ [1]).

პლეხანოვი არა თუ მიისწრაფოდა შეთანხმებისაკენ, არამედ პირიქით იგი საკითხს სვამდა განხეთქილების შესახებ, თუ კი ლენინის მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი მიღებული იქნებოდა რედაქციის წევრების უმრავლესობის მიერ. მაგალითად, ვ. ზასულიჩისადმი მიწერილ წერილში 1902 წ. 14 მარტის თარიღით იგი სწერს: „გთხოვთ მიუთითოთ ბერგს (მარტოვს), რომ ფრეის (ლენინის) პროგრამის ჩვენთვის თავზე მოხვევა შეუძლებელია, რა ვუყოთ ფრეის პროგრამას, თუ მას მიიღებენ? მე მას პრინციპულად ვერ მივიღებ. იფიქრეთ თუ არა ამაზე. ნუ თუ საქმე განხეთქილებით უნდა დამთავრდეს?“ [2]).

აქსელროდის დამოკიდებულება პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტისადმი ისეთი იყო, რომ იგი მას უფრო მისაღებად თვლიდა, ვიდრე მის პირველ პროექტს [3]).

პროგრამა, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურაზე, მისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ის, რომელშიც ამას სპეციალური პუნქტი აქვს მიძღვნილი.

უთანხმოება მიწის ნაციონალიზაციის საკითხზე კიდევ უფრო ააშკარავებს პლეხანოვის შეცდომებს. ლენინი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მაშინ იდგა მიწის ნაციონალიზაციის თვალსაზრისზე. „პრინციპულად ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ მოთხოვნასო,—სწერდა ლენინი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარულ პროგრამაში“ [4]). მაგრამ იგი მაშინდელი პირობების შესაფერად, როგორც ვიცით, აყენებდა ჩამონაჭრების დაბრუნების ლოზუნგს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რედაქციის უმრავლესობა არ დაეთანხმა ლენინის პრინციპულ მოსაზრებას მიწის ნაციონალიზაციის შესახებ და მან (უმრავლესობამ) ლენინის ხელნაწერის პირველ ორი ფურცლის მეორე გვერდზე მარტოვის ხელით გააკეთა შენიშვნა, რომელიც მიწის ნაციონალიზაციას რეაქციონურ ზომად თვლის [5]).

---

[1]) იხ. იქვე, გვ. 87.
[2]) იხ. ლენინი, კრებული № 3, გვ. 285.
[3]) იხ. ლენინი, კრებული № 2, გვ. 99.
[4]) იხ. ლენინი, კრებული № 3, გვ. 353.
[5]) იხ. იქვე, გვ. 363.

პლეხანოვი სხვადასხვა დროს ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრის გამოსთქვამდა. მაგალითად, ბროშურაში: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ იგი სწერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის გლეხობა დიდი სიმპატიით მოეპყრობოდა ყოველ ზომას, რომელიც მიმართული იქნებოდა ეგრეთწოდებული მიწის ნაციონალიზაციისაკენ. მის წრეში აგიტაციის ოდნავი თავისუფლების შესაძლებლობის დროს იგი მოეპყრობოდა თანაგრძნობით სოციალისტებსაც, რომელნიც, ცხადია, არ დააყოვნებდენ შეეტანათ თავის პროგრამაში ამგვარი ზომების მოთხოვნა“.

„ისკრა“-ს რედაქციაში საკითხის განხილვის დროს კი მან ის აზრი გამოსთქვა, რომ მიწის ნაციონალიზაცია რეაქციონური ზომაა და, მაშასადამე, პრინციპიალურად მიუღებელიაო. შემდეგში პლეხანოვმა დაადასტურა ეს აზრი თავის „კომენტარიებში რსდმპ-ს პროგრამისადმი“, სადაც იგი ლაპარაკობს, რომ „ჩვენში მიწის ნაციონალიზაციას იცავს „Московское Ведомости“. სოციალისტებს მისი დაცვა მხოლოდ გაუგებრობის გამო შეუძლიათო“ [1]).

თუ გავიხსენებთ რა დამოკიდებულებაში იყო პლეხანოვი „სტრუვესთან“, ცხადი გახდება, რომ მას მენშევიკური კონცეპცია ჭონდა ლიბერალიზმთან დამოკიდებულების საკითხებში ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობამდე.

სტრუვეს განცხადებას „ისკრა“-ს ჯგუფთან ერთად უცხოეთში ჟურნალ „Заря“-ს საერთო პოლიტიკური დამატების გამოცემის შესახებ, ლენინმა უარით უპასუხა. ლენინი, ამის გამო პლეხანოვს სწერდა: „თუკი წილად გეხვდება და და შევსძლებთ მივაღწიოთ ნამდვილ ჰეგემონიას,—ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გაზეთის (რომელსაც გაამაგრებს მეცნიერული ორგანო), მეშვეობით და როცა ჩვენ ალმაშფოთებელი თავხედობით გვიცხადებენ, რომ ჩვენი გაზეთის პოლიტიკურმა განყოფილებამ მეტოქეობა არ გაუწიოს ლიბერალების პოლიტიკურ წამოწყებასო,—აქ უკვე ჩვენი საცოდავი როლი ცხადია, როგორც დღე“ [2]).

პლეხანოვმა, რაკი მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა სტრუვესთან შეთანხმება, რასაკვირველია, ლენინს მხარი არ დაუჭირა.

ცნობილია, რომ ლენინის წერილმა: „ერობის მდევნელები და ლიბერალიზმის ჰანიბალები“, რომელიც დაიბეჭდა „Заря“-ს №№ 2, 3-ში 1901 წლის დეკემბერს, ერთბაშად გამოააშკარავა პლეხანოვისა და ლენინის უთანხმოება ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხში. 1901 წლის 14 ივლისს პლეხანოვი სწერდა ლენინს, რომ ამჟამად თავი უნდა დავანებოთ ლიბერალის ლანძღვას საზოგადოდ. ეს არაა ტაქტიანი საქციელი, ცუდი ლიბერალიდან უნდა მივმართოთ კარგს, თუგინდ ასეთის არსებობა ჩვენთვის საეჭვოც იყოს“-ო [3]).

ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ბრძოლის ძირითად საკითხებში, რომელნიც სოციალ-დემოკრატიის წინაშე იდგენ, პლეხანოვი არ იჩენდა მარქსისტულ სიმტკიცეს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ იგი II ყრილობის შემდეგ გადაბარგდა

[1]) იხ. პლეხანოვი, ტ. 12.
[2]) იხ. ლენინის კრებული, ტ. III, გვ. 129.
[3]) იხ. ლენინის კრებული, № 3, გვ. 203

იმათთან, რომელნიც ჯერ კიდევ ყრილობამდე იზიარებდენ მის თვალსაზრისს მუშათა კლასის ბრძოლის ძირითად საკითხებში. ლენინი არ შეუშინდა განხეთქილებას იმათთან, რომელნიც ლამობდენ წაეყვანათ რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციური მოძრაობა დაღუპვისაკენ და მან ამ გზით შექმნა მთელი ეპოქა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. მან შექმნა ბოლშევიკური პარტია, რომელმაც დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. მან გაამდიდრა მეცნიერული სოციალიზმი ახალი საუნჯით. მან ბრწყინვალედ გააგრძელა მარქსის საქმე და მოგვცა ახალი ეპოქის—იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის—ღრმა მეცნიერული ანალიზი, რომელმაც ამცნო მუშათა კლასს გახრწნილი კაპიტალიზმის რევოლუციონური დამხობის აუცილებლობა.

მისი საუკეთესო თანამებრძოლი და მარქსიზმ-ლენინიზმის განმავითარებელი სტალინი სათავეში უდგას მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას. მისი ხელმძღვანელობით პარტიამ კოლოსალური მუშაობა შეასრულა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში საბჭოთა კავშირში. მისი ხელმძღვანელობით აწარმოებს ბრძოლას მე-III კომუნისტური ინტერნაციონალი მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად მთელ დედამიწის ზურგზე.

მან თავისი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლის დროს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის მუშაობის ახალ პირობებში, აჩვენა მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას იმისი მაგალითი, თუ როგორ უნდა დაიცვა ლენინიზმის პრინციპები როგორც „მემარცხენეობა“, ისე მემარჯვენეთა თავდასხმისაგან.

ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის, კლდესავით მტკიცე სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო ბოლშევიზმი შესძლებს დაამსხვრიოს მსოფლიო კაპიტალიზმი.

ბოლშევიზმის სახელოვანი ბრძოლა ოცდაათი წლის განმავლობაში ამის საუკეთესო საწინდარია.

ს. გოდაბრელიძე

მეორე ხუთწლედის პირველი წლის ნახევრის შედეგები მრეწველობაში

საკ. კ.პ.(ბ) ცენტ. კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებულმა პლენუმმა მტკიცე და გარკვეული ამოცანები დასახა მრეწველობის შესახებ.

„1933 წლის გეგმა, როგორც მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობის საქმის შემდგომ განვითარებას“— აღნიშნა პლენუმმა. ამისდა მიხედვით მიმდინარე წლის დავალება მრეწველობისათვის განისაზღვროს პროდუქციის 16,5% გადიდებაში (მძიმე მრეწველობა 21,2% და მსუბუქი 10,5%).

ცენტრ. კომიტეტის პლენუმის დადგენილებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ხარისხობრივ მაჩვენებლებს. „ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი გეგმის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლის შრომის ტექვად და სამუშაოების (ტეხნიკური კულტურები, ქვანახშირი, ტყე, ტორფი, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და სხ.) მექანიზაციას. პლენუმი წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მუდმივად თვალყური ადევნონ მექანიზაციის და სათანადო მოწყობილობის წარმოების გათვალისწინებულ გეგმების შესრულებას“.

„უდიდეს მნიშვნელობას აძლევს რა ბრძოლას ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის, რომელთა ყოველგვარი არა მთლიანი შესრულება ქმნის გარღვევას დაგროვების საქმეში და მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს და აღნიშნავს-რა, რომ გასულ წელს ზოგიერთ დარგში ადგილი ჰქონდა ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ დავალებათა შეუსრულებლობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მდგომარეობის გაუარესებას წინა წელთან შედარებით, პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს 1933 წელს მთავარი ყურადღება მიაქციონ დავალებების მთლიანად შესრულებას შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების ხაზით, რომელთა განხორციელების დონე პირველყოვლისა მიღებულ იქნება მხედველობაში თვითეული საწარმოს და ტრესტის მუშაობის შეფასების დროს“.

როგორ მიმდინარეობდა ცეკას დადგენილებათა რეალიზაცია მრეწველობაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში?


უნდა აღინიშნოს, რომ პირველ თვეებში—იანვარი-მარტი, ცეკას დირექტივებმა ვერ პოვეს მთლიანი განხორციელება. კერძოდ ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენ საკავშირო ნახშირის მრეწველობა (დონბასი), შავი მეტალურგია და სხვა დარგები, რის გამო ადგილი ქონდა დიდ გარღვევებს საწარმოო გეგმების შესრულებაში. მაგრამ პარტიის და კერძოდ ცენტრალური კომიტეტის ენერგიულმა ჩარევამ, უკანასკნელ თვეებში მოგვცა საგრძნობი გარდატეხა. პარტიამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება ჩამორჩენათა მიზეზებს და მუშათა საწარმოო აქტივობის სათავეში ჩადგომით გადამწყვეტი ბრძოლა გაშალა გარღვევების წინააღმდეგ. წლის პირველი ნახევრის შედეგების ანალიზი საუკეთესო დამამტკიცებელია პარტიის ცენტრ. კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობის, რომელმაც, მიუხედავად პირველი თვეების გარღვევებისა, შესძლო მოეხდინა გადამჭრელი გარდატეხა, გეგმების, როგორც რიცხვობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულების დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წლის პირველი ნახევარის თვითღირებულების შემცირების დავალება მთელმა საკავშირო მძიმე მრეწველობამ გეგმაზე გადაჭარბებით შეასრულა. ასევეა შრომის ნაყოფიერების დარგშიც.

საკავშირო მძიმე მრეწველობამ ხუთი თვის განმავლობაში წლიური გეგმა შეასრულა 34,6 პროცენტით. დარჩენილ შვიდ თვეში, რომელიც უდრის წლის 58,6%, უნდა მოგვცეს გეგმის 65,3 პროცენტი. წლის მეორე ნახევარში პროპორციონალურად გეგმის რაოდენობის შესრულება სრულიად ნორმალურია, რამდენადაც მეორე ნახევარში დაიწყებენ მუშაობას ახალი მსხვილი წარმოებები. აქედან ცხადია, რომ გეგმის შესრულების მსვლელობა პირველ ხუთ თვეში ცხადყოფს წლიური გეგმის მთლიანად შესრულებას. გასული წლის პირველ ხუთ თვესთან შედარებით საკავშირო მძიმე მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 6,8%, მაისი და ივნისი კი იძლევა ზრდას 12—14%.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თუ ჩვეულებრივად გასულ წლებში მაისში ადგილი ჰქონდა, ეგრედწოდებულ „სეზონურ" შემცირებას, მიმდინარე წელში არა თუ შემცირებას, არამედ პირიქით წინა თვეებთან შედარებით მაისში ადგილი აქვს პროდუქციის ზრდას, ზოგიერთ ცალკე სამრეწველო დარგების გამოკლებით.

თითქმის ყველა სამრეწველო დარგები, ქარხნები, მაღაროები და სხ. პირველი ექვსი თვის განმავლობაში იძლევიან პროდუქციის გამოშვების აღმავალ ხაზს. თვიდან თვემდე სამრეწველო პროდუქცია იძლევა მატებას.


შავი მეტალურგიის დარგში 1933 წლის დავალება გამოიხატება 9 მილიონ ტონა თუჯის და 8,9 მილიონ ტონა ლითონის გამოდნობაში. ხაცვლად 6,2 მილიონი ტონა თუჯისა და 5,8 მილიონ ტონა ფოლადისა, რომელიც 1932 წელში მივიღეთ. ამ დავალების შესრულება იანვარ-თებერვალში ძლიერ ცუდათ მიმდინარეობდა. იანვარში ყველა მეტალურგიული ქარხნების საშუალო დღიური გამომუშავება 15 ათას ტონას შეადგენდა, მაშინ, როცა გასული 1932 წლის იანვარმა უკვე მოგვცა დღიურათ 16 ათასი ტონა. ასეთი სამარცხვინო მდგომარეობის წინააღმდეგ მიღებული იქნა გადამჭრელი ზომები და უკანასკნელი თვე უკვე იძლევა დღიურად 22 ათას ტონას.



თუჯის საშუალო დღიური გამოდნობა (ათას. ტონებში).

მეტალურგიისათვის მიცემული გეგმის სრულ რეალობას ამტკიცებს ის, რომ იმ ქარხნებში, სადაც გეგმა არ არის შესრულებული, ცალკე თვეების და დღეების მიხედვით გეგმის გადაჭარბებასაც ჰქონდა ადგილი. მერყეობა დღიურ გამოდნობაში მთელ რიგ ქარხნებში აღწევდა დიდ ციფრებს. მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ზოგიერთ დღეებში იძლევა 340—400 ტონა თუჯს, ზოგიერთში კი 1000—1100 ტონას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქარხანას შეუძლია ყოველდღიურად 1000 ტონაზე მეტი გამოიმუშავოს, თუ იქნება მიღებული სათანადო ზომები. თუ ავიღებთ მეორე ქარხანას—სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას დონბასში, იქ დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე გამოდნობა თანაბრად მიმდინარეობს და არა აქვს ადგილი იმ მერყეობას, როგორც ვოროშილოვის სახელობის ქარხანაში და „მაგნიტკაში". სტალინის სახელობის ქარხანა გამოდნობის ასეთ მსვლელობას იძლევა თვეების მიხედვით: აპრილში—32 ათასი ტონა, მაისში—40 ათასი, ივნისში—51 ათასი. ასეთი ზრდა მოხდა მხოლოდ მუშაობის გაუმჯობესებით, ღუმელების სიმძლავრე კი არ შეცვლილა.

არსებული ღუმელების (დომნების) ათვისებით ხუთი თვის განმავლობაში თუჯის გამოდნობა, მთელს კავშირში ძლიერ გაიზარდა. თუ იანვარში ყველა მეტალურგიულ ქარხნებში გამოდნობილი იყო 474 ათასი ტონა თუჯი, ივნისში—643 ათასი.



თუჯის გამოდნობა თვიურათ მთელს კვირაში (ათას ტონაში).

ივნისში მეტალურგიული ქარხნების მუშაობა შედარებით კარგ სურათს იძლევა. ბევრგან თუჯის გამოდნობის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. (ნიჟნი-ტაგელის—145%, გურიევის—128%, პეტროვსკის—118%, ენაკიევის—111%. ფოლადის გამოდნობაში 18 ქარხანამ ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. შავი ლითონის მრეწველობაში გამოდნობის ზრდის დინამიკა აიხსნება იმ განსაკუთრებული ყურადღებით, რომელსაც საკავშირო ცენტრ. კომიტეტი და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი აპყრობდენ მრეწველობის ამ დარგს. მოკლე ხნის განმავლობაში გატარდა ქარხნების ორგანიზაციულ-ტეხნიკური გამაგრება, გამოცდილი კადრების ტრესტებიდან წარმოებაში გადასროლა და კონკრეტული ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება. მაგრამ ეს ზომები ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი და საკმარისი. ამოუწურავია კიდევ დიდი საწარმოო რეზერვები. ხშირ ავარიებს და შეფერხებებს ბევრა დრო მიაქვთ უნაყოფოთ. წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო მეტად უნდა იქნას გაძლიერებული ბრძოლა, რომ მთლიანად შესრულდეს თუჯის და ფოლადის გამოდნობის გეგმა.

შავი მეტალურგიის ერთ დარგს ჩვენში წარმოადგენს ჰ ი ა თ უ რ ი ს მ ა რ გ ა ნ ე ც ი. მისი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის დიდია. ის ამარა-

გებს მარგანეცით საბჭოთა კავშირის მსხვილ მეტალურგიულ ქარხნებს (მაგნიტკა, კუზნეცკი), ხოლო მადნის დიდი ნაწილი მიდის ექსპორტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ თვეებში ჰიათურაში მადნის ამოღება წინა თვეებთან შედარებით გაორკეცდა, ექვსი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 67,2 პროცენტით. მადნის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 54,6%, აპრილის—56%, მაისის—80% და ივნისის—84,5%.

საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ჰიათურის მარგანეცის შესახებ თავის დადგენილებაში შემდეგი აღნიშნა: „ჰიათურის წარმოებამ დაივალიანა წლის პირველ ნახევარში 163 ათასი ტონა მადანი, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ წელს მარგანეცის ტრესტს მიეცა მექანიზაციისათვის მოწყობილება (მთხრელი მანქანები, მექანიკური გაზიდვა მაღაროებში, საკანატო გზა და სხ.). გარღვევის ძირითადი მიზეზია—ტრესტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომელმაც თავისი მუშაობა არ გარდაქმნა ახალ პირობებთან შეფარდებით, და განაგრძობს ძველი კანცელარული მეთოდით ხელმძღვანელობას. ტრესტის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა არ გახადეს თავის შუშაობის ცენტრში ბრძოლა ახალი ტეხნიკის ათვისებისათვის და მაღაროების მექანიზმებით თავის დროზე მოწყობა. ტრესტმა და რაიონულმა კომიტეტმა არ დააფასეს ახალი მოწყობილობისათვის კადრების მომზადების მნიშვნელობა. მექანიზაცია მიმდინარეობს გაფანტულად, რის გამო მოწყობილობის უმეტესი ნაწილი არ არის გაშვებული ვადაზე. არ არის შექმნილი პირობები მუშების ძირითად კადრების წარმოებაში დამაგრებისათვის".


„ცეკა სთვლის, რომ მარგანეცის ტრესტს და ჰიათურის პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, როგორც სამეურნეო-ტექნიკური, ისე სურსათის მხრივ, მათდამი მიცემულ სრულიად რეალურ გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ყველაფერი დამოკიდებულია საქმის ორგანიზაციაზე და ცოცხალი ადამიანების სწორ ხელმძღვანელობაზე. ამის მაგალითს იძლევა მუშაობის დაყენება შუქრუთის № 29/30 მაღაროში, რომელმაც თავისი გეგმა პირველ ნახევარ წელში შეასრულა 108 პროცენტით, იმავე პირობებში, როგორც სხვა მაღაროებში იყო".

ცეკას ეს ანალიზი სრულიად სწორად ახასიათებს მარგანეცის მრეწველობაში არსებულ გარღვევების მიზეზებს და იძლევა გარკვეულ მითითებებს, მათი მოსპობით, უზრუნველყოფილი იქნეს წლის მეორე ნახევარში გეგმის მთლიანი შესრულება და დანაკლისის დაფარვა.

მესამე კვარტალის გეგმა ჰიათურისათვის დამტკიცებულია—ამოღების დარგში: 289 ათასი ტონა და გარეცხვის 151 ათასი ტონა. ამ გეგმაში ნაწილობრივად შედის პირველი ნახევრის დანაკლისი. ნაწილი კი რჩება მეოთხე კვარტალისათვის. ამისდამიხედვით ტრესტის, რაიკომის და ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციების წინაშე სდგას ამოცანა, ისე გაშალონ მუშაობა, რომ ეს გადიდებული გეგმები მთლიანად შეასრულონ.

ქვანახშირის მრეწველობას დავალებული აქვს მისცეს საბჭოთა კავშირს 84 მილიონი ტონა ნახშირი (აქედან 50 მილიონი დონბასში უნდა იქნეს გამოღებული), გასული წლის 62 მილიონი ტონის მაგივრად. პირველ კვარტალში

ქვანახშირის მრეწველობა, კერძოდ დონბასი სამარცხვინოდ ჩამორჩა. 1933 წლის პირველი კვარტალის ამოღება (10,3 მილიონი ტონა) ნაკლები იყო 600 ათასი ტონით, ვიდრე 1932 წლის პირველი კვარტალის ამოღება. ხუთი თვის განმავლობაში ქვანახშირის მრეწველობის ფაქტიური პროდუქცია მხოლოდ 1,3% მეტი იყო 1932 წლის სათანადო პერიოდთან შედარებით. მაისი იძლევა 12,6%-ის და იუნისი 19% ზრდას. 32 წლის სათანადო თვეებთან.



ნახშირის საშუალო დღიური ამოღება (ათას ტონებ.)—დონბასში.

დონბასის ცალკე ტრესტების („ლუგანსკუგოლ", „ატემ უგოლ", სტალინუგოლ", მაკეევუგოლ" და სხ.) ხუთი თვის მაჩვენებლები ნაკლები აქვს, ვიდრე გასულ წელში იყო.

ჩამორჩენის მიზეზების ამომწურავ ანალიზს იძლევა ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება დონბასის შესახებ". ამ სამარცხვინო უკან-მსვლელობის მთავარი მიზეზია ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი კანცელიარულ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდები, დაწყებული მაღაროებიდან გათავებული მძიმე მრეწველობის კომისარიატის სათბობ მრეწველობის მთავარ სამმართველომდე. მათი მთავარი ძირითადი დეფექტი გამოიხატება იმაში, რომ მათ ვერ გაიგეს ძირითადი ცვლილება მუშაობაში, რომელიც ამოღების მექანიზაციასთან არის დაკავშირებული და უყურებენ მაღაროს, როგორც უბრალო მიწის მთხრელების მუშაობის ადგილს, მაშინ, როცა მაღარო გადაიქცა ნამდვილ ქარხანად რთული მექანიზმით, რომელიც თხოულობს სერიოზულ მუშაობას და მუშაკების სერიოზულ შერჩევას ტეხნიკის ათვისებისათვის, კვალიფიციურ მუშაკების მუდმივ კადრს, უფრო გა-

მოცდილ ორგანიზატორებს, უფრო ინიციატივის გამომჩენ ინჟენერებს და ტექნიკებს, და მიწის ქვეშ მუშების უფრო უკეთეს უზრუნველყოფას".

ცეკა დაუშვებლად სთვლის იმ მდგომარეობას, რომ ინჟენერ-ტექნიკოსთა საუკეთესო ძალები ტრესტებში იჯდენ და ამასთან ერთად ტრესტებში მოსამსახურეები უფრო მეტი ხელფასით იყვენ უზრუნველყოფილი, ვიდრე მაღაროებში მომუშავენი. ცეკა განსაკუთრებულად აღნიშნავს მუშების დენადობას, რამაც დონბასში მიიღო ფართო ხასიათი. გასულ წელში სამუშაოზე მიღებული იყო 408 ათასი მუშა-მოსამსახურე, წავიდა 425 ათასი, რაც შეუძლებლად ხდიდა ახალი ტექნიკის ათვისებას. ფუნქციების ხელოვნურმა დაქუცმაცებამაც ხელი შეუწყო გარღვევებს. ისეთი საკითხები, როგორიცაა წარმოების რაციონალიზაცია, შრომის დანორმვა—მეორე ხარისხოვან მუშაკების ხელში იყო. მთავარი ინჟენერი და სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელი ამ საკითხებს უშუალოდ არ განაგებდა. ამასთან დაკავშირებით ცეკამ გამოიტანა დადგენილება მთელ რიგ ზედმეტ განყოფილებების და ნაწილების ლიკვიდაციის შესაგებ. წინადადება მისცა დონბასის ტრესტებს ხელფასის სისტემის დაუყოვნებლივ გადასინჯვის და პროგრესიული და სანარდო სამუშაოს შემოღების შესახებ.

ცეკას დადგენილების თანახმად, დონბასის ტრესტებიდან მოკლე დროის განმავლობაში გადასროლილი იქნა მაღაროებში 500-ზე მეტი ინჟენერი და ტექნიკი. მოხდა ტრესტების და მაღაროების აპარატის რეორგანიზაცია (გამარტივება და ფუნქციების ხელოვნურად დაყოფის მოსპობა) და სხ.

აღსანიშნავია, რომ დონბასის მთელ რიგ მაღაროებში საკმაოდ ქონდა ფეხი მოკიდებული მექანიზაციის საწინააღმდეგო აზრს. ამის გამო სამუშაოების მექანიზაცია დაუშვებელ ტემპით მიმდინარეობდა. თუ 1931 წ. უმოქმედოთ მდგარი ნახშირის მთხრელი მანქანების რიცხვი 93 უდრიდა, მიმდინარე წელს ის შაადგენდა 272-ს. ასეთივე სურათია სხვა მოწყობილების მიმართაც.

ცეკას დადგენილების საფუძველზე ამ უკანასკნელ თვეებში დონბასში გაიშალა ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის და მაისი და ივნისი იძლევა ნახშირის ამოღების ზრდას. მაგრამ ჯერ კიდევ გადამჭრელი გარდატეხა არ მომხდარა.

გარღვევის ის მიზეზები, რომელნიც ცეკას მიერ იყო გამოაშკარავებული დონბასში, სრულიად მთლიანად ხსნიან დიდ ჩამორჩენას ტ ყ ი ბ უ ლ ი ს ქ ვ ა-ნ ა ხ შ ი რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი ა ც. აქ მუშაობა კიდევ უფრო ცუდათ მიმდინარეობს. პირველ კვარტალში ნაცვლად 50 ათასი ტონისა, ტყიბულში გამოღებული იყო 36,7 ათასი, მეორე კვარტალში შესრულდა გეგმის 50%. სულ წლის პირველ ნახევარში ნაცვლად 135 ათასი ტონისა, ამოღებული იყო 79,4 ათასი ტონა (გეგმის 58,8 პროც.). მიმდინარე წლის ამოღება უფრო დაბალ დონეზე სდგას, ვიდრე გასულ წელს იყო. თუ სხვა წარმოებებში ადგილი აქვს პროდუქციის მატებას აქ ამას ვერ ვხედავთ. საშუალო თვიური ამოღება წლის პირველ თვეებში შეადგენდა 12—14 ათას ტონას. უკანასკნელი თვეებიც ამაზე მეტს არ იძლევა.

საქ. ცენტრ. კომიტეტის ბიურომ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ზომები მაღაროების მუშაობის გაჯანსაღებისათვის. შეცვლილი იქნა ხელმძღვანე-

ლობა, გაიგზავნა მაღაროებში გამოცდილი ინჟენერ-ტექნიკური პერსონალი, შეიქმნა პირობები მუშების დამაგრებისათვის და სხ. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ადგილობრივ სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის და წლის მეორე ნახევარში დაფარონ დანაკლისი.

ნავთის მრეწველობის მნიშვნელობამ წელს საბჭოთა კავშირისათვის უფრო აიწია, ვინაიდან გაიზარდა სოფლის მექანიზაცია, რაც მოითხოვს მეტ საწვავ მასალას (ტრაქტორებისათვის). მიმდინარე წელს ამოღებული უნდა იქნას 24,4 მილიონი ტონა ნავთი, ნაცვლად გასული წლის 21,3 მილიონისა. ხუთი თვის განმავლობაში უკვე ამოღებულია 8 მილიონი ტონა.

ნავთის ძირითად რაიონში—აზერბაიჯანში, ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით (101,7%). მიუხედავად იმისა, რომ პირველ თვეებში აზნავთში დიდ გარღვევებს ქონდა ადგილი, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ენერგიული ჩარევით მოხდა გადამჭრელი გარდატეხა და მიღებულ იქნა გეგმაზე ზევით 205.000 ტონა ნავთი.

აზნავთში ნავთის ამოღების დინამიკა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემდეგ სურათს იძლევა:

იანვარი	30.390	ტონა
თებერვალი . . .	31.700	„
მარტი	36.775	„
აპრილი	38.690	„
მაისი	41.990	„
ივნისი	42.470	„

ეს ციფრები ცხადყოფენ იმას, რომ ძალების მობილიზაციით და გადამჭრელი ზომების გატარებით ა. კ. სამხარეო კომიტეტის და აზერბაიჯანის ცეკას უშუალო ხელმძღვანელობით, მიღებული იქნა ნავთის ამოღების დიდი ეფექტი. პირველ რიგში გეგმის შესრულების მხრივ სდგანან—ორჯონიკიძის, სტალინის, მოლოტოვის და კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოები. ორჯონიკიძის სახელობის სარეწაომ ექვს თვეში 150 ათასი ტონა გეგმაზე მეტი ამოიღო.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს „გროზნოს ნავთში“. იქ მაისის გეგმა შესრულდა 87% და ივნისის 64%. გროზნომ უკანასკნელ თვეებში შეამცირა ამოღება.

ნავთის მრეწველობაში ბურღვის გეგმის შესრულება გადამწყვეტია. ამ მხრივ აზნავთში ადგილი აქვს გარღვევას. ბურღვის წლიური გეგმა ხუთი თვის განმავლობაში შესრულებული იყო მხოლოდ 97 პროცენტით. ასეთ ჩამორჩენის გამო ა. კ. სამხარეო კომიტეტის ბიურომ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები და აღნიშნა, რომ ჩამორჩენის ეს მიზეზი იმის შედეგია, რომ ნავთის ამოღების დარგში გამარჯვებამ, შექმნა „დამამშვიდებელი განწყობილება“, რამაც შეასუსტა ცალკე სამუშაოებზე ბრძოლა.

ბაქოს ნავთის პროლეტარიატი, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, შესძლებენ ბურღვის დარგშიაც არსებულ გარღვევის ლიკვიდაციას.

დიდი გარღვევებით დაამთავრა პირველი ნახევარიწლის გეგმა „საქართველოს ნავთმა". ნაცვლად გეგმით ნავარაუდევ 11.565 მეტრისა, გაბურღულია მხოლოდ 6161 მეტრი; ნაცვლად 5365 ტონისა, ამოღებულია მხოლოდ ორი ათასი ტონა ნავთი, მაშინ როცა წლიური გეგმა 25 ათას ტონას შეადგენს, ე. ი. წლიური გეგმა მხოლოდ 8% არის შესრულებული. მუშაობის ასეთი ცუდი მაჩვენებლები იმის შედეგია, რომ ტრესტი ძლიერ სუსტად ანხორციელებს ტექნიკურ ხელმძღვანელობას, რის გამო ადგილი აქვს ხშირ ავარიებს და საბურღავების ხანგრძლივ შეჩერებას. საჭიროა „საქნავთმა" ისეთივე გადამჭრელი ზომები გაატაროს, როგორიც გატარებული იყო აზნავთში. პირველყოვლისა, საქნავთი გაძლიერებული უნდა იქნას კადრებით.

მანქანათმშენებლობის მრეწველობა გეგმების შესრულების მხრივ მთლიანად კავშირში პირველ რიგში მიდის, როგორც რიცხობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების მხრივ. განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს ავტოტრაქტორის მრეწველობას. მიმდინარე წელში ჩვენ უნდა მივიღოთ 40 ათასი ავტომანქანა და 60 ათასი ტრაქტორი (ნაცვლად 25 ავტომანქანის და 49 ათასი ტრაქტორისა 1932 წ.). პირველი ნახევარი წლის გეგმა ყველა ქარხნებში გადაჭარბებით არის შესრულებული. მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანამ („ამო") ნაცვლად 10.780 მანქანისა პირველ ნახევარში გამოუშვა 11.001; გორკის საავტომობილო ქარხანამ ნაცვლად გეგმით ნავარაუდევ 2.500 მანქანისა, გამოუშვა— 2.600; სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ გეგმა შეასრულა 100,2 პროცენტით; ხარკოვის—100,8%, ჩელიაბინსკის—137%. ამ რიცხვობრივ მაჩვენებლებთან ერთად საგრძნობი მიღწევები არის თვითღირებულების შემცირების დარგში. ცალკე ქარხნებში თვითღირებულების შემცირება უდრის 7—29%. სტალინის სახელობის ქარხნის თვითღირებულება მანქანაზე დავიდა ამერიკის ქარხნის „ჯენერალ მოტორის" დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ლითონი უფრო ძვირია.

ლითონის მრეწველობა საქართველოშიაც იძლევა გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს: ორჯონიკიძის სახელობის ღვინის მოწყობილობის დამამზადებელმა ქარხანამ, 26 კომუნარების ჩაის და საფეიქრო მანქანების დამამზადებელმა ქარხანამ და სხ. პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და საგრძნობი მიღწევა აქვთ თვითღირებულების შემცირებაში და შრომის ნაყოფიერების გაზრდაში. ლითონის მრეწველობაში ჩამორჩა მხოლოდ ბათომის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა.

სამარცხვინო შედეგებით დაამთავრა ნახევარი წელი ა. კ. მინერალების ტრესტში შემავალ წარმოებებმა (ბარიტი, დიატომიტი, გუმბრინი, ანდეზიტი). ამ დარგში ტრესტის ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის შედეგად ადგილი აქვს პროდუქციის გამოშვების შემცირებას გასულ წელთან შედარებით. მაგალითად, თუ გასულ წლის პირველ ნახევარში ამოღებული იყო 5,7 ათასი ტონა ბარიტი, წელს მხოლოდ 2,9 ათასი; გუმბრინი გასულ წელს 5,9 ათასი ტონა (ექვს თვეში), წელს 750 ტონა; მუშაობის ძირიანად გაჯანსაღებისათვის ცეკას დადგენილებით, ტრესტი დაშლილი იქნა და წარმოებაში გაიგზავნენ კვალიფიციური მუშაკები.

მსუბუქ მრეწველობის მთელ კავშირში 1933 წ. უნდა მოგვცეს 8,9 მილიარდი მანეთის პროდუქცია. პირველ ხუთი თვის განმავლობაში დამზადებულია 3,4 მილიარდის პროდუქცია.

საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 84 პროცენტით. მაუდის წარმოებაში გეგმა შესრულებულია 83%. თვითღირებულების შემცირების გეგმაც არ არის შესრულებული. აბრეშუმის ქსოვილების დარგში გეგმა შესრულდა 92 პროც., ნაცვლად 929 ათასი მეტრისა დამზადებულია 857 მეტრი. გარღვევას აქვს ადგილი სამკერვალო და ტყავის მრეწველობაში. თამბაქოს მრეწველობაში გეგმა შესრულებულია 71,5 პროც., ნაცვლად 2733 მილიონ საწვავ ერთეულისა, დამზადებულია პირველ ნახევარში— 1963 მილიონი.

ფრიად დაუშვებელი მდგომარეობა არის სააღმშენებლო მასალების წარმოებებში. ყველა უწყებების აგურის ქარხნებს პირველ ნახევარში უნდა დაემზადებია 13 მილიონი აგური, ფაქტიურად კი დამზადებულია 6,3 მილიონი. ეს მაშინ, როცა სააღმშენებლო მასალების მრეწველობას განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული და საკავშირო სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილებაც იყო გამოცემული. ამ დარგში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნაცვლად ადგილი აქვს გადიდებას. უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები, რომ სააღმშენებლო მასალების წარმოებათა მუშაობა ნორმალურ კალაპოტში იქნეს ჩაყენებული. მისი ჩამორჩენა აფერხებს ჩვენს მშენებლობას.

მიუხედავად ცალკე სამრეწველო დარგებში გეგმის შეუსრულებლობისა, წლის პირველ ნახევარში ჩვენ საერთოდ მთელს საკავშირო მრეწველობაში გვაქვს გადამჭრელი გარდატეხა. უკანასკნელი თვეების აღმავალა ხაზი იძლევა იმის სრულ იმედს, რომ მეორე ხუთწლედის პირველ წელს მრეწველობა გამარჯვებით დაამთავრებს. ამისათვის საჭიროა მტკიცედ გავატაროთ ყველა საწარმო დარგებში ცენტრ. კომიტეტის ორი დადგენილება—დონბასის შესახებ და უკანასკნელი დადგენილება—რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ. თუმცა უშუალოდ ცეკას ეს მითითებანი რკინის გზას ეხება, მაგრამ ის სრულებით მისაღებია და სავალდებულო ყველა საწარმო დარგებისათვის.

ეს უკანასკნელი დოკუმენტი წარმოადგენს გარღვევების და ჩამორჩენის ბოლშევიკურ ანალიზს და საუკეთესო პროგრამა არის ჩვენი მუშაობისათვის. ამ დადგენილებათა საფუძველზე უნდა გაიშალოს კოლექტიური ბრძოლა 1933 წლის გეგმების რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების მთლიანად შესრულებისათვის.

კ. ჭრაგველიძე

პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის*)

პარტიული განათლება და სოციალისტური მშენებლობა.

ავიღოთ ახლა საკითხი თეორიის დაკავშირების შესახებ პრაქტიკასთან. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშაობის გარდაქმნისათვის პარტიული განათლების სფეროში. არის მრავალი შემთხვევა, როდესაც პარტგანათლების ზოგიერთი მუშაკები აცხადებენ, რომ სამეურნეო კამპანიები ხელს უშლიან პარტგანათლების საქმეს, რომ ისინი იწვევენ მარქსისტული-ლენინური სწავლების ჩაშლას. მეორე მხრით, არიან სამეურნეო დარგის და პარტიული მუშაკებიც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ პარტგანათლება ხელს უშლის სამეურნეო კამპანიების გატარებას. იქმნება ისეთი სურათი, თითქოს პარტგანათლება და სამეურნეო კამპანიები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ერთნი ფიქრობენ—სამეურნეო კამპანიები რომ არ იყოს, პარტგანათლების ქსელის მუშაობა კარგად განვითარდებოდა, მეორენი ამტკიცებენ, პარტგანათლება რომ არა, სასოფლო-სამეურნეო კამპანიების საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდაო.

ადიგენის რაიონიდან ამასწინათ შეგვატყობინეს, რომ „გაზაფხულის თესვის კამპანიის გამო უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით აპრილის შუა რიცხვებში მეცადინეობა ყველა პოლიტსკოლაში თითქმის შეწყდა“.

აფხაზეთში დამზადებათა კამპანიების დროს (თამბაქო, ხორცი და სხვ.) „ადგილი ჰქონდა პარტგანათლების ქსელის მუშაობის ერთგვარ შესუსტებას, პარტიულ სწავლებას უპირისპირებდენ სამეურნეო კამპანიებს; ამ შეუფასებლობისა და მუშაობის შეთავსების არცოდნის წინააღმდეგ საოლქო კომიტეტმა მიიღო სათანადო ზომები“.

ბაღდათის რაიონში „15 დეკემბრიდან პირველ თებერვლამდე სრულიად არ სწარმოებდა პოლიტსკოლების მეცადინეობა. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ამ დროს რაიონში ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კამპანია, რომელმაც მთელი ყურადღება მიიპყრო, ხოლო პარტიული განათლების საქმე დავიწყებულ იქნა“.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც.

თუ ვიხელმძღვანელეთ იმ დებულებით, რომ სხვადასხვა სამეურნეო კამპანიების დროს არ შეიძლება სწარმოებდეს და არც უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა პარტგანათლების ქსელში, მაშასადამე, ეჭვსგარეშეა, მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმე განწირული იქნება, იგი აუცილებლად ჩაიშლება. მეორე მხრით,

*) დასასრული. იხ. ჟურ. „ბოლშევიკი“—№ 6.

თუ ვიფიქრეთ, რომ სამეურნეო კამპანიები ხელს უშლიან პარტგანათლების საქმეს, ამ შემთხვევაშიაც პარტიული განათლება უსათუოდ ჩაშლილი იქნება.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად შევათავსოთ მარქსისტულ-ლენინური სწავლება სამეურნეო კამპანიებთან, სოციალისტურ მშენებლობასთან და მოვნახოთ მოქნილი ფორმები პარტიული განათლების შეგუებისა წარმოების პირობებისადმი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავაჩაღოთ გადამწყვეტი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ფიქრობენ, რო პარტიული განათლება და სამეურნეო კამპანიები შეუთავსებელია.

ეს არის ანტიპარტიული შეხედულება, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან და ჩვენი პარტიის ხაზთან. ეს გარემოება აშკარად გვიმტკიცებს, რომ ბევრ მომუშავეს არ ესმის ის ძირითადი თეზისი, რომელიც მოცემულია მარქსის, ენგელსის ლენინის და სტალინის მიერ თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ. ეს თეზისი შესანიშნავად გამოხატა ამხ. სტალინმა შემდეგ სიტყვებში: „თეორია უსაგნო ხდება, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციონურ პრაქტიკას, ისე როგორც პრაქტიკა ბრმა ხდება, თუ ის თავის გზას რევოლუციონური თეორიით არ აშუქებს".

როდესაც ზოგიერთი ამხანაგები ამტკიცებენ—სამეურნეო კამპანიებმა შეგვიშალა ხელი რომ მარქსისტულ-ლენინური სწავლება კარგად დაგვეყენებიაო, საჭიროა ასეთ ამხანაგებს დავუსვათ შემდეგი კითხვა: თქვენ ამტკიცებთ, რომ პარტიულ განათლებას ხელს უშლის სამეურნეო კამპანიები, როგორ მოვიქცეთ? იქნებ გვირჩევთ მოვსპოთ ეს სამეურნეო კამპანიები (გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია, შემოდგომის კამპანია და სხვ.), რომ პარტიული განათლების საქმე უკეთ დავაყენოთ?

საქმე ის კი არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო კამპანიებს ვატარებთ,—ისინი აუცილებლად ჩატარებულ უნდა იქნენ; საქმე ის არის, რომ ამხანაგებს სრულიად მცდარი წარმოდგენა აქვთ პარტგანათლების ამოცანებზე, მათ არ ესმით ლენინის და სტალინის ძირითადი მითითებანი საპროპაგანდო მუშაობის გარდაქმნის შესახებ ახალი წესის მიხედვით.

სულ სხვა მდგომარეობა იყო მაშინ, როდესაც პროპაგანდა სწარმოებდა არალეგალურ წრეებში ცარიზმის დროს. ახლა საქმე ძირიან-ფესვიანად შეიცვალა. ლენინი სწერდა: „ძველი ტიპის პროპაგანდა მოგვითხრობს, გვაძლევს მაგალითებს, თუ რა არის კომუნიზმი. მაგრამ ეს ძველი პროპაგანდა არაფრად არ ვარგა, რადგან საჭიროა პრაქტიკულად ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა შენდებოდეს სოციალიზმი. მთელი პროპაგანდა აგებული უნდა იყოს სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე. ეს არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა. და თუ ვინმე ფიქრობს—ეს გარემოება ძველი მნიშვნელობით გაიგოს, ის ჩამორჩენილია, მას არ შეუძლია აწარმოოს საპროპაგანდო მუშაობა გლეხებისა და მუშების მასებისათვის. ჩვენი მთავარი პოლიტიკა ახლა უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა, რომ შევაგროვოთ ზედმეტი ფუთები პურისა, რომ მივიღოთ ზედმეტი ფუთები ქვანახშირისა, რომ გადავწყვიტოთ—როგორ გამოვიყენოთ ეს პური და ქვანახშირი, რომ არ იყვნენ მშიერნი, აი როგორია ჩვენი პოლიტიკა. და ამას უნდა შეეგუოს მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა.

საჭიროა იყოს რაც შეიძლება ნაკლები ფრაზები, რადგან ფრაზებით თქვენ მშრომელებს ვერ დააკმაყოფილებთ". [1])

ლენინი სრულიად სამართლიანად აცხადებს ჩამორჩენილ და უვარგის პროპაგანდისტებად იმათ, რომელთაც არ იციან მუშებისა და გლეხებისადმი მიდგომა, რომელთაც არ იციან პროპაგანდის აგება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამოცდილებაზე.

პროპაგანდა უნდა იყოს სახალხო მეურნეობისათვის. ლენინი მეორე ადგილას ამბობდა: „ჩვენ დღევანდელ მომენტში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ელექტროსადგური, ჩვენს მიერ აშენებული, ნამდვილად გადაიქცეს განათლების დასაყრდენად, რომ ის ემსახურებოდეს, ასე ვსთქვათ, მასების ელექტრონულ განათლებას". [2]

„... პარტიის მეორე პროგრამა, ელექტროფიკაციის გეგმა, ამბობს ლენინი,—უნდა იყოს ძირითადი წიგნაკი თვითეულ სკოლაში, თვითეულ წრეში. საჭიროა, რომ კითხვაზე—რა არის კომუნიზმი, უპასუხებდენ არა მარტო იმას, რაც პარტიის პროგრამაში სწერია, არამედ აგრეთვე ამბობდენ იმასაც, თუ როგორ დავაღწიოთ თავი სიბნელეს". [3])

ჩვენ ბევრი ბრწყინვალე მიღწევა გვაქვს სოციალისტური მშენებლობის სფეროში; ეს მიღწევები თვითეულ ელექტროსადგურში, თვითეულ ქარხანაში შეიძლება საუცხოვოდ იქნეს გამოყენებული პარტიის წევრებისა და კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მიზნებისათვის. მაგრამ ძალიან ხშირად საკითხი ასე როდი ისმება. ეს იმიტომ ხდება, რომ ხშირად ჩვენი ამხანაგები მოწყვეტილი არიან წარმოების პირობებს, ისინი არ იცნობენ ამ პირობებს და აბსტრაქტულად, სქოლასტიურად უდგებიან მსმენელებს. ამ უკანასკნელთ კი აბსტრაქტული ამბები არ აინტერესებს, მათ აინტერესებს პრაქტიკული საკითხების გაშუქება მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. თუ პროპაგანდისტი ამას არ აკეთებს, მსმენელი სკოლიდან გარბის. თვითეულმა პროპაგანდისტმა და თვითეულმა კულტპროპმუშაკმა უნდა შეიგნოს, რომ საჭიროა მან ისე გარდაქმნას თავისი მუშაობა, რომ თვითეული მუშა და კოლმეურნე იღებდეს ნათელ გარკვეულ პასუხს პრაქტიკულ კითხვებზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით და რომ მასების აღზრდა სწარმოებდეს სამეურნეო მშენებლობის უდიდესი გამოცდილების საფუძველზე.

იმ ამხანაგებმა, რომელნიც ფიქრობენ—სამეურნეო კამპანიები პარტგანათლებას ხელს უშლისო, უნდა გაიგონ, რომ თვით სამეურნეო კამპანიებმა უნდა შეასრულონ და კიდევაც ასრულებენ უდიდეს როლს მშრომელთა ფართო მასების სოციალისტურად აღზრდის საქმეში, სოციალიზმის პროპაგანდის საქმეში.

არა პროპაგანდა თავის თავად, არა პროპაგანდა პროპაგანდისათვის, არამედ პროპაგანდა იმისათვის, რომ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ და გავაძლიეროთ სოციალისტური მშენებლობის საქმე. „საჭიროა, ამბობდა ლენინი,—რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი სახელმძღვანელოები, ჩვენი

[1]) ლენინი—სიტყვა პოლიტგანათლების მუშაკთა თათბირზე 1920 წლის 3 ნოემბერს.
[2]) ლენინი—ტ. XVII, გვ. 429.
[3]) ლენინი—იქვე.

ბროშურები ხალხმა ნამდვილად შეითვისოს და რომ ამის შედეგი იყოს სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება". [1])

ჩვენი პარტიული განათლება, სამწუხაროდ, ხშირად არ არის დაყენებული ისე, რომ იგი ლენინის და სტალინის მითითებებს შეესაბამებოდეს. მეცადინეობა სკოლებში ხშირად უსულგულოა, მშრალი, სქემატიური, განყენებული. ხშირად ეს მეცადინეობა არასაინტერესო და მოსაწყენია სწორედ იმიტომ, რომ პროპაგანდისტმა არ იცის მუშებისა და კოლმეურნეებისადმი მიდგომა, არ იცის როგორ დააინტერესოს ისინი ზოგადი საკითხების გაშუქებით მათივე გამოცდილების საფუძველზე.

ჩვენ რადიკალურად უნდა გარდავქმნათ პარტიული განათლების საქმე, გადაჭრით მოვაბრუნოთ იგი პირით—სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისაკენ, ჩვენი სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ამოცანებისაკენ. „ხელახლა უნდა აღვზარდოთ მასები, ხოლო მათი ხელახლა აღზრდა შეუძლია მხოლოდ აგიტაციას და პროპაგანდას, უნდა დაუკავშიროთ მასები, უპირველეს ყოვლისა, საერთო სამეურნეო ცხოვრების მშენებლობას". [2])

მარქსისტულ-ლენინური სწავლების წინაშე არ სდგას და არც შეიძლება იდგეს რაღაც განყენებული, უსიცოცხლო ამოცანები. არა, მარქსისტულ-ლენინური სწავლება უნდა ეხმარებოდეს პარტიას აღზარდოს ახალი და ახალი შეგნებული და აქტიური მებრძოლნი სოციალიზმის საქმისათვის, იგი უნდა შველოდეს პარტიას, რომ მუშების, კოლმეურნეების და მშრომელი ინდივიდუალური გლეხების ახალი და ახალი მასები ჩააბას გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობაში.

პარტიული განათლება, რომელიც ამ ამოცანას არ ასრულებს, არ არის პარტიული განათლება. პარტიული განათლება, რომელიც არ შველის პარტიას სამეურნეო კამპანიების ჩატარებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, არ არის პარტიული განათლება. რომ პარტგანათლება ყველგან ამ ამოცანებს შეესაბამებოდეს, მაშინ მისი მნიშვნელობა ძალიან ჩქარა გასაგები გახდებოდა იმ ზოგიერთი ამხანაგებისთვისაც, რომელნიც მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეს სათანადოდ ვერ აფასებენ და პრაქტიკულად ხელს არ უწყობენ მუშაობის გარდაქმნას პარტიული განათლების ხაზით. მეორე მხრით, მაშინ ძალიან ჩქარა მოეღებოდა ბოლო იმ შემცდარ შეხედულებას—თითქოს სამეურნეო კამპანიები პარტგანათლების საქმეს ხელს უშლიან.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ ერთი ფაქტი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს მარქსისტულ-ლენინური სწავლება სოციალისტური მშენებლობის საქმეს. ტრამვაელთა პოლიტსკოლის მსმენელი ამხ. ლომიძე ამბობს შემდეგს: „დავრწმუნდი, რომ პოლიტსწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკური მომზადება მეხმარება ყოველდღიურ მუშაობაში. კარგად არ[illegible] კოდი, რაც მიწევდა კაუსიროვნება. როცა პოლიტსკოლაში დავ[illegible]

[1]) ლენინი—ტ. XXVII, გვ. 52.

[2]) ლენინი. სოც. რევოლუცია და განათლების ამოცანები, გვ. 45.

შავეთ ამხ. სტალინის 6 მითითება ჩემთვის საკითხი ნათელი გახდა. მხოლოდ ამის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩვენს ცხზში გაუპიროვნების ბევრი ფაქტი იყო".

მაშასადამე, კარგად დაყენებულმა პოლიტსკოლამ ასწავლა ამხ. ლომიძეს— რა არის გაუპიროვნება და გახადა იგი შეგნებულ მებრძოლად მის წინააღმდეგ. ასეთი შემთხვევა მრავალია. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა განუზომელი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კარგად დაყენებულ მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

რა შეიძლება იყოს პარტიული განათლების კარგად დაყენების ზუსტი მაჩვენებელი?

ასეთი მაჩვენებელი შეიძლება იყოს არა იმდენად სტატისტიკური ცნობები პარტგანათლების ქსელში კომუნისტების ჩაბმის გადიდების შესახებ, რამდენადაც მისი შინაარსი, რაც შეუძლებელია არ გამოიხატოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებაში, ამ გეგმების გადაჭარბებით განხორციელებაში, კარგ საწარმოო მაჩვენებლებში. „პოლიტიკური განათლების შედეგი შეიძლება გაიზომოს მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით" [1]) ამბობდა ლენინი. მარქსისტულ-ლენინური განათლება შეიძლება კარგად დაყენებულ იქნეს მხოლოდ იქ, სადაც სკოლები და წრეები აქტიურად ხელს უწყობენ იმას, რომ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაებნენ ახალი და ახალი შეგნებული მებრძოლნი, სადაც ეს სკოლები და წრეები ემსახურებიან სოციალიზმისათვის, გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის პრაქტიკულ ამოცანებს. ხოლო იქ, სადაც სოციალისტური მშენებლობის გეგმები სისტემატიურად არ სრულდება, პარტიული განათლება ცუდათ არის დაყენებული, ის თავის დანიშნულებას საკმარისად ვერ ასრულებს.

7. დახმარება პროპაგანდისტებს

პროპაგანდისტების თეორიული დონის ამაღლებისა და მათი მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის სათანადო დახმარების გაწევას, მათთან მუშაობას.

ამ ხაზით დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდათ და აქვთ დაკისრებული კულტპროპგანყოფილებების ხელმძღვანელებს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. საკმარისად არ არის პროპაგანდისტების სკოლებსა და წრეებზე მიმაგრება. საჭიროა მათთან სისტემატიური მუშაობა, საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა სწავლების უკეთ ორგანიზაციისა და თავისი თეორიული დონის ამაღლების საქმეში. ამ წელს ჩვენ მოვახერხეთ გაგვეგზავნა ადგილებზე დიდი რაოდენობის მეთოდ-დამუშავებანი (25 სხვადასხვა სახელწოდების მეთოდ დამუშავება დაწყებითი და საკანდიდატო სკოლებისათვის, 5 სახელწოდების მეთოდ-დამუშავება სხვადასხვა თემაზე), გაზმა-კრებულები, ლიტერატურის სიები და სხვ.. 32 რაიონში ჩატარებული აკეთ 58 მეთოდ-კოხფერენცია, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს და მრავალი მონაწილე მიიზიდეს (5.394); აქედან 15 მეთოდ-კონფე-

[1]) ლენინი—სოციალისტური რევოლუცია და განათლების ამოცანები, გვ. 64.

რენცია ჩატარებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანდისტების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მეთოდ-კონფერენციები საქართველოს რაიონებში

რაიონების რაოდენობა	მეთოდ კონფერენციების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მეთოდ კონფერენციები რომლებიც ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპის წარმომადგენელის მონაწილეობით
32	58	5394	15

ჩვენ გავგზავნეთ აგრეთვე ადგილებზე აუარებელი პარტიული და მასიური ლიტერატურა.

არასოდეს ჩვენს ქსელს იმდენი ლიტერატურა არ მიუღია, რამდენიც წელს (თითქმის 700.000 წიგნი სხვადასხვა სახელწოდებისა). მოეწყო პარტკაბინეტები 20 რაიონში, მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილია პროპსემინარები და სხვ. მუშა-პროპაგანდისტების მომზადების მიზნით ტფილისში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში მოწყობილია სპეციალური კურსები. საშტატო პროპაგანდისტების მოსამზადებლად მოეწყო პროპაგანდისტთა სპეციალური განყოფილებები სურამის და ბორჯომის პარტაქტივის კურსებზე. 175 კაცის რაოდენობით და 10 რაიონში კურსები 400 კაცის რაოდენობით.

თუ გვინდა, რომ სწავლების თვისება მომავალ წელს უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროპაგანდისტების, განსაკუთრებით მუშა-პროპაგანდისტების მომზადებას და გადამზადებას. მუშა-პროპაგანდისტები ყველაზე მეტად ამართლებენ ჩვენს იმედებს. მათ იციან წარმოების პირობები და შეუძლიათ აწარმოონ მეცადინეობა მუშებისათვის გასაგებ ენაზე. საჭიროა აგრეთვე მეთოდიური ხელმძღვანელობის გაძლიერება.

8. მუშაობა პარტიულ აქტივთან

უნდა ითქვას, რომ წარსულ წელს სარაიონო პარტაქტივთან თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. წარსულ წელს რაიონებში მოეწყო მთელი რიგი სემინარები. მაგრამ ამ სემინარებს მუშაობა არ დაუწყიათ, ისინი ქაღალდზე დარჩენ. ამ წელს ჩვენ მოვაწყეთ პარტაქტივის სემინარები 25 რაიონში და მათი მუშაობა უზრუნველვყავით კვალიფიციური ხელმძღვანელებით ცენტრიდან. ეს ამხანაგები მიდიოდენ რაიონებში და მუშაობდენ აქტივთან. ამ პრაქტიკამ დიდი შედეგი გამოიღო, მან თავისი თავი გაამართლა. სემინარების გარდა, მოეწყო მთელი რიგი ლექციები ზოგიერთ სარაიონო აქტივისათვის. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. კ. მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად სათანადო მუშაობის ჩატარება. ეს წლისთავი ჩვენ კარგად ჩავა-

ტარეთ. თითქმის ყველა რაიონი თავის დროზე უზრუნველვყავით სათანადო ლიტერატურით, მეთოდ-დამუშავებით, ლიტერატურის სიით, მომხსენებლებით, პროპაგანდისტებით და სხვ.

პარტაქტივთან მუშაობის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვყავს პოლიტიკურად ჩამორჩენილი რაიონები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ისეთ საოლქო და სარაიონო ცენტრებს, როგორიც არის ქუთაისი, ბათომი, სოხუმი და სხვ., რომელნიც პოლიტიკური მხრით შედარებით მაღალ დონეზე დგანან. მაგრამ საკმარის ყურადღებას არ ვაქცევდით ისეთ რაიონებს, რომელნიც, თუმცა ტფილისიდან დაშორებული არ არიან, მაგრამ ძალიან ჩამორჩებიან; ასეთია, მაგალითად, ყარაია, საგარეჯო, კასპი, მცხეთა და სხვ.. ეს რაიონები პროპაგანდისტებს და სამეცნიერო კვალიფიციურ მუშაკებს ცენტრიდან თითქმის თვალით არ უნახავთ. საჭიროა, რომ უახლოეს დროში ეს რაიონებიც უზრუნველვყოთ სათანადო ხელმძღვანელობით ცენტრიდან.

9. მარქსისტულ-ლენინური სწავლების მემარჯვენე ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ

შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მემარჯვენე-ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ზოგიერთი ამხანაგების მხრივ. რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში უეჭველად ერთგვარი გარდატეხა გვაქვს; არის რაიონები, სადაც რაიკომის ბიუროზე მრავალჯერ ყოფილა დასმული საკითხი მარქსისტულ-ლენინური აღზრდის შესახებ. არიან რაიკომების ისეთი მდივნები, რომელნიც თითონ უწევდენ ხელმძღვანელობას სკოლებსა და წრეებს და ამ მხრივ სხვებს კარგ მაგალითს აძლევდენ. მაგრამ, მეორე მხრით, არის ისეთი რაიონებიც, სადაც ადგილი აქვს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის აშკარა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ შეუფასებლობის ფაქტებს.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ტფილისშიაც კი მთელ რიგ პარტიულ უჯრედებში პარტიულ სწავლებას სათანადოდ ვერ აფასებენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გასულ წელს ტფილისის ორგანიზაციამ გვიჩვენა ნამდვილი ნიმუშები პარტიული განათლების მემარჯვენე-ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სამტრედიაში ერთი კოლექტივის ბიუროს მდივანმა ამხ. პაპავამ შემდეგი პასუხიმისცა სპეციალურად გაგზავნილ ბრიგადას, რომელსაც პარტიული განათლების ქსელის მუშაობა უნდა გამოეკვლია: „ამისათვის მე არ მცალია, ბრიგადა მოვიდა და გეგმებს ვადგენ“.

თელავის რაიონში კურდღელაურის და ვარდისუბნის უჯრედების მდივნები ერთხელაც არ დასწრებიან პოლიტსკოლების მეცადინეობას. როდესაც პროპაგანდისტებმა მიმართეს დახმარებისათვის და უთხრეს—თუ თქვენ თითონ არ ესწრებით სკოლას, დახმარება მაინც გაგვიწიეთ, რომ სხვა ამხანაგები მაინც ესწრებოდენო, მათ ამაზე უპასუხეს—„რა ვქნათ თუ არ ესწრებიანო“.

იმავე თელავის რაიონში აღმასკომთან არსებული უჯრედის სკოლაში დასწრება ცუდი იყო; როცა პროპაგანდისტ მატარაძემ უჯრედის მდივანს დახმარება სთხოვა, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „რა ვქნა, თითონ განყოფილებების გამგეებიც არ ესწრებიან“.

ამბროლაურის რაიონში ჭრებალოს და ხონჭირის უჯრედების მდივნებმა ჩაშალეს პოლიტსკოლების მეცადინეობა; ისინი აცხადებდნენ—„რა დროს მეცადინეობაა, როცა მთელი რიგი კამპანიები ჩასატარებელიაო“. რაიკომმა თავის დროზე მიიღო ზომები პარტსწავლების ასეთი შეუფასებლობის წინააღმდეგ.

ოზურგეთის რაიონში ლიხაურის უჯრედის მდივანს ამხ. ჭანიშვილს სრულიად არაფერი გაუკეთებია პარტსწავლების ორგანიზაციისათვის; ის ამბობდა: „რა საჭიროა სკოლების გამოშვება, ისინი ისედაც გამოშვებულიაო“. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ რაიკომი სათანადო ზომებს იღებდა.

შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პარტგანათლების საქმის მემარჯვენე-ოპორტუნისტულ შეუფასებლობას სხვა რაიონებშიაც. მაგრამ ზემოხსენებული ფაქტებიც გვიჩვენებენ იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები ყველგან ბოლშევიკურად ვერ ეკიდებიან მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ყველგან არ არის განხორციელებული. ზოგიერთი რაიკომებიც კი სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ პარტიულ განათლებას, არ სვამდენ ამ საკითხს ბიუროებზე განსახილველად, არ ამოწმებდენ სწავლების მიმდინარეობას და პასუხს არ სთხოვდენ იმ პირებს, რომელნიც პარტიული განათლების საქმისადმი მემარჯვენე-ოპორტუნისტულ შეუფასებლობას იჩენდენ. მაგრამ იქ, სადაც ამ წელს რაიკომები პარტიულ განათლებას სათანადო ყურადღებას აქცევდენ, აუცილებლად სერიოზული გარდატეხა გვაქვს, რაც უზრუნველჰყოფს ამ მნიშვნელოვანი პარტიული მუშაობის შემდგომ გაშლას.

10. თვითმდინარება პარტიული განათლების მტერია.

ორიოდე სიტყვა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში არსებულ თვითმდინარებაზე. მთელ რიგ რაიონებში პარტიული განათლების საქმე მოკლებულია სათანადო კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას. არის მთელი რიგი საწარმოები, სოფლები და რაიონებიც კი, სადაც პოლიტსკოლები და წრეები სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებული; მათ ხელმძღვანელობას არავინ უწევს. პროპაგანდისტი გამოყოფილია წლის დასაწყისში, მაგრამ მის მუშაობას კონტროლს არ უწევენ, არავინ ეკითხება—როგორ მიმდინარეობს სწავლება სკოლაში. ზოგჯერ არც კი იციან – სად რა სკოლა არსებობსდა არსებობს იგი საერთოდ თუ არა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდე ფაქტს.

ოზურგეთის რაიონის მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში პარტიული განათლება საერთოდ ადგილი ჰქონდა [illegible]; პარტიულ განათლებას უყურებდენ როგორც სასეზონო, მეორე ხარისხოვან საქმეს; ამის შედეგად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სკოლების და წრეების სათანადოდ და თავის დროზე დაკომპლექტებას.

თელავში აღმასკომთან მოეწყო პოლიტსკოლა, რომლის მსმენელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, პარტიის წესდებასა და პროგრამაზე. ხელმძღვანელობის ასეთი უქონლობით და თვითმდინარებით უნდა აიხსნას ის, რომ აღნიშნულ რაიონში სწავლებას ჩამოშორდა თითქმის 270 კაცი. თელავის რაიკომის კულტპროპგანყოფილებას არა აქვს ცნობები—სად რომელი სკოლები გაუქმდა.

თიანეთის რაიონში აგრეთვე არ იყო სათანადო ხელმძღვანელობა პოლიტსკოლების დაკომპლექტების დროს. ამის გამო პოლიტსკოლებში მოხვდნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც ელემენტარულ ცოდნასაც კი მოკლებული იყვნენ.

ჩოხატაურის რაიონის მთელ რიგ სკოლებში არ არის დისციპლინა, დასწრება დაბალია, მეცადინეობის დღეებში ხშირად ინიშნება სხვა კრებები და თათბირები.

სტალინისის რაიონში არ ჩატარებულა პროპაგანდისტების მომზადების შესწავლა.

ტფილისის მაუდის ფაბრიკაში მსმენელები სკოლას ჩამოშორდენ, მაგრამ არავინ არ იცის არც ჩამოშორებულთა რაოდენობა და არც ჩამოშორების მიზეზი.

ბათომში იყო მთელი რიგი უჯრედები, რომელნიც პარტიული განათლების საქმეს კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევდენ, მაგრამ ისეთი უჯრედებიც იყო, რომელთაც სკოლებთან კავშირი არ ჰქონიათ; ასეთია, მაგალითად, მექანიკური სახელოსნოების და სადნობი სადგურის უჯრედები ბათომის ნავთსახდელ ქარხანასთან, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი საზოგადოებისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის უჯრედები, „კოოპკავშირის“, თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის უჯრედი და სხვ.

ჰიათურაში თითქმის არც ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი სკოლებსა და წრეებს ხელმძღვანელობას არ უწევდა.

მოყვანილი ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმე ზოგან მოკლებულია კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას, რომ ამ საქმეში ბევრ ადგილას გამეფებულია თვითმდინარება.

საჭიროა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ორგანიზაციის საქმეში თვითმდინარებას ბოლო მოეღოს. ჩვენ ნათლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვითმდინარება პარტიული განათლების მტერია. თვითეულ ოლქში, თვითეულ რაიონში, თვითეულ საწარმოში სათანადოდ უნდა მოწესრიგდეს პარტიული განათლების ქსელისათვის ყოველდღიური, კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის საქმე.

11. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა უდიდესი ამოცანაა

მშრომელთა მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში უდიდესი მიღწევები გვაქვს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ლენინის ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების საფუძველზე ამხ. სერგო ორჯონიკიძის, მიასნიკოვის, ბერიას და სხვ. უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენში მშრომელთა მასები სწავლობდენ და სწავლობენ ნამდვილ ინტერნაციონალიზმს. ეროვნულ საკითხზე ლენინსა და სტალინის მოძღვრების პრინციპების ცხოვრე-

ბაში გატარებით ჩვენ შევძელით გაგვენადგურებია ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ნაციონალისტური პარტიები (დაშნაკები, მუსავატელები, მენშევიკები და სხვ.).

გავიხსენოთ 1918—20 წლები, როცა ამიერ-კავკასიის ერებს შორის ნაციონალ-შოვინისტები აჩაღებდენ საძმათაშორისო ომს და შევადაროთ ეს ახლანდელ პერიოდს, როცა ამიერ-კავკასიის ყველა ერები შეთანხმებულად და აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ მშენებლობაში და გვიჩვენებენ გმირობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის საუკეთესო მაგალითებს. ეს შედარება აშკარად გვიჩვენებს იმ უდიდეს გარდატეხებს, რომელიც ჩვენ გვაქვს მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით არსებული მიღწევებით. ჯერ კიდევ გვმართებს დიდი მუშაობის ჩატარება მასების ინტერნაციონალური აღზრდისა და ნაციონალ-შოვინიზმთან ბრძოლის ხაზით. ჩვენი კლასობრივი მტრები გაცხოველებით მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ გააღვივონ ეროვნული ანტაგონიზმი და განსაზღვრულ შემთხვევებში ისინი კიდევაც ახერხებენ გაიყოლიონ ნაკლებად შეგნებული ელემენტები. ბრძოლა დიდმპყრობელურ შოვინიზმთან როგორც მთავარ საფრთხესთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა ნაციონალ-შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ და მშრომელთა მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელების საქმეში უდიდესი როლის შესრულება ჩვენს პირობებში შეუძლიათ პარტიულ სკოლებს. პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულია ათეული ათასი პარტიული და უპარტიო აქტივი. მაგრამ ყველაფერი იმისათვის კეთდება თუ არა, რომ ეს მასები შეიარაღდენ ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინური თეორიით? ყველაფერი იმისათვის კეთდება თუ არა, რომ სკოლების მსმენელები გახდენ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის აქტიურ პროპაგანდისტებად? ამ კითხვაზე ჩვენ უარყოფითად უნდა ვუპასუხოდ. ეროვნულ საკითხზე ლენინისა და სტალინის მოძღვრების პროპაგანდა პარტგანათლების ქსელში ვერაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ხშირად მას არ აქცევენ იმ ყურადღებას, რომელსაც ის საჭიროებს განსაკუთრებით საქართველოში.

საჭიროა გავამახვილოდ ყურადღება და მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას ეროვნულ საკითხზე ლენინისა და სტალინის მოძღვრების პროპაგანდის დაყენების დარგში. მთელი ეს პროპაგანდა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკას, იმ უდიდეს გამოცდილებას, რომელიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს.

12. მუშაობა ნაცუმცირესობათა რაიონებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და ტრანსპორტზე

მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხაზით ჩვენ გვაქვს მუშაობის ჩამორჩენილი უბნები. პირველყოვლისა ასეთ უბნებს ეროვნულ უმცირესობათა რაიონები ეკუთვნიან.

ზევით მე აღვნიშნე ჩვენი ზოგიერთი მიღწევა პარტ განათლების ხაზით ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენ სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებს. დამახასიათებელია, რომ პარტ-სწავლების ხაზით ყველაზე მეტი გარღვევები ჩვენ გვჭონდა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. ეს ლაპარაკობს იმ უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ენიჭება ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვერ შევძელით მთლიანი განზოგადოება ჩვენი გამოცდილებისა მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. ამ საკითხს ჯერ ჩვენ არ შევდგომივართ ისე, როგორც ეს საჭიროა. ჩვენ ჯერ კიდევ დაწვრილებით არ შეგვისწავლია ყველა ის სპეციფიური პირობა, რომელშიაც უხდება ლექტორს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის წარმოება ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და არ დაგვისახავს შესაფერი ღონისძიებები.

უახლოეს დროში ჩვენ უნდა შევაჯამოთ ჩვენი მუშაობა ამ ხაზით, დაწვრილებით შევისწავლოთ პარტგანათლების დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ზაფხულის დამლევს მოვიწვიოთ სპეციალური რესპუბლიკანური თათბირი, რომელზედაც დავსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს მარქსისტულ-ლენინური სწავლების უმაღლეს საფეხურზე ასაყვანად. ძირითად საკითხს აქ, რა თქმა უნდა, წარმოადგენს საკითხი პროპაგანდისტთა კადრების შესახებ. ჩვენ განვიცდით პროპაგანდისტთა კადრების დიდ ნაკლებობას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. საჭიროა პირველყოვლისა ამას მივაქციოთ ყურადღება. შემდეგ, საკითხი ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურით მომარაგების შესახებ. მიმდინარე წელში ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში ჩვენ გავგზავნეთ მეტი პარტმასიური ლიტერატურა, ვიდრე ოდესმე. ამ რაიონებში ჩვენ გადავისროლეთ ათი ათასობით წიგნები თურქულ, სომხურ, გერმანულ და ბერძნულ ენებზე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულებით არაა საკმარისი. საჭიროა მოვაწესრიგოთ პარტიული ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საქართველოში და კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშირდეთ სათანადო პარტგამომცემლობას.

მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხაზით მუშაობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩვენთვის ჯერ კიდევ ახალ საქმეს წარმოადგენს. აქაც არაა განზოგადოებული ჩვენი გამოცდილება, არაა შეჯამებული ჩვენი მუშაობა. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ იმ როლს, რომლის შესასრულებლადაც ისინი მოწოდებული არიან. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სოფლის მეურნეობის რაიონებში პირველ-ყოვლისა სწორედ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში სანიმუშოდ უნდა იყოს დაყენებული პარტგანათლება? ამაში, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ დაეჭვდება, მაგრამ ამ მხრივ ყველგან როდი კეთდება ყველაფერი ის, რაც საჭიროა.

ჩვენ განზრახული გვაქვს უახლოეს დროში ამ საკითხზე მოვიწვიოთ სპეციალური რესპუბლიკანური თათბირი, სადაც დაისახება ყველა საჭირო ღონისძიება. პარტგანათლება სანიმუშოდ უნდა დავაყენოთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ მხრივ მათ სხვებს უნდა უჩვენონ მაგალითი. სამანქანო სატრაქტორო სადგურებში პარტგანათლების უკეთ მოსაწყობად ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს თავიანთ განკარგულებაში გადავცეთ თითო პროპაგანდისტი რაიონის შტატიანი პროპაგანდისტების რიცხვიდან.

ჩვენი მუშაობის ჩამორჩენილ უბანს აგრეთვე ტრანსპორტი წარმოადგენს, მართალია, ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად ვსწავლობდით, მაგრამ არა საკმაოდ. ტრანსპორტზე პარტგანათლების უკეთ ორგანიზაციისათვის იქმნება ცეკას სპეციალური სატრანსპორტო პროპაგანდის ჯგუფი, ეწყობა ვაგონ-პარტკაბინეტი და სხვ.

13. საზაფხულო პარტსწავლება

ამჟამად ჩვენ მიერ უკვე გაშლილია პარტსწავლების ქსელი საქართველოში. მაგრამ ყველა რაიონში არ შედგომიან, როგორც საჭიროა, ამ საქმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. აქა-იქ ადგილი აქვს მავნებლურ მიზანდასახულობას, რომელიც გვაუწყებს, რომ შეუძლებელია ზაფხულობით პარტსწავლების მოწყობა, რომ უკეთესია ზაფხულობით დასვენება და ზამთრობით მეცადინობა. საჭიროა ამ მავნებლური მიზანდასახულობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტსწავლება არაა სასეზონო საქმე.

საზაფხულო პარტსწავლებაზე ლაპარაკის დროს შეუძლებელია არ შევჩერდეთ ორ მომენტზე, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს მას. პირველი, აგვისტოში ჩვენ ვატარებთ ჩვენი პარტიის II ყრილობის 30 წლისთავს. ეს გვავალებს ჩვენ გავაძლიეროთ ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების პროპაგანდა და გაღრმავებული შესწავლა მენშევიკებთან უთანხმოების, დაწყებული პარტიის მე-II ყრილობიდან. ეს მეტადრე საჭიროა ჩვენში, საქართველოში, სადაც ძლიერი იყო მენშევიზმი.

მეორე, ახლოვდება პარტიის წმენდა. პარტიის წმენდასთან დაკავშირებით საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლის ორგანიზაციისათვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ პარტიის ყოველ წევრსა და კანდიდატს კარგად ჰქონდეს შეთვისებული პროგრამა და წესდება. ზაფხულობით მთელი სწავლება. ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხების შესწავლას. მაგრამ ეს ცოტაა. უნდა გავშალოთ სპეციალური წრეების ქსელი პარტიის პროგრამისა და წესდების შესასწავლად.

14. ვემზადოთ საშემოდგომო-საზამთრო პარტსწავლებისათვის

ჩვენ უნდა გავშალოთ დიდი მოსამზადებელი მუშაობა საშემოდგომო-საზამთრო პარტსწავლებისათვის. ამ მოსამზადებელმა მუშაობამ არ უნდა დააბრკო-

ლოს საზაფხულო პარტსწავლება; მაგრამ საშემოდგომო მზადებას ახლავე უნდა შევუდგეთ.

გასულ წელს საშემოდგომო-საზამთრო პარტსწავლების პერიოდში ჩვენ შევედით მ ო უ მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი. გავუშვით სათანადო ვადები. საკმაოა აღინიშნოს, რომ პარტსახელმძღვანელოები ასაწყობად გადავეცით მხოლოდ შემოდგომაზე. აგრეთვე არ გვქონდა ძირითადი სახელმძღვანელო—სტალინის „ლენინიზმის საკითხები". „ლენინიზმის საკითხების" არსებულ ქართულ თარგმანთან გაცნობის შემდეგ ჩვენ საჭიროდ ვცანით აგვეკრძალა მისი ხელახალი გამოცემა ამ სახით. რადგან თარგმანში მოიპოვებოდა სტალინის ტექსტის უხეში დამახინჯებანი, ცეკას სპეციალური დადგენილებით აიკრძალა ძველი თარგმანის ხელახალი გამოცემა. სტალინის ნაწერების თარგმნა ჩვენ ახლად მოვაწყვეთ და საამისოდ საუკეთესო ძალების მობილიზაცია მოვახდინეთ. ამჟამად სტალინის „ლენინიზმის საკითხები" უკვე სრულიად დაბეჭდილია და მალე გამოვა გასაყიდად. ჩვენი პარტგანათლების ქსელი უახლოეს დროში მიიღებს ამ ძირითადი სახელმძღვანელოს ახალ თარგმანს.

სტალინის „ლენინიზმის საკითხების" გარდა ჩვენ უკვე ასაწყობად გადავეცით სხვა პარტსახელმძღვანელოები. შემოდგომისთვის ჩვენ გვექნება მთელი საჭირო ლიტერატურა პარტგანათლების ქსელისათვის.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ჩავატაროთ მთელი რიგი სხვა მოსამზადებელი ღონისძიებანი საშემოდგომო-საზამთრო პარტსწავლებისათვის. რესპუბლიკანური კულტპროპთათბირის ივნისში მოწვევა და ჩატარება, აგვისტოს ნაცვლად, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, უკვე ლაპარაკობს იმის შესახებ, რა უდიდეს ყურადღებას აქცევს ცეკა სათანადო მომზადებას საშემოდგომო-საზამთრო პარტსწავლებისათვის.

საჭიროა პარტიული განათლების ხაზით ახლავე დავსახოთ საკონტროლო ციფრები და დროულად დავიყვანოთ ისინი ადგილებზე. აუცილებელია აგრეთვე თავის დროზე უზრუნველვყოთ ქსელი პროგრამებით სხვადასხვა ენაზე და მეთოდდამუშავებით. პროპაგანდისტების შემადგენლობის გადათვალიერებას ამ თავითვე უნდა შევუდგეთ. შეუძლებელია ყველას მიანდო პარტიული აღზრდის საპასუხისმგებლო საქმე. ამ მიზნისათვის უნდა მოვახდინოთ საუკეთესო, შემოწმებული, მომზადებული, იდეოლოგიურად გამობრძმედილი ამხანაგების მობილიზაცია.

* * *

ზემოთქმულიდან აშკარაა, რა უდიდესი ამოცანები სდგას საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს დიდი მიღწევები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების განხორციელების საქმეში, ჩვენ მაინც გვმართებს კიდევ ბევრი რამ ვაკეთოთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის წევრები და კანდიდატები მთელი ასი პროცენტით მოვიცვათ პარტგანათლების ქსელით და უზრუნველვყოთ იგი საუკეთესო პროპაგანდისტებით. ყურადღების ცენტრში ჩვენ უნდა მოვაქციოთ მარქსისტულ-ლენი-

ნური სწავლების ხარისხი. ყოველ პარტიულ სკოლიდან უნდა განვდევნოთ სქოლასტიკა და მთელი პარტგანათლება მტკიცედ მოვაბრუნოთ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებისაკენ. შეუძლებელია კარგი ბოლშევიკების აღზრდა, თუ თეორიული სწავლება უშუალოდ არ უკავშირდება ბრძოლას სოციალიზმის შენებისათვის.

„ნამდვილი ბოლშევიკი იწვის სამუშაოზე, არ ზოგავს საკუთარ ძალას, გადასცემს სხვებს თავის ენტუზიაზმსა და თავდადებულ მუშაობას კომუნიზმის სასარგებლოდ, გვიჩვენებს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მაგალითს. რევოლუციონური თეორიის საფუძვლისა და ჩვენი ბრძოლის პერსპექტივების ცოდნა მატებს თავდადებულ პარტიულ მუშაკს კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს, სიბრძმედეს და იდეურად აიარაღებს მას მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად, ორჰოფუბზე ზემოქმედებისათვის“ („პრავდა“).

პარტიული სწავლება აიარაღებს პარტიის წევრებს და კანდიდატებს ბრძოლისათვის მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ თანამედროვე ეტაპზე, მემარცხენე გადახვევების წინააღმდეგ, ნაციონალ-შოვინიზმის და სხვა ყოველგვარი ანტილენინური მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

პარტიული სწავლება უდიდეს როლს ასრულებს ნამდვილი ბოლშევიკების აღზრდის საქმეში; ის ამდიდრებს მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, რომელიც იძლევა „ორიენტაციის ძალას, პერსპექტივების სიცხადეს, რწმენას მუშაობასა და ჩვენი საქმის გამარჯვებაში“ (სტალინი).

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ ჩვენი ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური განათლების უკეთ დაყენებისათვის, ავამაღლოთ პარტიული სწავლების ხარისხი, შევიტანოთ შიგ მეტი იდეურობა და პოლიტიკური სიმახვილე.

ამით ვამთავრებ ჩემ მოხსენებას და გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის შედეგად, ყველა პარტიული ორგანიზაციის მხრივ პარტიული სწავლების საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერებით ჩვენ შევძლებთ მომავალ წელში ავამაღლოთ იგი აქამდე არ არსებულ სიმაღლემდე (მქუხარე ტაში).

ლ. მადიარი

ახალი მოვლენები მსოფლიო ეკონომიური კრიზისის განვითარებაში

დაახლოებით ერთი წლის წინად მსოფლიო ბირჟებში დაიწყო ციებცხელება. აქციებისა და ობლიგაციების ფასი გაიზარდა. მოემატა ფასი აგრეთვე ხორბალს, ბამბას, კაუჩუკს, ფერად ლითონს და სხვა. უმნიშვნელოვანეს იმპერიალისტურ ქვეყნებში დაიწყო სამრეწველო წარმოების ცნობილი აღმასვლა. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 15 პროცენტით. იაპონიაში ეს მოვლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთში და გერმანიაშიაც დაიწყო სამრეწველო წარმოების ნაწილობრივი აღმასვლა. ბურჟუაზიული ეკონომისტები ალაპარაკდენ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დამთავრებაზე, კრიზისის დეპრესიაში გადასვლაზე, ახალი აღორძინების მომავალ დასაწყისზე.

ეს იყო ამერიკაში ჰუვერის ბუმის პერიოდში; ეს იყო გერმანიაში პაპენის ბუმის პერიოდში. ინგლისში იმედოვნებდენ, რომ ვაჭრობის თავისუფლების უარყოფა, საბაჟო პროტექციონიზმის შემოღება, გირვანქა სტერლინგის გაიაფება, ოტავის შეთანხმების საფუძველზე იმპერიულ უპირატესობის გაძლიერება—გამოიყვანდა ქვეყანას კრიზისიდან.

ჰუვერის ბუმი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მან ჰპოვა თავისი დასასრული ამერიკის შეერთებულ შტატების საბანკო კრიზისში, დოლარის ოქროს სტანდარტის გაუქმებაში, სამრეწველო წარმოების მწვავე შემცირებაში, აქციების კურსისა და ფასების დაცემაში—ერთი სიტყვით კრიზისის ახალ გამწვავებაში.

ძნელი არ იყო იმის წინასწარ დანახვა, რომ ჰუვერის ბუმის ციებცხელებას, მიუხედავად აღდგენითი საფინანსო კორპორაციის მიერ ამერიკის მეურნეობაში სამი მილიარდი დოლარის შეშხაპუნებისა, არ შეეძლო არ გამოეწვია კრიზისის ახალი გაძლიერება.

ჰუვერის ბუმი კრახით დამთავრდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1932 წელს სამრეწველო მოღვაწეობის ინდექსი ბუმის მეოხებით გაიზარდა 55-დან 62 ნიშნამდე, ხოლო 1933 წლის მარტში იგი დაეცა 52-მდე. გერმანიაში ნაწილობრივი გამოცოცხლების შემდეგ მდგომარეობა ზამთრის თვეებში კვლავ გაუარესდა. ინგლისმა შეინარჩუნა წინანდელი დონე. საფრანგეთში გრძელდებოდა ნელი აღმასვლა. იაპონიაში სამრეწველო წარმოება სწრაფად იზრდება.

ამრიგად კაპიტალისტურ მსოფლიოში ჩვენ ვხედავთ აღმასვლის შეუწყვეტელ და გაფაციცებულ ცდებს, კრიზისის ახალ გამწვავებასა და გაღრმავებას,

სწრაფ აღმასვლასა და დაცემას ცალკე ქვეყნებში, ამასთანავე რამდენადაც მნიშვნელოვანია აღმასვლა, მით უფრო საგრძნობია დაცემა. მხოლოდ იაპონია და საფრანგეთი წარმოადგენენ გამონაკლისს იმ მიზეზების მეოხებით, რაზედაც ჩვენ ქვემოდ ვილაპარაკებთ. საერთოდ კი მსოფლიო კაპიტალისტურმა მეურნეობამ განიცადა საკრედიტო კრიზისის ახალი ტალღა. მთელი რიგი ვალიუტების გაიაფება და მსოფლიო ვაჭრობის შემდგომი (1929 წელთან შედარებით (შემცირება) 35 პროცენტამდე). 1933 წლის გაზაფხულს არ მოუტანია რაიმე სერიოზული გაუმჯობესება. წარმოების საშუალებათა წარმოება და მანქანათმშენებლობა მუშაობდა ყველა უმთავრეს სახელმწიფოებში გაცილებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე გასულ წელს, კაპიტალის ახალი ემისიებიც შემცირდა გასული წლის უდიდეს დაცემასთან შედარებითაც კი. ვალების, მათ რიცხვში, სამხედრო ვალების პრობლემა გადაწყვეტილი არაა. უმნიშვნელოვანეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ბიუჯეტი იმყოფება სავალალო მდგომარეობაში. მარაგი, შაქრისა და ჯალის გამოკლებით, არ შემცირებულა.

* * *

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ა ხ ა ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ეკონომიური კრიზისის განვითარებაში. რაში მდგომარეობს ეს ახალი მოვლენები?

ყველა უმთავრეს იმპერიალისტურ ქვეყნებში სამრეწველო წარმოება ამ ჟამად იმყოფება უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე გასულ წელს. იაპონიამ მსუბუქი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში მიაღწია 1929 წლის დონეს. საფრანგეთში მეტალურგია, საავტომობილო მრეწველობა, ქვანახშირის ამოღება და საფეიქრო წარმოება გვიჩვენებს ნაწილობრივ ზრდას. გერმანიაში შავი მეტალურგია ამზადებს 25—30%-ით მეტს, ვიდრე გასულ წელს: საფეიქრო წარმოება, საავტომობილო მრეწველობა, ბეტონისა და ცემენტის დამზადება გვიჩვენებს აგრეთვე ნაწილობრივ გაუმჯობესებას. ინგლისშიაც შავმა მეტალურგიამ გადააჭარბა გასული წლის დონეს. შეერთებულ შტატებში ღრმა დაცემის შემდეგ დაიწყო ზოგიერთ დარგებში „სენსაციური“ აღმასვლა. მეტალურგიამ, საავტომობილო მრეწველობამ, საფეიქრო და მატყლის მრეწველობამ, ელექტროენერგიის მოხმარებამ, რკინის გზების ტვირთბრუნვამ გადააჭარბა გასული წლის დონეს. შავი მეტალურგიის დატვირთვა გაიზარდა 14 პროცენტიდან 48 პროცენტამდე. საფეიქრო წარმოება 50 პროცენტით აღემატება გასული წლისას.

ფასდადების დარგში ამერიკის შეერთებულ შტატებში უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ ღ ე მ დ ე ვამჩნევთ ფასების ზრდას ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე და ნედლეულზე. ხორბლეულის, ბამბის, კაუჩუკის, ფერადი ლითონების ფასი გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე დოლარი იაფდებოდა, მაგრამ ფასების საერთო ინდექსი ოქროთი გამოანგარიშებაზე გადაყვანით შემცირდა. ეს მოასწავებს იმას, რომ ფასი სამრეწველო ნაწარმოებებზე არ გადიდებულა დოლარის გაიაფებასთან შესატყვისად.

უკანასკნელ თვეებში ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში თავი იჩინა აგრეთვე საწარმოების მომგებიანობის ნაწილობრივმა ზრდამ. სამუშაო ხელფასის შემცირებისა და ნედლეულის უსაზომოდ გაიაფების მეოხებით ნაწარმის თვით-

ღირებულება შემცირდა. წარმოების მთელრიგ დარგებში, როგორც სჩანს, ტარდება საკრიზისო რაციონალიზაცია. მეტალურგიის ხელმძღვანელები ამერიკის შეერთებულ შტატებში აცხადებენ, რომ მათი საწარმოები 35%-ით დატვირთვის დროს უკვე იძლევიან მოგებას, ხოლო 25%-ით დატვირთვისას საზარალო არაა. იაპონიაში საკარტელო შეთანხმების წესით ჩერდება ძველი საწარმოო აპარატის ნაწილების მუშაობა და ამავე დროს მოქმედებაში შეყავთ ახალი ჩერიები, საფეიქრო დაზგები და მანქანები. საფრანგეთში გრძელდება ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაცია და მაღაროელთა შრომის ნაყოფიერება იზრდება. ინგლისში ტარდება ნაწილობრივი რაციონალიზაცია მეტალურგიასა და საფეიქრო მრეწველობაში.

საკრიზისო რაციონალიზაცია გამოიხატება, სხვათა შორის, იმაშიაც, რომ ცუდად მომუშავე საწარმოებს სრულებით აჩერებენ და წარმოება გადააქვთ მონოპოლურად გაერთიანებულ უკეთეს საწარმოებში.

საკრიზისო რაციონალიზაცია გამოიხატება იმაშიაც—როგორც ეს აღნიშნულია გერმანიის საკონიუნქტურო ინსტიტუტის ანგარიშში,—რომ მუშებიდან არჩევენ ყველაზე უფრო გამძლეს, რომელსაც შეუძლია შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გაზრდა. იაპონიაში მოახერხეს შეემცირებიათ ხარჯები მუშა-ხელზე საქსოვ წარმოებაში 1923 წლიდან 1932 წლამდე 62 პროცენტით. სადაც წინად 10.000 ჩერიას ემსახურებოდა 62 მამაკაცი და 219 ქალი, ახლა მუშაობს 32 მამაკაცი და 164 ქალი. საკრიზისო რაციონალიზაციის საფუძველზე უდიდესად გაიზარდა მუშათა კლასის ექსპლოატაცია, და ეს არა მარტო იაპონიაში. საკრიზისო რაციონალიზაცია ტარდება განსაკუთრებით ძლიერ ნავთის მრეწველობაში, რომ არაფერი ვთქვათ სამხედრო წარმოებაზე.

თუ ავიღებთ გადამწყვეტ იმპერიალისტურ ქვეყნებს, დავინახავთ სამრეწველო წარმოების ნაწილობრივ ზრდას, თუმცა ეს ზრდა მეტის-მეტად არანორმალურია. წინ მიდის იაპონია, მას მიჰყვებიან ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი.

რაში მდგომარეობს ამ ზრდის მიზეზები?

იაპონია ადიდებს გაჟღენტის საშუალებათა წარმოებას და არა წარმოების საშუალებათა წარმოებას. იაპონია ამზადებს მეტ თუჯს, ფოლადს, ვინაიდან იგი აწარმოებს თავისი არმიის ახლად შეიარაღებას, ამზადებს ტანკებს, სამხედრო თვითმფრინავებს და ავტომობილებს, მძიმე არტილერიას, ყუმბარებს, აშენებს სტრატეგიულ რკინის გზებს მანჯურიაში, სამხედრო ნავთსადგურს კორეაში, სამხედრო ქარხნებს მანჯურიაში, კორეაში და იაპონიაში.

თუჯის გადადნობა იაპონიაში 1932 წლის განმავლობაში 508.000 ტონათი აღემატება 1931 წლის დონეს. გაიზარდა ფოლადის დამზადება. წარმოების საშუალებათა წარმოება—მანქანათ-მშენებლობა უფრო დაბალ დონეზე მუშაობს, ვიდრე გასულ წელს. მიცუბისის კონცერნის ანგარიშშიც კი ხაზგასმულია, რომ მძიმე ინდუსტრიის გამოცოცხლება გამოწვეულია სამხედრო და სამხედრო-საზღვაო უწყებების დაკვეთების წყალობით.

ამასთანავე მდგომარეობა გაუმჯობესდა საფეიქრო მრეწველობაში, ხელოვნური აბრეშუმის დამზადებაში, ელნათურების, რეზინის ფეხსაცმელებისა და სხვა დამზადებაში. ესაა გაუმჯობესება საქონლის გაზიდვისა და არაჩვეულებრივი დემპინგის ხარჯზე. ფასები შემცირდა 70 პროცენტით, ხოლო ამავე დროს დოლარის ფასი შემცირდა 18—20 პროცენტით, გირვანქა სტერლინგისა კი—25—28 პროცენტით:

იაპონია აწარმოებს დემპინგს იენის გაიაფების ხარჯზე, სამუშაო ხელფასის შემცირებისა და გლეხთა შემოსავლის შემცირების ხარჯზე. იაპონიის იმპერიალიზმის ინგლისელი მეტოქეები ამას უწოდებენ „სოციალურ“ დემპინგს.

იაპონიაში კონიუქტურის გაუმჯობესება მოხდა ომის საფუძველზე, სამხედრო წარმოების ზრდის საფუძველზე, ინფლიაციის და დემპინგის საფუძველზე—ყველა აქედან გამომდინარე წინააღმდეგობებით.

მაისში უკვე დაიწყო წარმოების შემცირება საფეიქრო და ქვანახშირის მრეწველობაში, სპილენძის დამუშავებაში. მცირდება რკინის გზების ტვირთბრუნვა და უნივერსალურ მაღაზიების საქონლის მიმოქცევა.

საფრანგეთში სამრეწველო პროდუქციის ინდექსი უდრიდა გასული წლის აგვისტოში 93-ს, აპრილში—107-ს,—გაიზარდა 14 პროცენტით. ერთი თვის განმავლობაში თუჯის გადადნობა გაიზარდა 471 ათასიდან 525.000 ტონამდე. იმავე პერიოდის განმავლობაში ფოლადის წარმოება გაიზარდა 464.000 ტონადან 584.000 ტონამდე. შავმა მეტალურგიამ წარმოება გაადიდა 24 პროცენტით, მანქანათ-მშენებლობამ—8%-ტით, საავტომობილო მრეწველობამ—17 პროცენტით. მაგრამ ცნობილია, რომ რენოს საავტომობილო ქარხნები საფრანგეთში ამზადებენ ტანკებსაც, გოჩკისის საავტომობილო ფირმა „შემთხვევით“ ამზადებს ტყვიამფრქვევებს, ვოაზბენის საავტომობილო ქარხანა ამზადებს სამხედრო თვითმფრინავებს, სიტროენის საავტომობილო ქარხანა ამზადებს მძიმე ტანკებს.

ბირჟაზე იზრდება აქციებისა და ობლიგაციების კურსი, მაგრამ წინ მიდის სამხედრო საწარმოების აქციები. იზრდება რკინის გზების შემოსავალი, მაგრამ წინ მიდიან ელზას-ლოტარინგიის და აღმოსავლეთის მხარის რკინის გზები. იზრდება ცემენტისა და ბეტონის წარმოება. მაგრამ, როგორც განაცხადა ბ ნმა დალადიემ, საფრანგეთი აშენებს სიმაგრეს არა ქაღალდისაგან, არამედ სწორეთ ბეტონისაგან.

საფრანგეთში წარმოების ზრდა მოსჩანს პირველ რიგში სამხედრო მრეწველობის დარგებში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დროს საფრანგეთის კოლონიების წილი საფრანგეთის საგარეო ვაჭრობაში გაიზარდა 18—12 პროცენტამდე. საფრანგეთი ახდენს იმპერიულ უპირატესობის პოლიტიკის გატარების ცდებს.

გერმანიაში თუჯისა და ფოლადის გადადნობა გაიზარდა 26,3 პროცენტით გასულ წელთან შედარებით. ამავე დროს წარმოების საშუალებათა წარმოების ინდექსი შემცირდა გასული წლის აგვისტოდან 1933 წლის აპრი-

ლამდე 117-დან 114 ნიშნამდე. შავი მეტალურგია ადიდებს წარმოებას, ხოლო მანქანათ-მშენებლობა ამცირებს. სად მიდის თუჯი? საავტომობილო მრეწველობა სრული დატვირთვით მუშაობს, ხოლო ფაშისტური პრესა არც კი მალავს, რომ ისინი ცდილობენ დაეწიონ საფრანგეთს (სადაც 30 მცხოვრებელზე მოდის ერთი ავტომობილი, გერმანიაში კი მხოლოდ 100 მცხოვრებელზე მოდის ერთი ავტომობილი). ლაპარაკია არმიის მექანიზირებაზე, საქმე ეხება ტანკების, ჰაეროპლანების და მძიმე არტილერიის დამზადებას.

ფაშისტური პრესა აღნიშნავს გაუმჯობესებას სააღმშენებლო მასალების წარმოებაში. ხოლო მშენებლობა ნაკლებია, ვიდრე გასულ წელს იყო. გაუმჯობესება ეხება ცემენტს, პირველ რიგში ბეტონს. კრიზისის განმავლობაში გერმანიამ მოასწრო განევითარებია ალიუმინის წარმოება იმდენად, რომ იგი ფარავს მთელ მოთხოვნილებას. კრიზისის განმავლობაში გერმანიამ გაადიდა სპილენძის ამოღება და იმ დროს, როდესაც 1928 წ. იგი შინაური წარმოებით ფარავდა მხოლოდ მოთხოვნილების 36%-ტს, ამჟამად აკმაყოფილებს 67 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის დარგში გერმანიის ფაშიზმის ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ შექმნან „ავტარკია“ ქვეყნის ცხიმოვანი საკვებით, შინაური ფრინველებით, კვერცხით, ბოსტნეულით მომარაგების საქმეში (ფაშისტების გამოანგარიშებით „ავტარკია“ უკვე შექმნილია ხორბლეულით, ქერით, კარტოფილით, ხორცით და შაქარით მომარაგების საქმეში). ყოველივე ეს მზადდება ომისა და გარემოცვის შემთხვევისათვის. გერმანიაში მცირდება წარმოების საშუალებათა წარმოება, მაგრამ ტანკების, არტილერიის, თვითმფრინავების დამზადების საქმეში მოსჩანს უთუო აღმასვლა. გერმანიის ფაშიზმი ასრულებს ფინანსიური კაპიტალის დავალებას: დააჩქარონ კაპიტალის დაბანდების ტემპები მუშათა კლასის ხარჯზე და შეიარაღდენ ახალი ომისათვის.

გერმანიის წარმოების იმ დარგებში, სადაც ადგილი აქვს რამდენიმედ მაინცსერიოზულ ზრდას, აქ იგი ატარებს აშკარა სამხედრო ხასიათს.

ინგლისში გადასახადების შემოღებით, გირვანქა სტერლინგის გაიაფებით, ოტავის შეთანხმებით, გაძლიერებული ცდებით აღადგინონ კოლონიალური მონოპოლია კოლონიებისა და დომინიების ბაზრების გამოყენების თვალსაზრისით—ასე თუ ისე შენარჩუნებული იქნა წინანდელი დონე. მაგრამ აქ არის საოცარი შეხვედრა: ყველაზე უფრო თვალსაჩინო გაუმჯობესება ინგლისში მოხდა შავი მეტალურგიის დარგში!

თუჯის გადადნობა და ფოლადის წარმოება იზრდება შემოზიდვის შემცირების მეოხებით, მაგრამ მოხმარება გაიზარდა მხოლოდ 6,5 პროცენტით. ბამბის მოხმარება შემცირდა, ქვანახშირის მოხმარება იმყოფება გასული წლის დონეზე, მძიმე ინდუსტრიის დატვირთვა შემცირდა, ხოლო მსუბუქი ინდუსტრიის დატვირთვა გაიზარდა 2 პროცენტით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების ინდექსი უდრიდა მარტში 52, მაისში იგი გაიზარდა 63-მდე. შავი მეტალურგიის დატვირთვა გაიზარდა 14 პროცენტიდან 56 პროცენტამდე. საფეიქრო მრეწვე-

ლობა ამზადებს გასულ წელთან შედარებით 56 პროცენტით მეტს. ავტომობილების დამზადება გაიზარდა 100.000-დან 250,000-მდე. ყოველივე ამასთან საალმშენებლო კონიუნქტურა უფრო დაბლა დგას, ვიდრე გასულ წელს იყო. მანქანათ-მშენებლობა მუშაობს უფრო დაბალ დონეზე. ახალი ემისიები 1932 წელს უდრიდა 142 მილიონ დოლარს, ხოლო მიმდინარე წელს—45 მილიონ დოლარს.

ცხადია, რომ მეტალურგიის წარმოების ზრდაში ამერიკის სამხედრო სამზადისი ასრულებს მნიშვნელოვან როლს. ფლოტის მშენებლობის პროგრამა საკმაო მჭერმეტყველობით ცხადყოფს ამას. ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო და სამხედრო-საზღვაო მშენებლობაზე ხარჯავს მიმდინარე წელს ერთ მილიარდ დოლარს. ეს კიდევ არაფერია იმასთან, რაც განზრახული აქვთ მომავლისათვის!

მაგრამ უეჭველია, რომ დოლარის გაიაფებამ და შემდგომი ინფლიაციის მუქარამ შეასრულა აგრეთვე გარკვეული როლი წარმოების ზრდაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო „ფულიდან გაქცევა“, „მისწრაფება მატერიალურ ღირებულებისადმი“—ესაა ინფლიაციის ტიპიური მოვლენები. უმჯობესია იქონიო საქონელი, ავტომობილები, სახლი, აქციები და ობლიგაციები, ვიდრე ფული, რომლის ღირებულება დღითი-დღე ეცემა. ინფლიაციას მუდამ თან სდევს საინფლიაციო კონიუნქტურა, რაც მუდამ კრახით მთავრდება, როგორც ამას გვიჩვენებს მთელი ომის შემდეგი დროინდელი გამოცდილება.

სასპეკულაციო ციებცხელების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კანონს „მრეწველობის აღდგენის“ შესახებ. ამ კანონმა დაავალა წარმოების ყველა დარგებს შეიმუშაონ თავიანთი „კონკურენციის პატიოსანი ქარტია“, ე. ი. გაატარონ იძულებითი გაერთიანება კარტელებში. ჩვენ არ უნდა გაგვაკვიროს, რომ ეს კარტიები გულისხმობენ სამუშაო კვირის 35-დან 40 საათამდე „შემცირებას“. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური გამოკვლევის ცნობების მიხედვით მუშა საშუალოდ მუშაობს 29 საათს კვირაში, ცხადია, სამუშაო ხელფასის სათანადოთ შემცირებით. მაგრამ ეს კარტელური შეთანხმებანი გულისხმობენ წარმოების შემცირებას და ფასების მომატებას. ამის გამო წარმოების შემცირებისა და ფასების მომატების მოლოდინში თვითეული საწარმო ცდილობდა შეექმნა მეტი მარაგი. 4 თვის განმავლობაში წარმოება გაიზარდა 36 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასი მხოლოდ 7 პროცენტით. შეიქმნა კიდევ უფრო საშინელი წინააღმდეგობანი წარმოებასა და სამუშაო ხელფასს შორის, შეიქმნა კრიზისის ახალი გამწვავების წინა პირობები.

„მე მაცახცახებს, როდესაც ვფიქრობ იმაზე, თუ სად მიგვიყვანს წარმოების ზრდა“,—უკვე განაცხადა რუზველტის ერთმა მრჩეველმა—ჯონსონმა.

და როგორც იუწყებიან დეპეშები ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, ახალი კრახის პირველი მეხი უკვე დაატყდა საქონლის ბირჟებს.

ინფლიანცია და ომისწინადროინდელი კონიუნქტურის ელემენტები წარმოადგენს საფუძველს წარმოების აღმასვლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ეს საფუძველი მეტად მერყეევია, ვინაიდან იგი უკვე შეიცავს თავის არსში წინააღმდეგობას.

ინფლიაციის პირობებში ფასების საერთო დონე ჩამორჩება, როგორც წესი, ფულის გაიაფების ტემპს. მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული საქონლის ფასი წინ წაუსწრებს ფულის გაიაფების ტემპებს. შემთხვევითი არაა, რომ ამ მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ იმ სწორეთ ნედლეულის მიმართ, რასაც აქვს სამხედრო ხასიათი (ბამბა, კაუჩუკი, ფერადი ლითონები). ინფლიაციის პირობებში სამუშაო ხელფასი, თუნდაც იგი იზრდებოდეს, ჩამორჩება ფასების მომატების ტემპს. ინფლიანცია ნიშნავს რა რეალური სამუშაო ხელფასის შემცირებას, პირველ რიგში მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ. მაგრამ საბოლოო ანგარიშში ინფლიაცია აღატაკებს გლეხთა ძირითად მასებსაც. ინფლიაცია აღატაკებს წვრილ ბურჟუაზიას, ფასს უკარგავს რა მის მიერ ბანკში შენახულ ფულს.

ინფლიაცია ავიწროებს შინაურ ბაზარს, მაგრამ ამავე დროს ინფლიაცია ავიწროებს საგარეო ბაზრებსაც.

ამჟამად საგარეო ვაჭრობის 63 პროცენტი სწარმოებს გაიაფებული ვალიუტით 16,5 პროცენტი იძულებითი კურსით და მხოლოდ 20,5 პროცენტი ოქროს ვალიუტით, ასეთ პირობებში ვაჭრობა მეტად ძნელია.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ იმაში, რომ სპეკულიანტური ციებცხელება ბირჟებზე გამოიწვევს ახალ კრახს, როგორც კი აღმოჩნდება, რომ აქციების მაღალი კურსი არ შეესაბამება სააქციო საზოგადოებების მცირე შეშოსავლიანობას. ამერიკაში ეს კრახი უკვე დაიწყო.

აქციების კურსის მომატებამ გამოიწვია უკვე ის, რომ სამრეწველო აქციები იძლევიან მხოლოდ 2—7 პროცენტ შემოსავალს.

რაც შეეხება სამხედრო წარმოებას,—ომი, წარმოება ომისათვის—„საშინლად მომგებიანი რამაა“ (ლენინი). მაგრამ გაჟლეტის საშუალებათა წარმოება, მშრომელთა მასების ხარჯზე მიღებული შემოსავალი აჩქარებს ვალიუტის ფასის დაცემას და უდიდეს სიმძიმედ აწვება მთელ მეურნეობას.

თვალი რომ ავარიდოთ პოლიტიკურ და სოციალურ მომენტებს, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გიგანტურ ზრდას, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას და მის უდიდეს აზვირთებას, კოლონიალურ მოძრაობას,—ხოლო ასეთი აბსტრაქცია სწორი არაა,—თუ დავაკვირდებით მხოლოდ იმპერიალისტურ ქვეყნებში სამეურნეო კონიუნქტურის მიმდინარეობის შიშველ ფაქტებს,—მაინც ვღებულობთ დაურღვეველ დასკვნას: იქ, სადაც ადგილი აქვს წარმოების ზრდას იმპერიალისტურ ქვეყნებში, იგი მოხდა სამხედრო—ინფლიაციურ საფუძველზე. ომების ახალი ტური საფუძვლიანად სცვლის კრიზისის მიმდინარეობას, აყავს იგი მეორე საფეხურზე: წარმოების ეხლანდელი ზრდა შეიცავს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ახალი გამწვავების წინაპირობებს.

კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის დასასრული მომაკვდინებელი ტემპებით რომ მომდინარეობს, ომებისა და რევოლუციების ახალ ტურზე გადაცვლა, ბრძოლა ორი მსოფლიოსი, შეტაკებანი სახელმწიფოებსა და კლასებს შორის,—ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიური კრიზისის გაღრმავებასა და გამწვავებას.

კომინტერნის აღმასკომის მე-7-დე პლენუმმა უარყო ფატალისტური თვალსაზრისი კაპიტალიზმის ავტომატური დაღუპვის შესახებ. კრიზისის მთელი მიმდინარეობა სრული სიცხადით ადასტურებს, რომ ბურჟუაზია ეძებს კრიზისიდან გამოსავალს ომში, ინტერვენციაში, ფაშიზმში. ხოლო პროლეტარიატი კრიზისიდან გამოსავალს ეძებს პროლეტარულ რევოლუციაში.

კრიზისიდან თავის დაღწევის პრობლემა წყდებაო რ მსოფლიოს შორის ბრძოლის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლის, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლის ასპარეზზე.

ამჟამად ხდება არა კრიზისიდან დეპრესიაში გადასვლა, არამედ კრიზისის ერთი გამწვავებიდან მეორე კიდევ უფრო გიგანტურ გამწვავებაში გადასვლა.

ლ. ტანდიტი

ჩვენი პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი

ოცდაათ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც მომწიფდა პირველი მძლავრი ტოტები ბოლშევიკების ლენინური პარტიისა, ახალი ტიპის პარტიისა, რომელიც პრინციპიალურად განსხვავდება მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან. ბოლშევიკური პარტიის ოცდაათი წლის სასახელო გზამ, რომელიც განვლილია სამი რევოლუციის ქარცეცხლში, მისცა დედამიწის ერთი მეექვსედის მუშათა კლასს უდიდესი გამარჯვებანი უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის ბრძოლაში.

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ეს გამარჯვებანი ბოლშევიზმმა მოიპოვა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შეიარაღებული იყო მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციონური თეორიით—მარქს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით და ყოველთვის განუხრელად და დაუნდობლად იბრძოდა თავისი პროგრამული, ტაქტიკური, სტრატეგიული და ორგანიზაციული პრინციპების სრული გამარჯვებისათვის.

ჩვენი პარტიის წესდება და განსაკუთრებით მისი პირველი პარაგრაფი მებრძოლი ბოლშევიზმის ორგანიზაციული საფუძვლების შეურყევლობის ყველაზე ნათელი და მკაფიო გამოხატულებაა. ბოლშევიზმის მთელი ოცდაათი წლის ისტორიის მანძილზე ბოლშევიკების პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი ასრულებდა და ასრულებს პირველხარისხოვან პოლიტიკურ და ორგანიზაციულ როლს პარტიის აგებისა და განვითარების საქმეში.

უაღრესად სერიოზული უთანხმოება და მწვავე ბრძოლა გაიშალა პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. 30 ივნისი) და ამ ყრილობის შემდეგ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის; ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, სწარმოებდა ორგანიზაციული საკითხების, უმთავრესად კი პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო, იმ საკითხის გარშემო, თუ ვინ და როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის პარტიის წევრი და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. თუმცა მეორე ყრილობის პერიოდში დიდი დავა სწარმოებდა პროგრამულ და ტაქტიკურ საკითხებზედაც, ხოლო გათიშვის უშუალო მიზეზად ცენტრალური კომიტეტის არჩევნები გადაიქცა, მაგრამ არსებითად მთავარი წყალგამყრელი ქედი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ყრილობაზე აღიმართა ორგანიზებული პროლეტარული პარტიის შექმნისა, პარტიული წევრობისა და პროლეტარიატის რევო-

ლუციონური პარტიის აგების ორგანიზაციული პრინციპების გამო.

მკაცრი ბრძოლა ოპორტუნიზმისა და ყველა მისი სახესხვაობის წინააღმდეგ გაიშალა მეორე ყრილობაზე სწორედ პარტიის აგების მთავარი ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების გარშემო.

ლენინმა თავის შესანიშნავ, უკვდავ წიგნში—„ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან“ ამომწურავი სისრულით განმარტა პარტიის წესდების და პარტიული წევრობის პრინციპიალური მნიშვნელობა, პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის დამრაზმველი და პოლიტიკური მნიშვნელობა. მაშინ ლენინმა აგრეთვე პირველად გამოაშკარავა მთელი მნიშვნელობა და მწვავე აუცილებლობა შეურიგებელი, დაუნდობელი ბრძოლისა ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან პარტიული მუშაობის როგორც პოლიტიკურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში. ლენინი პარტიის არსებობის პირველი დღიდანვე მთელი შეურიგებლობით ებრძოდა მარტოვებს და აქსელროდებს, რომელნიც ცდილობდენ პროლეტარული პარტიის გაწყალებას არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე. ლენინმა დაუნდობლად ამხილა და გვიჩვენა მთელი ზიანი და დეზორგანიზატორული როლი პარტიის ორგანიზაციის ასეთი „სისტემისა“ და მოგვცა პარტიული წევრობის თავისი ბოლშევიკური ფორმულა.

ლენინის ამ ფორმულის შესახებ სტალინი სწერდა:

„აზრი პარტიაზე, როგორც ორგანიზებულ მთელზე, განმტკიცებულია ლენინის ცნობილ ფორმულოვკაში, რომელიც მან მისცა ჩვენი პარტიის პირველ პუნქტს; ამ ფორმულიროვკაში პარტია განხილულია როგორც ჯამი ორგანიზაციებისა, ხოლო პარტიის წევრები—როგორც წევრები პარტიის ერთ-ერთი ორგანიზაციისა. მენშევიკები ამ ფორმულიროვკის წინააღმდეგი იყვნენ ჯერ კიდევ 1903 წელს და მის ნაცვლად მოითხოვდენ პარტიაში თვითჩარიცხვის „სისტემას“, მოითხოვდენ იმ „სისტემას“, რომ პარტიის წევრის „წოდება“ გავრცელებული ყოფილიყო თვითეულ „პროფესორზე“ და „გიმნაზიელზე“, თვითეულ „თანამგრძნობზე“ და „გაფიცულზე“, რომელიც ასე თუ ისე მხარს უჭერდა პარტიას, მაგრამ რომელიც არ შედიოდა და არც სურდა შესულიყო რომელსამე პარტიულ ორგანიზაციაში. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ორიგინალური „სისტემა“, რომ ის ჩვენს პარტიაში განმტკიცებულიყო, აუცილებლად გამოიწვევდა იმას, რომ პარტია აივსებოდა პროფესორებით და გიმნაზიელებით და იგი გადაგვარდებოდა დაქსაქსულ, გაუფორმებელ, დეზორგანიზებულ „ერთეულად“, რომელიც გაითქვიფებოდა „თანამგრძნობთა“ ზღვაში, წაშლიდა საზღვარს პარტიასა და კლას შორის და ყირამალა დააყენებდა პარტიის ამოცანას არაორგანიზებული მასების მოწინავე რაზმის დონემდე ამაღლების შესახებ.*)

ლენინის და სტალინის ეს დებულებები, რომელნიც ორგანიზაციის უმტკიცესი საძირკვლის ქვაკუთხედს წარმოადგენენ, გვიჩვენებენ აგრეთვე იმასაც, თუ რა დიდად აფასებენ ბოლშევიზმის ფუძემდებელნი ახალი ტიპის პროლეტარული რევოლუციონური პარტიის აგების მათ მიერ გა-

*) „ლენინიზმის საკითხები„. გვ. 67, გამოც. მე-9.

მოჰედილ ორგანიზაციულ პრინციპებს და რა განუზომელ მნიშვნელობას აკუთვნებდენ ისინი პარტიის წევრობას, პარტიის წესდებას, მის პირველ პარაგრაფს. ლენინი და სტალინი ყოველთვის გვასწავლიან მტკიცედ და დაუღალავად „დავიცვათ, ჩვენი პარტიის სიმაგრე, შევინარჩუნოთ მისი სიწმინდე".

პარტიის ორგანიზაციის ბოლშევიკური პრინციპები გამოხატულია პარტიის წესდებაში და ამ წესდების პირველ პარაგრაფში, რომელიც პარტიულ წევრობას განმარტავს როგორც უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ყოველდღიურ პარტიულ ბრძოლაში კომუნიზმისათვის. და სწორედ ამიტომ „წესდების მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ საკავშირო კომპარტია (ბ), ისე როგორც ყველა კომუნისტური პარტიები, არის პარტია არა მშვიდობიანი პროპაგანდისა, არამედ რევოლუციონური მოქმედებისა" (ლ. მ. კაგანოვიჩი).

რევოლუციონური მოქმედების პარტიას აქვს მებრძოლი ორგანიზაციის თავისი საკუთარი რევოლუციონური კანონები, პროლეტარული ორგანიზაციის საუკეთესო პრინციპები. ამიტომ ბოლშევიკური პარტიის წესდება და მისი პირველი პარაგრაფი გაჟღენთილია ყველა ქვეყნის საუკეთესო რევოლუციონური გამოცდილებით და ისინი სავსებით გამომდინარეობენ მარქსის და ენგელსის დიადი მოძღვრებიდან. მეცნიერული სოციალიზმის უკვდავმა შემომქმედებმა ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტში" პირველად ამცნეს მთელს მებრძოლ პროლეტარიატს:

„მაშასადამე, კომუნისტები ნამდვილად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო გაბედულ, წინსვლისაკენ ყველაზე უფრო წამქეზებელ ნაწილს, ხოლო თეორიული მხრით მათ პროლეტარიატის დანარჩენი მასის წინაშე აქვთ უპირატესობა პროლეტარული მოძრაობის პირობებისა, მიმდინარეობისა და საერთო შედეგების გაგებაში".

ბოლშევიზმმა სავსებით შეითვისა ეს მარქსისტული პოლიტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები და შესძლო მკვეთრად გამოეხატა ისინი მკაცრ ფორმულაში, რომლითაც ლენინმა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი გამოსახა. ეს საფუძვლები ჩამოყალიბდენ პარტიული მშენებლობის და ორგანიზაციის შეურყეველ კანონებად, ისინი ქმნიდენ და ზრდიდენ პროლეტარული რევოლუციონერების პარტიას, იცავდენ მას ყოველგვარი უცხო, მტრული, მერყევი, შემთხვევითი და მიტმასნებული ელემენტებისაგან, „ინტელიგენტებისაგან, რომელნიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით".

აი რატომ არის, რომ სწორედ ჩვენი პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო მძაფრად შეებმენ ერთმანეთს პარტიისათვის ბრძოლაში ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობა—რევოლუციონურ-მარქსისტული მებრძოლი ბოლშევიზმი და ოპორტუნისტული წვრილ-ბურჟუაზიული მენშევიზმი, რომელიც კაპიტალიზმის წისქვილს წყალს ასხამდა.

გაცოფებულმა იერიშმა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულის წინააღმდეგ გამოამჟღავნა მეორე ყრილობაზე ნამდვილი პოლიტიკური სახე ცალკეული დელეგატებისა, ჯგუფებისა და სხვა და სხვა მიმ-

დინარეობისა და განსაზღვრა მთელი მათი შემდგომი ხაზი და მთელი მათი მომავალი ანტირევოლუციონური საქმიანობა. საკმარისია თვალი გადავავლოთ მეორე ყრილობის ოქმებს, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ პარტიაზე ოცნებობდენ მენშევიკები და ტროცკი, რომელნიც მაშინ გაცოფებით იბრძოდენ პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულის წინააღმდეგ.

ავიღოთ სიტყვა-სიტყვით შემდეგი ნაწყვეტი მეორე ყრილობის ოქმებიდან:

აქსელროდი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ცნებანი: პარტია და ორგანიზაცია. აქ კი ამ ცნებას ერთმანეთში ურევენ. ეს შერევა სახიფათოა... და მართლაც, ავიღოთ, მაგალითად, პროფესორი, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატად სთვლის და ამას აცხადებს. თუ ჩვენ ლენინის ფორმულა მივიღეთ, ამით გავრიყავთ ადამიანთა ნაწილს, რომელიც თუმცა არ შეიძლება მიღებულ იქნეს უშუალოდ ორგანიზაციაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტიის წევრებს წარმოადგენს.

მარტოვი. რაც უფრო ფართოდ იქნება გავრცელებული პარტიის წევრის სახელწოდება, მით უკეთესია. ჩვენ უნდა გვიხაროდეს, თუ თვითეულ გაფიცულს, თვითეულ დემონსტრანტს, რომელიც პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის, შეუძლია თავისი თავი პარტიის წევრად გამოაცხადოს.

ტროცკი. ლენინის ფორმულა ქმნის ფიქტიურ ორგანიზაციებს, რომელნიც თავის წევრებს მისცემენ მხოლოდ ცენზს, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან პარტიული მუშაობის საშუალებად".

რა სასაცილოდ გაისმის ახლა ეს მენშევიკურ-ტროცკისტული მტკიცება „ფიქტიური ორგანიზაციების" შესახებ! ეს „რევოლუციონერი", რომელიც დიდიხანია ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდა, უკვე მეორე ყრილობაზე ფაქტიურად ებრძოდა ლენინს და მას შემდეგ ლენინიზმის მოსისხლე მტრად დარჩა, ისტორიამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ბოლშევიკური პარტია, ლენინის ფორმულების მიხედვით შექმნილი, შეიძლებოდა გამხდარიყო პროლეტარიატის შეუდრეკელ, ძლევამოსილ რევოლუციონურ ორგანიზაციად.

მაგრამ მეორე ყრილობის დროს საჭირო იყო უაღრესად ენერგიული ბრძოლა მენშევიკური იერიშების მოსაგერიებლად.

ლენინის წინააღმდეგ ყრილობაზე გამოვიდა მთელი „პლეადა" პარტიის აგების ორგანიზაციული პრინციპების გაცოფებული მოწინააღმდეგეებისა. შეტევა ლენინის წინააღმდეგ, რომელსაც იგივე ტროცკი მეთაურობდა, განახლდა ლიბერის გამოსვლით, რომელმაც მოითხოვა, რომ პარტიის კარები ფართოდ ყოფილიყო გაღებული გიმნაზიელებისათვის. ტროცკიმ საბოლოოდ აიხადა ნიღაბი, მოითხოვა, რომ პარტიაში მიღების დროს არ ყოფილიყო „შეზღუდული ცალკეული ინტელიგენტების ქონებრივი უფლებები" და განაცხადა: „ლენინის ფორმულა უარყოფილ უნდა იქნეს. ვიმეორებ, ის მიზანს ვერ ხვდება". ლენინის პოზიცია უაღრესად შეურიგებელი და გადამწყვეტი იყო; მან ბოლომდე ამხილა ოპორტუნისტული ტროცკისტული ხაზი, ზედმიწევნით განმარტა და ზუსტად ჩამოაყალიბა პარტიის წესდების თავისი ბოლშევიკური პირველი პარაგრაფი. ლენინმა გამანადგურებელი მახვილი ჩას-

ცა პარტიული წევრობის მარტოვ-ტროცკისტულ ფორმულას, რომელიც განირჩეოდა „ელასტიურობით“ იმ მხრივ, რომ იგი ფართოდ უხსნიდა გზას პარტიაში „ყველა მსურველს“, ლენინი ამსხვრევდა ბოლშევიკური პარტიულობის მტრების ყოველ ბუნდოვან და მავნებელ თეზისს.

მაშინ ვლადიმირ ილიჩი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ სწორედ „ელასტიურობა“ პარტიული ცხოვრების ისეთ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, უსათუოდ უღებს კარებს დაქსაქსულობის, მერყეობის და ოპორტუნიზმის ყველა ელემენტებს. ლენინი ამბობდა:

„მართლაც და, შეხედეთ როგორ დასკვნებს იღებს ამხ. ტროცკი თავისი ძირითადი შეცდომის გამო... განა უცნაური არ არის ამხ. ტროცკის მსჯელობა? მას საჭიროდ მიაჩნია ის, რაც ყოველ ოდნავ მაინც გამოცდილ რევოლუციონერს მხოლოდ გაახარებდა“. [1])

ლენინი აღნიშნავდა, თუ რა განუზომელი ბოროტებაა პარტიისათვის ის, რომ ყველას ჰქონდეს ფართო უფლება პარტიის წევრთა რიგებში შესვლისა, თუ რა „არევ-დარევის და ზიანის ბურუსის“ დაკანონებას ცდილობს მენშევიკების ფორმულა, და ამბობდა:

„სწორედ ეს არ გვინდა ჩვენ! სწორედ ამიტომ ვილაშქრებთ ჩვენ ასე გადაჭრით მარტოვის ფორმულის წინააღმდეგ. უმჯობესია ათი მომუშავე არ უწოდებდეს თავის თავს პარტიის წევრს (ნამდვილი მომუშავე ჩინებს არ მისდევს!). ვიდრე ის, რომ ერთ ენა ლაქლაქას ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა პარტიის წევრად ყოფნისა“. [2])

და ამასთან დაკავშირებით, პარტიის წევრის მაღალი წოდების შესახებ ლენინი მაშინ ამბობდა:

„პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის... ჩვენ უნდა ვეცადოთ ავსწიოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა“. [3])

ასეთი ბრძოლა სწარმოებდა პარტიის ბოლშევიკური წესდებისათვის და მისი პირველი პარაგრაფისათვის მეორე ყრილობამდე და თვით ყრილობაზე, რომელმაც მიიღო წესდების პირველი პარაგრაფის მენშევიკური ფორმულა, რადგან დასაწყისში ყრილობაზე უმეტესობა ოპორტუნისტები იყვნენ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყრილობა ოპორტუნისტების ნაწილმა დატოვა, უმრავლესობა ბოლშევიკებს ეკუთვნოდა. მაგრამ საქმე ამით სრულიადაც არ გათავებულა. ლენინი მეორე ყრილობის შემდეგაც განაგრძობდა დაუღალავ ბრძოლას; მან უძღვნა ამ საკითხს თავისი სპეციალური ბროშურები, წერილები და სიტყვები, რომლებშიაც ამათრახებდა ყოველგვარ ცდას, რაც აბრკოლებდა პარტიის ბოლშევიკური წესდების, განსაკუთრებით მისი პირველი პარაგრაფის გამარჯვებას, ვინაიდან ეს პარაგრაფი მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარტიის ორგანიზაციის საქმეში. თავისი შესანიშნავი წიგნის „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან“

[1]) თხზ., ტ. VI. გვ. გამოც. მე-3..
[2]) თხზ. ტ. VI გვ. 32, გამოც. მე-3.
[3]) იქვე გვ. 33.

განსაკუთრებულ თავში—„პარტიის წესდების პირველი პარაგრაფი"—ვლადიმირ ილიჩი სწერდა:

„ამხ. მარტოვის ფორმულა ან დარჩება მკვდარ ასოდ, ცარიელ ფრაზად, ან ის მოუტანს სარგებლობას უმთავრესად და თითქმის მხოლოდ „ინტელიგენტებს, რომელნიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით და რომელთაც არ სურთ ორგანიზაციაში შესვლა". მარტოვის ფორმულა სიტყვით იცავს პროლეტარიატის ფართო ფენების ინტერესებს; საქმით ეს ფორმულა სამსახურს გაუწევს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტერესებს, რომელიც გაურბის პროლეტარულ დისციპლინას და ორგანიზაციას. ვერავინ იკისრებს უარყოს ის, რომ ინტელიგენციას, როგორც თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებათა განსაკუთრებულ ფენას, საერთოდ და მთლიანად ახასიათებს სწორედ ინდივიდუალიზმი და უუნარობა დისციპლინისა და ორგანიზაციისადმი"... [1])

და იქვე მთელ ამ მავნებელ „უუნარობას დისციპლინისა და ორგანიზაციისადმი" ეძლევა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი:

„ამაში მდგომარეობს, სხვათაშორის, არახელსაყრელი განსხვავება ამ საზოგადოებრივი ფენისა პროლეტარიატისგან; ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი ახსნა ინტელიგენტური მოდუნებისა და მერყეობისა, რასაც პროლეტარიატი ასე ხშირად გრძნობს; და ინტელიგენციის ეს თვისება განუყრელად დაკავშირებულია მისი ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებთან, მისი საშოვარის პირობებთან, რომელიც ბევრ რამეში უახლოვდება წვრილ-ბურჟუაზიული არსებობის პირობებს (მარტოხელა მუშაობა ან მუშაობა ძალიან პატარა კოლექტივში და სხვ.). დასასრულ შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ სწორედ ამხ. მარტოვის ფორმულის მომხრეებს უნდა წამოეყენებიათ პროფესორების და გიმნაზიელების მაგალითი! ფართო პროლეტარული ბრძოლის დამცველები როდი გამოსულან პირველი პარაგრაფის შესახებ გამართულ დავაში რადიკალურ-შეთქმულობითი ორგანიზაციის დამცველთა წინააღმდეგ, როგორც ამხ. მარტოვი და აქსელროდი ფიქრობდენ, არამედ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის მომხრენი შეეჯახნენ პროლეტარული ორგანიზაციისა და დისციპლინის მომხრეებს" [2]).

აქედან კიდევ უფრო ნათლად სჩანს იმ ბრძოლის განუზომელი მნიშვნელობა, რომელიც სწარმოებდა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო. აქედან ნათლად სჩანს, რომ ბრძოლა სწარმოებდა არა უბრალოდ ფორმულებისა და განმარტებისათვის, არამედ ორგანიზაციისათვის და პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის პარტიის შექმნისათვის, მისი პარტიული ცხოვრების მოწყობისათვის, თვით პარტიის ხასიათისა და ტიპისათვის, რომელიც იქნებოდა მძლავრი და შესძლებდა როგორც ავანგარდი სათავეში ჩასდგომოდა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლებს კომუნიზმისათვის. პარტიის წესდების

[1]) თხზ. ტ. VI, გამოც. მე-3 გვ. 212.
[2]) თხზ. ტ. VI, გამოც. მე-3, გვ. 212—213.

პირველი პარაგრაფის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლაში ერთმანეთს დაეჯახა ორი სხვადასხვა ბანაკი—ლენინი, რომელიც სათავეში უდგა ბოლშევიკებს, როგორც „პროლეტარული ორგანიზაციისა და დისციპლინის" თანამიმდევარ რევოლუციონურ-მარქსისტულ „მომხრეებს", და მარტოვ-ტროცკი, რომელნიც მეთაურობდენ მენშევიკებს, როგორც „ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის ოპორტუნისტულ „მომხრეებს".

ამხ. სტალინმა ეს ბრძოლა სხარტად და მოკლედ გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

„თავიანთი ფორმულით პარტიული წევრობის შესახებ ბოლშევიკებს უნდოდათ შეექმნათ ორგანიზაციული ლაგამი პროლეტარული ელემენტების მოწოლის წინააღმდეგ პარტიაში. ასეთი მოწოლის საფრთხე მაშინ რეალურზე მეტი იყო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის გამო"[1]).

ცნობილია, რომ ეს ბოლშევიკური „ორგანიზაციული ლაგამი"—პარტიის წესდების ლენინური პირველი პარაგრაფი, რომელიც ერთხმად იყო მიღებული პარტიის III ყრილობაზე, გამოვიდა ბრწყინვალედ გამარჯვებული მრავალ წლიდან შეუდრეკელ ბრძოლაში ოპორტუნისტებთან, მენშევიკებთან ტროცკისტებთან, რომელნიც გადავიდენ პროლეტარიატის აშკარა კლასობრივი მტრების ბანაკში და გადაიქცენ კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად. ცნობილია აგრეთვე, რომ პარტიული ისტორიის მთელს სიგრძეზე ყველა ჯურის მენშევიკები, სხვადასხვა ფორმაციის ოპოზიციონერები, განსაკუთრებით კონტრ-რევოლუციონური ტროცკისტები, კამენევ-ზინოვიევ-ტროცკის ბლოკი და მემარჯვენე ოპორტუნისტები ხშირად განაგრძობდენ თავის საზიზღარ ანტილენინურ ცდებს რომ დაენგრიათ, აეფეთქებიათ და თავიდან მოეშორებიათ ბოლშევიზმის ლენინური ორგანიზაციული პრინციპები. მაგრამ ყველა ამგვარი გამოსვლა იმთავითვე განწირული იყო, ამ გამოსვლებმა სრული მარცხი განიცადა, ხოლო მათი მონაწილენი სამარცხვინოდ დამარცხდნენ და ნამსხვრევებად იქცენ. ვერავინ, ვერც კონტრრევოლუციონურმა ტროცკისტებმა, ვერც მათ დუდუკზე მოცეკვავე ზინოვიევმა და კამენევმა,—ოქტომბრის ამ გახრწნილმა დეზერტირებმა, ვერც მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, ბუხარინის, რიკოვის და ტომსკის მეთაურობით, და ვერც მემარჯვენე-„მემარცხენე" ანტიპარტიულმა ბლოკმა ვერ შესძლეს და ვერასოდეს ვერავინ ვერ შესძლებს თუნდაც სულ ოდნავ შეარყიოს ბოლშევიზმის გაკაჟებული და შეურყეველი ციხე-სიმაგრე, უძლეველი ფოლადის მონოლიტი—საკავშირო კომპარტია (ბ).

ლენინის პარტიამ, რევოლუციონური მოქმედების პარტიამ მოიპოვა უდიდესი ისტორიული გამარჯვებანი კლასობრივ ბრძოლაში სოციალიზმისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეიარაღებული იყო სწორი თეორიით და პოლიტიკით, რომ იგი დარაზმული და გამოჭედილი იყო პროლეტარული ორგანიზაციისა და რკინისებური დისციპლინის საფუძველზე, რომ მას ყოველთვის ნდობას და თანაგრძნობას უცხადებდენ მრავალ-მილიონიანი უპარტიო მასები და რომ იგი იბრძოდა ისეთი გენიალური, გამჭრიახი ბელადების ხელმძღვანელობით, რო-

[1]) „ლენინიზმის საკითხები", გამოც. მე-9. გვ. 607.

გორიც არიან ლენინი და სტალინი და ყველა ამ გამარჯვებაში საპატიო ადგილი უჭირავს და უდიდესი დამსახურება მიუძღვის პარტიის ბოლშევიკურ ორგანიზაციულ წესდებას და მის პირველ პარაგრაფს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, თითქოს ამჟამად თუნდაც სულ უმნიშვნელოდ მცირდებოდეს პარტიის წესდების და მისი პირველი პარაგრაფის როლი, იმ პარაგრაფის, რომელიც პარტიის წევრისაგან მოითხოვს აქტიურ მუშაობას პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომელიც მოითხოვს რკინისებურ დისციპლინას. ეს სრულიადაც სწორი არ არის. პირიქით, სწორედ ახლა, სოციალიზმის მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის ეპოქაში, მეორე ხუთწლედისათვის ბრძოლის ეპოქაში, იმ ხუთწლედისათვის, როდესაც უნდა აიგოს უკლასო სოციალისტური საზოგადოება, სწორედ ახლა საჭიროა პარტიის მაქსიმალური განმტკიცება. მისი წევრების იდეოლოგიური დონის შემდგომი ამაღლება, რკინისებური დისციპლინა პარტიის რიგებში, პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანიზაციების და სოციალიზმის მშენებლობის მიმართ. პარტიის ყოველ წევრსა და კანდიდატს დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვება დაემორჩილოს პარტიის ყველა დადგენილებას და შეასრულოს იგი უაღრესი აქტივობით. დღეს უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, საჭიროა ჩვენი პარტიის პროგრამის, მისი წესდების და მისი გადაწყვეტილების დაცვა, აქტიური ბრძოლა მათი განხორციელებისათვის.

ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რომელსაც არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მაქსიმალური განმტკიცება და სოციალიზმის ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოება „შეუძლებელია ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ძლიერი იქნება თავისი შეკავშირებით და რკინისებური დისციპლინით". სწორეთ ამიტომ ახლა მთელი პარტია, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ატარებს რა პარტიული რიგების საყოველთაო წმენდას, ყველა პარტიული ორგანიზაციის და თვითეული პარტიული ამხანაგის ყურადღებას მიაქცევს ბოლშევიზმის საფუძველზე, პარტიის პროგრამასა და წესდებაზე, მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციონური მეცნიერების დაუფლებაზე. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ პარტიის ყოველ წევრსა და კანდიდატს მტკიცედ ახსოვდეს პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მნიშვნელობა, რომელიც ამბობს:

„პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, მუშაობს მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ემორჩილება პარტიის დადგენილებებს და იხდის საწევრო გადასახადს".

მთელი ჯამი საბრძოლო ორგანიზაციული და პოლიტიკური საკითხებისა, რაც მოცემულია ამ ორიოდე დახვეწილ სტრიქონში, საზღვრავს თვითეული პარტიული ორგანიზაციის მთელ ყოველდღიურ მუშაობას, ახასიათებს მთელ „ჩვენს პარტიას მთლიანად და თვითეულ მის წევრს ცალკე როგორც პროლეტარიატის ავანგარდს, როგორც აქტიურად მომქმედ რევოლუციონურ ძალას" (ლ. კაგანოვიჩი).

ჩვენ კონკრეტულად უნდა შევითვისოთ პარტიის წესდების ყოველი მითითება, მისი პირველი პარაგრაფის ყოველი ნაწილი, უნდა ავამაღლოთ თვითეული ბოლშევიკის იდეური შეიარაღება, სისტემატიურად უნდა შევამოწმოთ პარტიული დატვირთვის შესრულება ყოველი პარტიელის მიერ და საწევრო გადასახადის თავის დროზე გადახდა; ამასთან ერთად ჩვენ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი პარტიული შემჭიდროებისა, დარაზმულობისა და მისი რკინისებური დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში. თვითეულმა პარტორგანიზაციამ და თვითეულმა პარტიელმა უნდა უზრუნველყოს მასების მობილიზაცია, რათა გაიშალოს ბრძოლა მეორე ხუთწლედისათვის, ახალი ტეხნიკის დაუფლებისათვის, პარტიის გენერალური ლენინური ხაზისათვის, და მათ სულ უფრო მაღლა უნდა ასწიონ მარქს-ლენინ-სტალინის დიადი ძლევამოსილი დროშა, მებრძოლი ბოლშევიკური პარტიულობის დროშა, რომელსაც მოაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში.

სარედაქციო კოლეგია:
გ. არუთინოვი
ვ. ბაქრაძე
ე. ბედია
ნ. კიკნაძე
კ. ორაგველიძე
გ. სტურუა
მ. ტოროშელიძე
პ. შარია

ს 838
1933

ფასი 1 შაბ.